ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

2 1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის

ბრძანებულება

საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) 164-ე მუხლისა და „საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების არჩევნების შესახებ“ საქართველოს სსრ კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს საქართველოს სსრ რაიონული (საქალაქო) სახალხო სასამართლოების სახალხო მოსამართლეთა არჩევნები კვირას, 1982 წლის 20 ივნისს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
პ. გილაშვილი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი
თ. ლაშქარაშვილი.

თბილისი. 1982 წლის 27 მარტი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდეთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სამართალი

№ 2

მარტი
აპრილი

1982 წელი

ჟურნალი გამოდის 1990 წლის 1 მარტიდან

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მეცნიერულ-პრაქტიკული ჟურნალი

შინაარსი

დიდი გარდაქმნების ხანა . . . 3

ნ. რუსაძე — პარტიის ქალაქკომი დამნაშავეობის წინააღმდეგ გრძოლის ორგანიზატორი . . . 8

კანონის კომენტარი

მ. უგრეხელიძე — სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისებისათვის . . . 18

ა. ხოჭოლავა — ახალი საგინაო კანონი . . . 21

დისკუსია, კოლემიკა, რეპლიკა

ო. გამყრელიძე — არის თუ არა დავის საფუძველი . . . 26

გ. გოლოფვილი — სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურების მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები . . . 31

ბ. ხაზარაძე — სოციალისტური ქონების წვრილმანი დატაცება და მასთან გრძოლა . . . 39

აგრო-სამრეწველო კომპლექსი — ქველას საზრუნავი

ა. აბესაძე — სოფლის მეურნეობის ახლებურად მართვის საძართლებრივი ასპექტები . . . 46

ტ. ლემონჯავა — მოსაწესრიგებელი საკითხები . . . 53

ყურადღება — გამოცდილება!

ტ. მეტრეველი — უპირველესი საზრუნავი . . . 55

ი. ჩიქოვანი — მოქალაქეთა მიღების და საჩივრების განხილვის მაღალი კულტურისათვის . . . 57

ჯ. მიქელაძე — ისევ სასამართლოს განაჩენებში დაშვებული უხეში შეცდომების შესახებ . . . 60

ა. არსენაშვილი — ერთი გაჭიანურებული სამოქალაქო საქმის გამო . . . 64

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში . . . 66

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე . . . 68

არგიტრაჟის პრაქტიკა . . . 70

ინფორმაცია . . . 72

საინტერესო ნაგებობა . . . 77

ნარევი . . . 78

СОДЕРЖАНИЕ

Время больших перемен 3
Н. Рухадзе — Горком партии — организатор борьбы с преступностью . . 8

КОММЕНТАРИИ К ЗАКОНОДАТЕЛЬСТВУ

М. Угрехелидзе — Уголовная ответственность за самовольное присвоение власти или звания должностного лица 18
А. Хочолава — Новый жилищный закон 21

ДИСКУССИЯ, ПОЛЕМИКА, РЕПЛИКА

О. Гамкрелидзе — Есть ли основания для спора? 26
Г. Голошвили — Причины затягивания гражданско-правового судопроизводства и пути их преодоления 31
Г. Хазарадзе — Мелкое хищение социалистического имущества и борьба с ним 39

АГРОПРОМЫШЛЕННЫЙ КОМПЛЕКС — ЗАБОТА ВСЕХ!

А. Абесадзе — Правовые аспекты управления сельским хозяйством по новому . 46
Т. Лемонджава — Вопросы, требующие урегулирования 53

ВНИМАНИЕ — ОПЫТ!

Т. Метревели — Первейшая наша забота 55
И. Чиковани — За высокую культуру приема граждан и рассмотрения их жалоб 57

Дж. Микеладзе — Еще раз о грубых нарушениях в судебных приговорах . . 60
А. Арсенашвили — Об одном затянувшемся гражданском деле 64
В Президиуме Верховного Совета Грузинской ССР 66
На Коллегии Министерства юстиции 68

Арбитражная практика 70

Информация 72

О здании Верховного Суда ГССР и Прокуратуры республики 77
Смесь 78

სარედაქციო კოლეგია:

ო. კაციტაძე (მთ. რედაქტორი), **ლ. ალექსიძე, ა. ბარაბაძე,**
გ. ბერძენიშვილი (პ/მგ მდივანი), **გ. ინწკირველი, აკ. კარანაძე,**
მ. ლეკვეიშვილი, გ. ტუეშელიაძე, ა. შუშანაშვილი,
ა. ხოჭოლავა, ს. ჯორბენაძე

© „საბჭოთა სამართალი", 1982 წ.

რედაქციის მისამართი, თბილისი, კლეხანოვის პრ. 103. ტ. 95-58-87, 95-88-49.

გადაეცა ასაწყობად 5. IV. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 21. V. 82 წ.,
ფორმატი 70×108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი
ფურცელი 7. საღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 7,5

შეკვ. № 919 ტირაჟი 16500 უე 06263

საქ კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

172 36

დიდი გარდაქმნების ხანა

ათი წლის წინათ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო ისტორიული დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის მუშაობის თაობაზე, რომელიც მთელი ჩვენი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციისათვის სამოქმედო პროგრამად, უმნიშვნელოვანეს სახელმძღვანელო დოკუმენტად გადაიქცა. ამ დროიდან დაიწყო და დღესაც შეუნელებლად გრძელდება ნამდვილად გლობალური, გეგმაზომიერი, უკომპრომისო და პრინციპული ბრძოლა ყოველგვარი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებისა და დამკვიდრების პროცესი, რომელსაც ასე ბრძნულად და უნარიანად წარმართავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი. განვლილი დრო, უკვე მიღწეული თვალსაჩინო შედეგები ნათლად გვიჩვენებს, რომ ახალ მოწინავე მიჯნებზე რესპუბლიკის გაყვანაში გადამწყვეტი როლი სწორედ იმან შეასრულა, რომ ბოლო ათი წელია საქართველოს კომპარტიის ყოველდღიურ საქმიანობას საფუძვლად უდევს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ. ამ საიმედო ორიენტირის წყალობით ათწლეულში რესპუბლიკას მოპოვებული აქვს მყარი წარმატებები როგორც ეკონომიკის განვითარებაში, ისე სოციალურ და ზნეობრივ-ეთიკურ სფეროში. ქალაქისა და სოფლის მშრომელებმა, რესპუბლიკის ერთიანმა ინტერნაციონალურმა ოჯახმა შეუპოვარი და თავდადებული შრომით უზრუნველყო ეკონომიკაში წინა წლების ჩამორჩენის ლიკვიდაცია, საგეგმო დავალებათა ვადამდე განაღდება, მაღალი მომთხოვნელობის ვითარების შექმნა, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცება. მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში დიდი მიღწევებისათვის, სახალხო-სამეურნეო გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის და სოციალურ-კულტურულ დარგში მოპოვებული წარმატებებისათვის საქართველომ ზედიზედ მეცხრედ გაიმარჯვა სოციალისტურ შეჯიბრებაში, რისთვისაც დაიმსახურა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ეს არის კიდევ ერთი კონკრეტული დადასტურება იმისა, თუ რა დიდი ისტორიული როლი შეასრულა ჩვენი რესპუბლიკისათვის ამ დადგენილებამ. „მთელი ამ ათი წლის მანძილზე,— ამბობს ე. ა. შევარდნაძე, — ჩვენს თითოეულ ნაბიჯს ლენინური პარტიის ამ გადაწყვეტილების ნიხედვით ვამოწმებდით. მთელი ამ ათი წლის მანძილზე ჩვენ მისი შესრულების ნიშნით ვცხოვრობდით. ვფიქრობ, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში არ ყოფილა ცენტრალური კომიტეტის არცერთი პლენუმი, აქტივის არცერთი კრება, სადაც ამ გადაწყვეტილებისათვის არ მიგვემართოს, იგი არ დაგვემოწმებინოს, არ გაგვეანალიზებინოს, თუ რა გაკეთდა შესასრულებლად“[1].

განვლილი ათი წლის მანძილზე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, გენერალური მდივნის ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევის ინიციატივით, თბილისის კომიტეტის დადგენილების გარდა, მიიღო აგრეთვე არაერთი დადგენილება, რომელთა მიზანია რესპუბლიკის მრეწველობისა და

[1] გაზეთი „კომუნისტი“, 3 მარტი 1982 წ.

საქართველოს სსრ. საქ. ... საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის მეურნეობის ინტენსიური განვითარება. ამ დოკუმენტებში მაღალი შეფასება აქვს მიცემული საქართველოს პარტიული ორგანიზაციის ბოლოდროინდელ საქმიანობას, ამასთანავე ერთად გაკრიტიკებულია ნაკლოვანებანი, დასახულია ეკონომიკისა და იდეოლოგიური ხელმძღვანელობის სრულყოფის ახალი დიდმნიშვნელოვანი ამოცანები. ახლა უკვე ყველა ხედავს, თუ რა დიდი სიკეთე მოუტანა ჩვენს ხალხს ამ დადგენილებებმა, რომლებიც რესპუბლიკის მშრომელთა კეთილდღეობისათვის პარტიის ზრუნვის გამოხატულებაა.

რესპუბლიკის დედაქალაქის, თბილისის მშრომელების თავდადებული შრომის, მისი შესანიშნავი რევოლუციური წარსულის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებაში შეტანილი ღვაწლის, სამამულო ომის დროს გაწეული დაუღალავი გარჯის, ბოლო წლებში სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში მიღწევების ღირსეული აღიარება იყო თბილისის, ამ ძველი და მარად უბერებელი ქალაქის დაჯილდოება ლენინის ორდენით. თბილისელებს, მართლაც რომ, ბევრი აქვთ საამაყო იმ წვლილისათვის, რომელიც მათ შეიტანეს რესპუბლიკის სამრეწველო პოტენციალის გაზრდაში, ეკონომიკის მთელი რიგი მაჩვენებლების მიხედვით რესპუბლიკის ჩამორჩენის საბოლოო დაძლევის ამოცანათა გადაწყვეტაში, სამეურნეო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დადებითი ტენდენციების განვითარებასა და დამკვიდრებაში.

რესპუბლიკაში მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში დიდი როლი შეასრულეს სამართალდაცვის ორგანოებმა. ამაღლდა სასამართლოს, პროკურატურის, შინაგან საქმეთა ორგანოების, იუსტიციის დაწესებულებათა პასუხისმგებლობა, გაიზარდა საბჭოთა კანონების დაცვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცების მნიშვნელობა. რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ყველა მუშაკისათვის მოქმედების დევიზად იქცა ლ. . ბრეჟნევის სიტყვები: „სამართლის, კანონის პატივისცემა თითოეული ადამიანის პირადი მრწამსი უნდა გახდეს. ეს მით უმეტეს ეხება თანამდებობის პირთა საქმიანობას. ვერ შევურიგდებით კანონის დარღვევას თუ მისთვის გვერდის ავლის ვერავითარ ცდებს, როგორც უნდა ასაბუთებდნენ მას. ვერ შევურიგდებით ვერც პიროვნების უფლებათა დარღვევას, მოქალაქეთა ღირსების შელახვას. ჩვენთვის კომუნისტებისათვის, ყველაზე ჰუმანური იდეალების მოჭრეებისათვის, ეს პრინციპის საქმეა“[2].

რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოების საქმიანობის თვისებრივად გარდაქმნაში უდიდესი როლი შეასრულა იმან, რომ დამნაშავეობასთან ბრძოლას სათავეში უდგანან და წარმართავენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, მისი სამუშაო ჯგუფი, რომლებიც სისტემატურად იხილავენ სამართალდარღვევების თავიდან აცილების და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების იდეოლოგიური უზრუნველყოფის საკითხებს. მუშავდება და ხორციელდება პროკურატურის, სასამართლოს, მილიციის, აგრეთვე პრესის, ტელევიზიის, რადიოს სპეციალური ერთობლივი გეგმები დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებრივი აზრის მობილიზების, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი შეუწყნარებელი ვითარების შექმნის ყველაზე აქტუალურ საკითხებზე.

სწორედ ამის წყალობით არის, რომ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები კიდევ უფრო აღრმავებენ მიღწეულ პოზიტიურ შედეგებს, დაუნდობლად იბრძვიან უყაირათობის, მფლანგველობის, მომხვეჭელობის, მექრთამეობის, სპეკულაციის, დატაცებათა წინააღმდეგ, ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს დამნაშავეობის პროფილაქტიკისა და თავიდან აცილებისათვის. ბოლო წლებში გამოვლენილი არიან მსხვილი დამტაცებლები, რომლებიც მოკალათებული იყვნენ თბილისის შამპანური ღვინის ქარხანაში, ფინანსთა სამინისტროში, სოფლის

---

[2] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 103, თბ., 1971 წ. საქართველოს კპ ცკ. გამომცემლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობის სამინისტროს სისტემაში და სხვა უწყებებში. ფულადი ზარალი, რომელიც მათ მიაყენეს სახელმწიფოს, ათმილიონობით მანეთს შეადგენს.

ანტისაზოგადოებრივი მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებებს აღწევენ ის პარტიული კომიტეტები და სამართალდაცვის ორგანოები, რომლებიც ინტერესს იჩენენ დამნაშავეობის აქტუალური პრობლემებისადმი და თანამიმდევრულად, ბოლომდე წყვეტენ მას.

ჟურნალის ამ ნომერში გამოქვეყნებულია პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პირველი მდივნის ნ. რუხაძის სტატია, რომელშიც მოთხრობილია, თუ რა ჯოზიტიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს დამნაშავეობასთან ბრძოლაში კონკრეტულობასა და სისტემურობას. ქუთაისელთა ეამოცდილება ბევრი ასპექტით არის საგულისხმო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილების შესაბამისად ბოლო ხანს დიდი ყურადღება ექცევა ადმინისტრაციულ ორგანოებში ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის გამოვლინებებთან ბრძოლას. ხორციელდება ღონისძიებანი ქურდობის, ნარკომანიის, მუქთახორობის, ხულიგნობის, ავტოსატრანსპორტო საშუალებათა გატაცების წინააღმდეგ. სულ უფრო მაღლდება სასამართლო პროცესების აღმზრდელობითი როლი დამნაშავეობასთან ბრძოლაში.

ამ ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა წესად აქცია, რომ მოპოვებული მიღწევების აღნუსხვისა და საზეიმო განწყობილების დროსაც მოგვიწოდებს ვიყოთ თვითკრიტიკული, ყურადღება მივაპყროთ ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებს. ახლაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატებები ზღვარი არ არის. უფრო მეტიც, ჩვენ დღესაც კიდევ ბლომად გვაქვს პრობლემებიც, გადაუჭრელი ამოცანებიც, ნაკლოვანებებიც, მათ შორის სერიოზული ნაკლოვანებებიც.

ავიღოთ მაგალითად ისეთი პრობლემა როგორიც არის მუქთახორობა. რესპუბლიკის ბევრ რეგიონში ამ დიდ ბოროტებასთან ბრძოლას ჯერ კიდევ არ ექცევა ჯეროვანი ყურადღება.

სტატისტიკა მოწმობს, რომ განსაკუთრებით საშიში დანაშაულის უმრავლესობას მუქთახორები სჩადიან. ბრძოლა ამ პირთა წინააღმდეგ პირველი რიგის აქტუალურ პრობლემად იქცა. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული ორგანოები დიდ მუშაობას ეწევიან დაუსაქმებელ პირთა გამოვლენისათვის, მათი საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმისათვის. შარშან იმათგან, ვინც არსად არ მუშაობდა, სამუშაოზე მოწყობილია 77 პროცენტი. ამან დადებითი გავლენა მოახდინა ოპერატიულ ვითარებაზე. იკლო დამნაშავეობამ იმ პირთა შორის, რომლებიც არსად არ მუშაობდნენ და არ სწავლობდნენ. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია თვალი დავხუჭოთ იმ ნაკლოვანებებზე, რომლებიც ამ მხრივ გვაქვს. მაგალითად, ბორჯომის რაიონში სულ ოთხი უსაქმური გამოავლინეს, მახარაძეში — შვიდი, ბოლნისში — რვა და ა. შ. როგორც ჩანს, ამ რაიონებში არ არის შექმნილი ერთიანი ფრონტი იმათ წინააღმდეგ, ვინც თავს არიდებს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომას. პარაზიტიზმის აღკვეთის საკითხები დღენიადაგ უნდა იყოს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების ყურადღების ცენტრში. უამისოდ ადვილი შესაძლებელია კვლავ შეიქმნას ჩვენი საზოგადოებისათვის უცხო, ანტიპოდური მოვლენების გამოცოცხლებისა და გავრცელების ნიადაგი. ამის თავიდან აცილებისათვის საჭიროა მეტი ყურადღება დავუთმოთ უსაქმურობასთან ბრძოლას, მუქთახორობის წარმომშობი მიზეზებისა და პირობების შესწავლას. აუცილებელია შევიმუშაოთ ამ ბოროტების წინააღმდეგ „ბრძოლის ორგანიზაციული-აღმზრდელობითი და სამართლებრივი ღონისძიებების კომპლექსი. „საქართველოს სს რესპუბლიკის თითოეული მცხოვრები, თქვა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრებაზე ე. ა. შევარდნაძემ, — თითოეული ზრომისუნარიანი მოქალაქე უნდა მუშაობდეს, თავისი წვლილი შეიტანოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ ეს არის უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური და სოციალური პარამეტრების მიხედვით საშუალო საკავშირო დონის მიღწევების მაგისტრალური გზა".[3]

სტატისტიკა ასევე მოწმობს, რომ ბევრი ხელმძღვანელი სამეურნეო მუშაკი უგულებელყოფს კანონის, განსაკუთრებით შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს, უხეშად არღვევს მის ნორმებს, აბუჩად იგდებს მშრომელ კაცს, ლახავს კანონით გარანტირებულ მის ინტერესებს. განა ჩვენს შეშფოთებას არ უნდა იწვევდეს ის ფაქტი, რომ სასამართლოები აკმაყოფილებენ შრომითი დავების 65-70 პროცენტს და აღადგენენ მუშა-მოსამსახურეებს სამუშაოზე, როგორც უკანონოდ დათხოვნილებს. საზოგადოებრივი და ადმინისტრაციული, უპირველესად პროფკავშირული ორგანოები მოვალენი არიან წინააღუდგნენ შრომის კანონმდებლობის დარღვევას. ისინი არ უნდა ურიგდეშოდნენ „შრომის კანონმდებლობისაგან რაიმე გადახვევას. მაგრამ ეს არ კმარა. პროფკავშირები თავიანთი საქმიანობით უნდა ქმნიდნენ ისეთ ვითარებას, როცა გამორიცხული იქნება თვით მუშაკაცის უფლებათა დარღვევის შესაძლებლობა, როცა წარმოუდგენელი გახდება ყოყოჩობისა და გულგრილობის ყოველი გამოვლინება, რომლებითაც ჯერ კიდევ სცოდავენ ცალკეული ხელმძღვანელები"[4].

ადმინისტრაციული ორგანოების უახლოესი ამოცანები ლაკონიურად განსაზღვრა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა თავის წერილში საბჭოთა საქართველოს კომუნისტებისადმი, ყველა მშრომელისადმი პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მე-10 წლისთავთან დაკავშირებით. ამ წერილში ნათქვამია, რომ „ჯერ კიდევ დაძაბული სიტუაციაა წვრილ-წვრილ დატაცებებთან, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევებთან, ლოთობასთან, ხულიგნობასთან, მუქთახორობასთან დაკავშირებით. თუ გვინდა მთლიანად გავწმინდოთ რესპუბლიკის ატმოსფერო ყოველივე იმისაგან, რაც ნორმალურ ცხოვრებასა და მუშაობაში უშლის ხელს მის პატიოსან მშრომელებს საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ: დღეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა შეიძინოს კიდევ უფრო მიზანმიმართული ხასიათი. ვიდრე ჰქონია ოდესმე მას შემდეგ, რაც სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება პარტიის თბილისის კომიტეტის შესახებ. დღენიადაგ უნდა ვაძლიერებდეთ საკონტროლო და სამართალდაცვის ორგანოებისადმი მომთხოვნელობას, ვზრდიდეთ მათთვის ყველა რანგისა და რგოლის ხელმძღვანელთა პერსონალური პასუხისმგებლობას"[5].

ნათქვამია მოკლედ, ნათლად და პირუთვნელად, ამ სიტყვებიდან სათანადო დასკვნები უნდა გამოიტანოს ყველამ, რათა უახლოეს ხანში გაუმჯობესდეს რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების ყველა რგოლის მუშაობა, ამაღლდეს სასამართლოს, პროკურატურის, ადვოკატურის, ნოტარიატის, მმაჩის ორგანოების საქმიანობის ხარისხი, ეს მით უფრო საჭიროა, რომ ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის როლი ამჟამად კიდევ უფრო იზრდება. როგორც ლ. ი. ბრეჟნევმა აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, „დიდი მუშაობა მოგველის ყოველივე იმის აღმოფხვრისათვის, რაც ხელს უშლის ახალი ადამიანის ჩამოყალიბებას. ეს ერთერთი განუყოფელი ნაწილია პარტიის სოციალური პოლიტიკისა"[6].

ეს მოითხოვს თვისებრივად ახალ დონეზე ავიყვანოთ წარსულის მავნე გადმონაშთების, სოციალიზმისათვის უცხო ანტიპოდების წინააღმდეგ ბრძოლა. ნეგატიური მოვლენების დაძლევა, რესპუბლიკის ატმოსფეროს გაწმენდა ყოველივე იმისაგან, რაც ხელს უშლის მშრომელი ადამიანის ნორმალურ მუშაობას. ცხოვრებას და დასვენებას ჩვენი გადაუდებელი ამოცა-

---

[3] გაზეთი „კომუნისტი", 3 მარტი, 1982 წ.

[4] ლ. ი. ბრეჟნევი, სიტყვა სსრ კავშირის პროფკავშირების XVII ყრილობაზე, გაზეთი „კომუნისტი", 17 მარტი, 1982 წ.

[5] გაზეთი „კომუნისტი", 6 მარტი, 1982 წ.

[6] სკკპ XXVI ყრილობის მასალები, გვ. 102, თბ., 1981 წ., „საბჭოთა საქართველო".

ნაა. და თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების საქმიანობას, იგი არ შეიძლება მთლიანად დამაკმაყოფილებლად ჩავთვალოთ.

დამნაშავეობის შემცირების ტემპი როგორც უმნიშვნელოვანესი პოზიციების მიხედვით, ისე ცალკეულ რეგიონებში არ არის დამაკმაყოფილებელი, ვერ უპასუხებს დღევანდელ მოთხოვნებს, არ შეესაბამება იმ ამოცანებს, რომლებსაც პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს უსახავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

ათი წელი უმნიშვნელო ვადაა ისტორიისათვის. მაგრამ ამ დროში ქართველი, ხალხი, ჩვენი რესპუბლიკა ბევრი ისტორიული ამბის მონაწილე გახდა. ამაში გადამწყვეტი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ თბილისის კომიტეტის შესახებ.

რესპუბლიკის ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების საფუძველზე კვლავაც უნდა განახორციელონ სახელმწიფო დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცების კურსი, სოციალისტური კანონიერების განუხრელი დაცვის, ნეგატიური მოვლენების ძლმოფხვრის მტკიცე გეზი. დღენიადაგ იზრუნონ თავიანთი საქმიანობის სრულყოფის, პრესტიჟის და ავტორიტეტის ამაღლებისათვის, კიდევ უფრო ქმედითი გახადონ შრომითი კოლექტივების, საზოგადოებრიობის მონაწილეობა სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში. სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის მუშაობის ძირითად მიმართულებად მათ უნდა მიიჩნიონ ამოცანები, რომლებიც განსაზღვრულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილებით „მართალწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“.

ეს ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის სამართალდაცვის ორგანოებს საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ და ეჭვი არ არის, რომ ისინი პირნათლად მოიხდიან თავის ვალს პარტიის წინაშე, ხალხის წინაშე, საქმით გაამართლებენ ამ დიდ შეფასებასა და ნდობას, რომელსაც მათ უცხადებენ საქართველოს კომუნისტური პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი.

—•—

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ქალაქკომი დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზატორი

ნ. რუხაძე,
საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი

ქალაქ ქუთაისის მშრომელებმა თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვეს სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების ყველა დარგში. ამას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სოციალისტური დისციპლინისა და მართლწესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის ჩვენმა მიზანდასახულმა ბრძოლამ.

პარტიის საქალაქო კომიტეტი ბოლო წლებში ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა „მართლწესრიგის დაცვისათვის მუშაობის გაუმჯობესებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს ცნობილი დადგენილების მოთხოვნათა შესასრულებლად.

ქალაქში 1978-1979 წლებში შექმნილმა ოპერატიულმა ვითარებამ გაღიუდებლად მოითხოვა მართლწესრიგის განმტკიცებისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფა, რასაც თავის მხრივ საფუძვლად დაედო ქალაქში დამნაშავეობის ღრმა, მეცნიერული ანალიზი, დამნაშავეობის დინამიკისა და სტრუქტურის ადგილობრივი პირობებისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებები, კრიმინოგენური ფაქტორების მოქმედების სპეციფიკა. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი მიმართულებები განსაზღვრა 1980 წლის მარტში გამართულმა ქალაქის პარტიული აქტივის კრებამ. მას წინ უძღოდა დამნაშავეობის დინამიკის ათწლიანი პერიოდის მეცნიერული გამოკვლევა ქალაქის მასშტაბით. როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა, ქალაქში ოპერატიულ მდგომარეობას ართულებდა სამი კატეგორიის დანაშაული: ქონებრივი, ხულიგნობა და არასრულწლოვანთა დანაშაული.

პარტიული აქტივის კრებამ ქალაქის პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სამართალდამცველ ორგანოებს დაუსახა დამნაშავეობასთან ორგანიზატორული მუშაობის გაუმჯობესების პროგრამა. პარტიის საქალაქო კომიტეტში შემუშავდა მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ახალი სისტემა. შეიქმნა მუდმივმოქმედი ორგანო, რომელსაც დაევალა უზრუნველეყო ქალაქის ყველა ორგანოსა და რგოლის კოორდინაცია ქალაქში მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დასამკვიდრებლად, უპირველესად მოქალაქეთა პირადი ქონების, ხულიგნობის, არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროს 1980 წლის 13 მარტის დადგენილებით ჩამოყალიბდა მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი. ამავე დადგენილებით განისაზღვრა შტაბის სტრუქტურა, ფუნქციები და მუშაობის რეგლამენტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შტაბში შედის 13 წევრი, რომელთა საერთო ხელმძღვანელობას ახორციელებს მისი თავმჯდომარე, პარტიის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და ოპერატიული მდგომარეობის სპეციფიკის გათვალისწინებით შტაბთან შეიქმნა შემდეგი პრობლემური ჯგუფები: 1. ქონებრივი დანაშაულისა და მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის ჯგუფი (ხელმძღვანელი — პარტიის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი); 2. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის ჯგუფი (ხელმძღვანელი — პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი), 3. საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ჯგუფი (ხელმძღვანელი — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე).

ცოტა მოგვიანებით, მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გამწვავებასთან დაკავშირებით, ჩამოყალიბდა მეოთხე პრობლემური ჯგუფი — მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლისა და საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში პირთა ჩაბმის პრობლემური ჯგუფი (ხელმძღვანელი — საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველი მოადგილე).

შტაბის სხდომები წინა წლებში იმართებოდა ყოველ სამშაბათს, სამუშაო საათების შემდეგ, მიმდინარე წელს კი იმართება თვეში ორჯერ, მეორე და მეოთხე სამშაბათს. მის სხდომას, თუ აუცილებელია, ესწრებიან მოწვეული ამხანაგები, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს შორის მუშაობის კოორდინაციის უზრუნველსაყოფად შტაბის სხდომებს, როგორც წესი, ესწრებიან რაიონული კომიტეტების პირველი მდივნები. სხდომებს დამტკიცებული გეგმისა და რეგლამენტის თანახმად ამზადებს შტაბის პასუხისმგებელი მდივანი.

სხდომა პირველყოვლისა ისმენს ცნობას ოპერატიული მდგომარეობის შესახებ, შემდეგ თითოეული პრობლემური ჯგუფის ხელმძღვანელი აკეთებს მოკლე ინფორმაციას გაწეული მუშაობის შესახებ. ამის შემდეგ იხილება საგეგმო საკითხები. განხილულ საკითხზე მიღებული გადაწყვეტილება კონკრეტულია, მითითებულია განსახორციელებელი ღონისძიება, შესრულებისათვის პასუხისმგებელი პირი და შესრულების ვადა.

ზოგჯერ საკითხის აქტუალობის მიხედვით შტაბი იღებს გადაწყვეტილებას მისი პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე განხილვის შესახებ. განვლილი ორი წლის მანძილზე ამ პრინციპით შტაბის სხდომაზე განხილული 97 საკითხიდან შემდგომში პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიუროზე განხილულია 5 საკითხი.

შტაბის ყველა მასალას გამოსაქვეყნებლად ამზადებს სპეციალური სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ხელმძღვანელობს პარტიის საქალაქო კომიტეტის მდივანი. მასალების პუბლიკაცია ხდება როგორც საქალაქო გაზეთების ფურცლებზე, ისე შინაგან საქმეთა სამმართველოს სატირულ-იუმორისტულ ყოველთვიურ გაზეთში „შანთი" და სახალხო რაზმელთა საქალაქო შტაბის სპეციალურ სტენდზე, ამგვარად, სარედაქციო კოლეგია ფაქტობრივად კოორდინაციას უწევს ქალაქის მასშტაბით სამართლებრივი პროპაგანდის ხაზით წარმოებულ მუშაობას.

ამამად შეიძლება ითქვას, რომ მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შტაბი, რომელიც ორი წელია პარტიის საქალაქო კომიტეტთან მოქმედებს, დიდ როლს ასრულებს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ოპერატიული ვითარების გაუმჯობესებაში. ამას ადასტურებს უკვე მიღებული ხელშესახები, პოზიტიური შედეგები. შტაბის ინიციატივით შრომით კოლექტივებში, საწარმოებში მოქმედი სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საბჭოების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების ყურადღება გამახვილდა სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და განიავების, მიწერებისა და თვალისახვევის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებაზე.

ამაღლდა საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა სოციალისტური საკუთრების დაცვისა და მოვლა-პატრონობის, საბუღალტრო-სარევიზიო აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის საქმეში, გაუმჯობესდა მატერიალურად პასუხისმგებელ თანამდებობებზე კადრების შერჩევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გააქტიურდა პროკურატურის, შინაგან საქმეთა, სასამართლო და სახალხო კონტროლის ორგანოთა საქმიანობა და გაიზარდა მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებების ეფექტიანობა და ქმედითობა.

შტაბის ინიციატივით 1980 წლის 21 მარტიდან ქალაქის საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში გაიმართა სოციალისტური საკუთრების დაცვის საზოგადოებრივი დათვალიერება. დათვალიერებამ მოიცვა ქალაქის 320 ორგანიზაცია, სავაჭრო ორგანიზაციების 514 ობიექტი და საყოფაცხოვრებო მომსახურების 41 ობიექტი. დათვალიერებაში მონაწილეობდა 3.420 კაცი. დათვალიერების შედეგები 1980 წლის მაისში შეაჯამა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ, რომელმაც დაავალა სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტს განეგრძო სახალხო მეურნეობის ობიექტებში სოციალისტური საკუთრების დაცვის მდგომარეობის შემოწმება და შედეგები მოეხსენებინა კვარტალში ერთხელ საქალაქო კომიტეტის ბიუროსათვის, ხოლო ყოველთვიურად — შტაბისათვის.

სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახანძრო უსაფრთხოების დისციპლინის განმტკიცებასა და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების განხორციელებას. შემუშავდა გეგმა სახალხო მეურნეობის ობიექტების ხანძრისაგან დასაცავად.

მნიშვნელოვანი ღონისძიებანი ხორციელდება ქალაქის საწარმოო დაწესებულებებში დაცვითი ტექნიკისა და სიგნალიზაციის დანერგვისათვის. ბოლო სამ წელიწადში სახალხო მეურნეობის 241 მსხვილ ობიექტზე დაინერგა სიგნალიზაცია, ახალი მოწყობილობებით აღიჭურვა 275 ობიექტი, ორმაგი და სამმაგი ზღუდეები გაუკეთდა 125 ობიექტს, ცენტრალური დაკვირვების პულტზე ჩაირთო 259 ობიექტი.

სოციალისტური ქონების დაცვისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების, სამეურნეო ხელმძღვანელებისა და შრომითი კოლექტივების პასუხისმგებლობის ამაღლებისათვის საქალაქო სოციალისტური შეჯიბრების ღებულებაში შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სოციალისტური შეჯიბრის შედეგების შეჯამებისას მხედველობაში მიიღება საწარმოში, ორგანიზაციაში და დაწესებულებაში დისციპლინისა და მართლწესრიგის მაჩვენებლები. ამასთან დაკავშირებით დანაშაულებრივი ფაქტების სპეციალური აღრიცხვა წარმოებს ცალკეული შრომითი კოლექტივების მიხედვით.

შარშან კიდევ უფრო გაძლიერდა ბრძოლა სოციალისტური ქონების დატაცების, მექრთამეობის, სპეკულაციისა და სხვა ანგარებითი დანაშაულის წინააღმდეგ, ქალაქკომის ბიურომ იმსჯელა შინაგან საქმეთა სამმართველოს სოციალისტური საკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების მიერ გაწეული მუშაობისა და ამოცანების შესახებ. საკითხის განხილვამ გვიჩვენა, რომ ეს სამსახური ჯერ კიდევ ვერ უპასუხებს იმ გაზრდილ მოთხოვნებს, რომელიც მას წარდგენილი აქვს.

ქალაქკომის ბიურომ არასაკმარისად მიიჩნია განყოფილების მიერ გაწეული მუშაობა და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მდგომარეობის გამოსასწორებლად. ამავე დადგენილებით მართლწესრიგის განმტკიცებისა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის შტაბს დაევალა, რომ, როგორც წესი, კვარტალში ერთხელ მოისმინოს ამ განყოფილების მიერ გაწეული მუშაობის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი მუშაობა წარმოებს მოქალაქეთა პირადი ქონების ქურდობის აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის. ეს დანაშაული ყველაზე მეტად არის გავრცელებული ქალაქში. ჩვენ საჭიროდ მივიჩნიეთ ქურდობის აღკვეთის თავიდან აცილების საქმეში ქ. მოსკოვის გამოცდილების დანერგვა. პროფილაქტიკური ღონისძიებანი უზრუნველვყავით ორი ძირითადი მიმართულებით:

1) საცხოვრებელი სექტორის დაცვა სიგნალიზაციითა და სხვა ტექნიკური საშუალებებით; 2) თვითონ მოსახლეობის გააქტიურება პირადი ქონების ქურდობის თავიდან აცილების გეგმების განხორციელებაში.

უპირველეს ყოვლისა განხორციელდა ღონისძიებანი სიგნალიზაციითა და სხვა ტექნიკური საშუალებით საცხოვრებელი სექტორის გამაგრებისათვის. ამასთან, დაცვითი სიგნალიზაციის დამონტაჟება მიმდინარეობს, როგორც საექსპლოატაციოდ გადაცემულ მრავალსართულიან სახლებში, ისე მშენებარე ობიექტებზე. სიგნალიზაციის გარდა, პრაქტიკაში დაინერგა სპეციალური მოწყობილობა საცხოვრებელი ბინების შესასვლელი კარების ტექნიკური გამაგრებისათვის, რომლის მოდელიც შეიმუშავა შინაგან საქმეთა სამმართველოს სამეცნიერო-ტექნიკურმა ქვეგანყოფილებამ. შტაბის გადაწყვეტილებით შესაბამის სამსახურებს წინადადება მიეცათ საექსპლოატაციოდ არ მიიღონ საცხოვრებელი სახლები, თუკი მათზე დამონტაჟებული არ იქნება კარების ტექნიკური გამაგრების საშუალებანი. დღეისათვის დაცვითი სიგნალიზაციით აღჭურვილია 2854 საცხოვრებელი ბინა, მათ შორის 1981 წელს — 861. კარების ტექნიკური გასამაგრებელი მოწყობილობა დამონტაჟდა 250 ბინაში.

ბინის ქურდობის აღკვეთა-თავიდან აცილების საქმეში მოსახლეობის გააქტიურებისათვის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საბინაო სამმართველოს მეშვეობით შემოწმდა მრავალსართულიან სახლებში სადარბაზოების კარებისა და სახურავზე გასასვლელების მდგომარეობა. განხორციელდა ღონისძიებანი მათი გამაგრებისათვის. შტაბის დავალებით რაიონული საბჭოს აღმასკომებმა შეადგინეს მრავალსართულიან სახლებში მცხოვრებთა მორიგეობის განრიგი, რომლის შესრულებისადმი კონტროლი საბინაო სამმართველოებს დაევალათ. ამასთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა რაიონულმა განყოფილებებმა სპეციალური წერილით მიმართეს მოქალაქეებს, რომლის ტექსტი გამოიკრა თვალსაჩინო ადგილას. პარტიის საქალაქო კომიტეტის განყოფილება, შტაბი სისტემატურად ისმენენ ინფორმაციებს მოქალაქეთა მორიგეობის მიმდინარეობის შესახებ.

ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების განხორციელებასთან ერთად დიდი ყურადღება ეთმობა ამ კატეგორიის საქმეთა მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებში განხილვის პრაქტიკას. შტაბის გადაწყვეტილებით ეს საკითხი სპეციალურად იქნა შესწავლილი. როგორც განხილვამ გვიჩვენა, ქალაქში ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას ხელს უშლის ადმინისტრაციული ორგანოების არადამაკმაყოფილებელი ოპერატიული მუშაობა, ჯერ კიდევ დაბალია ამ კატეგორიის საქმეების საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკა, უხეშად ირღვევა სახელმწიფო და პირადი ქონების ქურდობის აღრიცხვისა და რეგისტრაციის წესი, იყო ქურდობის დაფარვის ფაქტებიც.

ქონებრივი დანაშულის საქმეების მოკვლევის, გამოძიებისა და სასამართლოში განხილვისადმი კონტროლის გაძლიერების მიზნით შემუშავებულია სპეციალური ფორმა, რომელიც საშუალებას იძლევა, ერთი მხრივ, მკაცრ კონტროლს დავუქვემდებაროთ ქონებრივი დანაშაულის თითოეული შემთხვევა დანაშაულის ჩადენის მომენტიდან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე და, მეორეც, უზრუნველვყოთ ქონებრივი დანაშაულის ყოველ ფაქტზე პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დროული რეაგირება.

ქურდობის შემცირებისათვის ბრძოლაში დიდი როლი შეასრულა ამ დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერებამ. შტაბმა შეიმუშავა ქურდობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების თაობაზე საქართვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის მაისის ბრძანებულების მოსახლეობაში პროპაგანდის ფართო გეგმა, რომელიც მიზნად ისახავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა, პროპაგანდისტული მუშაობის სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, იმას, რომ ყველამ იცოდეს კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილების არსი და მნიშვნელობა. 1980 წლის ივნისში, როდესაც ახალი ბრძანებულება ძალაში შევიდა, ქალაქში აღირიცხა მხოლოდ რამდენიმე დანაშაული, მათ შორის ქურდობის არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა.

ქონებრივი დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებულმა ღონისძიებებმა საფანადო ნაყოფი გამოიღო. 1980 წელს სახელმწიფო ქონების ქურდობათა შემთხვევები წინა წელთან შედარებით შემცირდა 55,2 პროცენტით, პირადი ქონების ქურდობა 45,2 პროცენტით, ხოლო ბინის ქურდობა 55,2 პროცენტით. პირადი ქონების ძარცვამ იკლო 37,5 პროცენტით. 1981 წელს ბინის ქურდობის რაოდენობა კვლავ შემცირდა 36,4 პროცენტით.

მეორე პრობლემა ჩვენთვის იყო ზრუნვა ქალაქში საზოგადოებრივი წესრიგის შემდგომი განმტკიცებისათვის. ეს მუშაობა ორი ძირითადი მიმართულებით წარიმართა: 1. საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით ნებაყოფლობითი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი გავლენის ინსტიტუტების გააქტიურება ანტისაზოგადოებრივ მოვლენათა წინააღმდეგ ბრძოლაში; 2. შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამისი სამსახურის (საპატრულო-საგუშაგო სამსახური, უბნის ინსპექტორები და ა. შ.) როლის ამაღლება მართლწესრიგის უზრუნველყოფაში, მოსახლეობასთან, სახალხო რაზმელებთან და წესრიგის დაცვის საზოგადოებრივ პუნქტებთან მათი ურთიერთკავშირის განმტკიცება.

მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლაში საზოგადოებრიობის ფართოდ ჩაბმისათვის ქალაქი დაიყო 18 სექტორად. თითოეული სექტორის ხელმძღვანელობა განისაზღვრება 10-11 კაცის რაოდენობით, რომელთა პერსონალური სიები დაამტკიცა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა. სექტორების შემადგენლობაში შედიან პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული მუშაკები, დეპუტატები, სახალხო რაზმელები, საუბნო კომიტეტების თავმჯდომარენი, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების უფროსები და ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები.

შემუშავებულია საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის მებრძოლი სექტორების მუშაობის ძირითადი მიმართულებანი. მათ ყოველდღიურ ხელმძღვანელობასა და კონტროლს უწევენ საქალაქო საბჭოს აღმასკომის განყოფილებათა გამგეები და სამმართველოს უფროსები, საერთო ხელმძღვანელობას კი ახორციელებს შტაბთან არსებული საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის ბრძოლის ჯგუფი.

სექტორები სახალხო რაზმელების აქტიური მონაწილეობით ყოველკვირეულად აწყობენ რეიდებს, აკლენენ მუქთახორებს, ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესების დამრღვევთ, ნარკომანებს, ლოთებს, ქუჩაში მოძრაობის წესების დამრღვევთ, ხულიგნებს, სპეკულანტებს, შინ გამოხდილი სპირტიანი სასმელებით მოვაჭრეებს; ცივი და ცეცხლსასროლი იარაღის უნებართვოდ მფლობელებს, საპასპორტო რეჟიმის დამრღვევთ, აწესრიგებენ მეზობლურ დავას, სამუშაოზე აწყობენ პატიმრობიდან დაბრუნებულ პირებს, რეიდები ეწყობა წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების ბაზაზე, სადაც ქოქმედებს სპეციალური კომისია, რომელიც აღრიცხავს გამოვლენილ დარღვევებს და დამრღვევებთან ახსნა-განმარტებითს მუშაობას ეწევა. კვირის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ ივსება სპეციალური ფორმა, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელსაც შტაბის სხდომას წარუდგენს შესაბამისი პრობლემური ჯგუფის ხელმძღვანელი.

მართლწესრიგის განმტკიცებისათვის მუშაობის გააქტიურებამ მოითხოვა ოპერატიულად დაზიანებულ უბნებში დამატებით გაგვეხსნა წესრიგის დაცვის ორი საზოგადოებრივი პუნქტი. ქალაქში ამჟამად წესრიგის დაცვის რვა საზოგადოებრივი პუნქტია. მათ მიერ გაწეული მუშაობა ჯამდება ყოველკვარტალურად.

გაიზარდა სახალხო რაზმელთა რაოდენობა და გაუმჯობესდა მათი თვისებრივი შემადგენლობა. თუ გასულ წლებში ქალაქში მოქმედებდა 5000 სახალხო რაზმელი, დღეისათვის მათი რიცხვი 9600-ზე მეტია. ახლა ქალაქში ყოველდღიურად 100-ის ნაცვლად სამორიგეოდ გამოდის 200-მდე სახალხო რაზმელი. გაიხსნა ახალი საგუშაგოები, კვლავ ფუნქციონირებს ოლიმპიადის პერიოდში ქალაქში ჩამოყალიბებული სახალხო რაზმეული, რომელშიც 40 კაცია გაერთიანებული.

პარტიის საქალაქო კომიტეტისა და საქალაქო საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით 1980 წელს გაიმართა ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების საქალაქო დათვალიერება, რამაც ხელი შეუწყო მათი საქმიანობის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფას.

მნიშვნელოვნად განმტკიცდა საპატრულო-საგუშაგო სამსახური კადრებით და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. შარშან დამატებით გამოიყო საშტატო ერთეულები, ამის წყალობით შინაგან საქმეთა სამმართველოს საპატრულო-საგუშაგო გაიზარდა.

რეორგანიზაციასთან ერთად თვისებრივი ცვლილებებია საპატრულო-საგუშაგო სამსახურის საქმიანობაში. 1979 წლიდან აქ დაინერგა ქ. მინსკის შინაგან საქმეთა ორგანოების მოწინავე გამოცდილება. წინათ არსებული სტაციონარული საგუშაგოების ნაცვლად შემოღებულია საპატრულო უბნის სისტემა, რაც საშუალებას იძლევა უფრო დინამიკური, ქმედითი გახდეს განხორციელებული ღონისძიებანი და ამაღლდეს გუშაგის პასუხისმგებლობა გამოყოფილ უბანზე საზოგადოებრივი წესრიგის მდგომარეობისათვის.

ბევრი რამ კეთდება უბნის ინსპექტორთა მუშაობის გააქტიურებისა და მათი პასუხისმგებლობის ამაღლების მიზნით. შემუშავდა უბნის ინსპექტორთა ოპერატიულ-პროფილაქტიკური მუშაობის ქულობრივი შეფასების სპეციალური სისტემა, რომელმაც, ჩვენი აზრით, დადებითი შედეგები უნდა მოგვცეს.

სატრანსპორტო საშუალებები ქუთაისში სწრაფად იზრდება. ამან წამოჭრა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფის, საგზაო შემთხვევათა თავიდან აცილებისა და ავტოსატრანსპორტო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემა. ამ კატეგორიის სამართალდარღვევათა პროფილაქტიკის საქმეში ქალაქის შინაგან საქმეთა სამმართველოს სახელმწიფო ავტოინსპექციის განყოფილების ამოცანებზე სპეციალურად იმსჯელა პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ 1980 წლის 2 აპრილს.

ავტომანქანის გატაცებათა თავიდან აცილების მიზნით საქალაქო საბჭოს აღმასკომმა შარშან მიიღო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც შესაბამის სამსახურებს დაევალათ არ მისცენ ტექნიკური დათვალიერების მოწმობა იმ ავტომანქანების მფლობელებს, რომლებიც არ აღჭურავენ თავიანთ მანქანებს გატაცების საწინააღმდეგო საშუალებებით. ამასთან შტაბის გადაწყვეტილებით სპეციალურ სავაჭრო ორგანიზაციებს წინადადება მიეცათ შემოეტანათ თავიანთ ქსელში ავტომანქანის გატაცების საწინააღმდეგო საშუალებები.

ქალაქის საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ ქალაქში ნარკომანიის გავრცელების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხაციას. შემუშავებულია ღონისძიებათა ფართო გეგმა. ბრძოლა ნარკომანთა წინააღმდეგ კოორდინირებული და სისტემური ხასიათისაა.

ჩატარებულ ღონისძიებებს სათანადო შედეგები მოჰყვა. 1980 წელს ხულიგნობის შემთხვევები წინა წელთან შედარებით შემცირდა 16.7 პროცენტით, ავტომანქანის გატაცება — 18,2 პროცენტით, ნარკოტიკული ნივთიერებების ხმარება და გავრცელება — 14,8 პროცენტით, ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა — 19 პროცენტით. 1981 წელს ხულიგნობის რაოდენობამ კვლავ იკლო 16,3 პროცენტით, ავტომანქანის გატაცების შემთხვევებმა — 26,3 პროცენტით, ავტოსაგზაო შემთხვევებმა — 10,7 პროცენტით.

არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის გასაძლიერებლად პარტიის საქალაქო კომიტეტი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ახორციელებს. დიდი ყურადღება ეთმობა მოზარდებთან ინდივიდუალურ მუშაობას, ფართოდ არის გამოყენებული დამრიგებლობა და შეფობა, საზართალღარღვევებისადმი მიდრეკილების მოზარდებთან საქმიანობის ფორმების სრულყოფას.

კონკრეტულმა სოციოლოგიურმა გამოკვლევამ, რომელიც მოსწავლე ახალგაზრდობის სამართლებრივი აღზრდის მდგომარეობის შესასწავლად მოეწყო, გამოავლინა სერიოზული ნაკლოვანებანი სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა სამართლებრივ აღზრდაში. შემუშავებულია ღონისძიებანი მათს აღმოსაფხვრელად.

კომკავშირული აქტივის, განათლების ორგანოების, არასრულწლოვანთა კომისიებისა და ინსპექციის თანამშრომლებთან ერთად სისტემატურად იმართება რეიდები უზედამხედველო მოზარდთა გამოსავლენად. ხორციელდება პროფილაქტიკური ღონისძიებები, როგორც არასრულწლოვანის სასწავლებელში და საცხოვრებელ ადგილას, ისე მათი მშობლების შრომითს კოლექტივებში. ამის შედეგად შესამჩნევად იკლო მოსწავლე ახალგაზრდობის მიერ არასაპატიო მიზეზით გაკვეთილების გაცდენის რაოდენობამ. მაგალითად, 1980-1981 სასწავლო წელს არასაპატიო მიზეზით გაცდენა 52.000 საათით შემცირდა წინა წელთან შედარებით.

დიდი ყურადღება ექცევა სასამართლო ორგანოების მიერ არასრულწლოვანთა დანაშაულის საქმეებზე სასჯელის გადავადების სწორად გამოყენებას. შტაბი სისტემატურად ისმენს ამის თაობაზე ქალაქის პროკურორის ინფორმაციას.

ქალაქში იგრძნობა არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის შემცირების ტენდენცია. მიუხედავად ამისა, არსებული მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის სასურველ დონეზე. არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჯერ კიდევ ფართოდ ვერ ვიყენებთ პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, სოციოლოგიისა და იურიდიული მეცნიერების მიღწევებს. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დახმარებით ქალაქის მასშტაბით მოეწყო არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრობლემის მეცნიერული გამოკვლევა. სპეციალურად შედგენილი ანკეტით დამუშავდა ათწლეულში აღრიცხული არასრულწლოვანთა სისხლის სამართლის საქმე. განისაზღვრა ქალაქში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის გავრცელების გეოგრაფია. დადგინდა ქალაქის ხუთი უბანი, სადაც ჩადენილია არასრულწლოვანთა დანაშაულის საერთო რაოდენობის ნახევარზე მეტი, ამ უბნების ადმინისტრაციულ ორგანოებს წინადადება მიეცათ შეემუშავებინათ კონკრეტული სამოქმედო პროგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პარტიის ქალაქკომის ბიურომ გადაწყვიტა, რომ არასრულწლოვანთა დამნაშავეობის მეცნიერული კვლევის შედეგები განეხილა პლენუმზე. წარსულ 2 ივლისს პარტიის ქალაქკომის პლენუმმა მოისმინა საკითხი „ქალაქში არასრულწლოვანთა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობისა და მისი აღკვეთა-თავიდან აცილების საქმეში პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ორგანიზაციების, სასწავლო-აღმზრდელობითი დაწესებულებებისა და სამართალდამცველი ორგანოების ამოცანების შესახებ". პლენუმმა შეიმუშავა ქალაქში არასრულწლოვანთა დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლისა და პროფილაქტიკის მეცნიერულად დასაბუთებული გეგმა. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტთან ეს სასარგებლო თანამშრომლობა კვლავაც გრძელდება.

დიდი ყურადღება ექცევა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის ყოველი ფაქტის ვაშო საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, ამ საქმეში მასობრივი ინფორმაციის ორგანოების უნარიან გამოყენებას. პარტიის ქალაქკომიტეტის ბიურომ სულ მალე პლენუმის შემდეგ მწვავე შეფასება მისცა IV სამშენებლო ტრესტის მოპირკეთების სამმართველოს კომკავშირული ორგანიზაციის მდივნის მოადგილის, სკკპ წევრობის კანდიდატის ა. ჩ. სანდუხაძის მიერ დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩაბმის ფაქტებს.

ეს დადგენილება ფაროოდ განიხილეს ადგილობრივი პრესის ფურცლებზე და ყველა პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში.

საქართველოს ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტთან ერთად მომზადდა გადაცემა „მოიპარეს ბიჭები", რომლის ტრანსლაციის დროს ყველა კომკავშირულ ორგანიზაციაში გაიმართა ღია კრებები.

პარტიის ქალაქკომიტეტის ბიურომ გასული წლის 11 სექტემბერს მოისმინა ინფორმაცია „ქალაქის ახალგაზრდების ერთი ჯგუფის მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით საქართველოს ტელევიზიის გადაცემის ღია კომკავშირულ კრებებზე განხილვის შედეგების შესახებ" და კრებებზე გამოთქმული მოსაზრებების, წამოყენებული საკითხების, შემოსული შეკითხვების დასამუშავებლად და გასაანალიზებლად შექმნა სამუშაო ჯგუფი.

აქვე უნდა ითქვას, რომ საკითხს არასრულწლოვანთა დანაშაულის, მისი ხელისშემწყობი პირობების შესახებ, როგორც წესი, განიხილავს პარტიის რაიონული კომიტეტის ბიურო, ხოლო საგანგებო ფაქტის გამო — პარტიის ქალაქკომიტეტის ბიურო, ისე, რომ არასრულწლოვანთა დანაშაულის არც ერთი შემთხვევა არ რჩება პარტიული შეფასების გარეშე.

ყოველივე ეს სათანადოდ აისახა არასრულწლოვანთა დამნაშავეობის დინამიკაზე. 1981 წელს წინა წელთან შედარებით არასრულწლოვანთა დანაშაულის შემთხვევები შემცირდა 23,5 პროცენტით, ხოლო დამნაშავე არასრულწლოვანთა რიცხვი — 56,4 პროცენტით.

ამჟამად კიდევ უფრო იხვეწება არასრულწლოვანთა სამართალდარღვევების თავიდან აცილების ღონისძიებათა სისტემა, პრაქტიკაში მკვიდრდება არასრულწლოვანთა შორის აღმზრდელობითი, იდეოლოგიური და გამაფრთხილებელ-პროფილაქტიკური მუშაობის ახალი ქმედითი ფორმები, ქალაქის საწარმოთა, დაწესებულებათა საქმიანობის კოორდინაციას ახდენს, უნარიანად წარმართავს ქალაქის საბჭოს აღმასკომის არასრულწლოვანთა საქმეების კომისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლამნაშავეობის თავიდან აცილების ერთ-ერთ პირობად ჩვენ მიკვაჩნია მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება. ამ ბრძოლამ განსაკუთრებული სიმწვავე და პრინციპულობა შეიძინა გასულ წელს მოქმედ კანონმდებლობაში ცვლილების შეტანის შემდეგ. პრაქტიკულად ამით დაიწყო ახალი ეტაპი ამ ანტისაზოგადოებრივი მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლაში. მანამდე ბევრი ხარვეზი იყო მუქთახორობის გამოვლენის აღრიცხვის, მათი შრომითი მოწყობისა და შრომითს კოლექტივში დამკვიდრების მხრივ. მთელი სიმძიმე გადადიოდა შინაგან საქმეთა ორგანოებზე. ხშირად ამ კატეგორიის პირები შრომითი მოწყობის მეორე დღესვე ტოვებდნენ სამუშაო ადგილს და, ცნობას ამოფარებულნი, კვლავ განაგრძობდნენ ანტისაზოგადოებრივ პარაზიტულ ცხოვრებას. ეს უარყოფითს გავლენას ახდენდა ამ მუშაობის ხარისხსა და ეფექტიანობაზე.

1981 წლის მარტში და აპრილში ქალაქის პროკურატურის, სასამართლოსა და შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა მონაწილეობით მოეწყო შეცადინეობათა ციკლი მოქმედ კანონმდებლობაში მომხდარი ცვლილებების შესასწავლად. განხორციელდა აგრეთვე ორგანიზაციული ხასიათის ღონისძიებანი. მოეწყო მუქთახორობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთთვიური. ერთიანი სისტემის შესაქმნელად ქალაქი დაიყო ცხრა სექტორად. თითოეულ სექტორში შინაგან საქმეთა ორგანოების, საბინაო სამმართველოების, საუბნო კომიტეტების, სახლმმართველობებისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებისაგან შეიქმნა სპეციალური ჯგუფები დროებით უმუშევართა გამოვლენისა და აღრიცხვისათვის. რაიონული საბჭოს აღმასკომებთან არსებული კომისიები კი დროებით უმუშევართა შრომითს მოწყობასა და მათ სამუშაო ადგილას დამკვიდრებას უზრუნველყოფენ. მთელი ამ მუშაობის კოორდინაციას ახორციელებს საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი. პარტიის საქალაქო კომიტეტთან არსებული შტაბი სისტემატურად იხილავს მუშაობის შედეგებს.

თუ 1981 წლის პირველ ნახევარში გამოვლენილი იყო 193 დროებით უმუშევარი (მათ შორის 3 თვეზე მეტი ხნით — 140 პირი), რომელთაგან სამუშაოზე მოეწყო 175, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა რამდენიმე, წლის ბოლოსათვის უკვე გამოვლენილია 925 დროებით უმუშევარი (მათ შორის 3 თვეზე მეტი ხნით — 255), მათგან სამუშაოზე მოეწყო 757.

რასაკვირველია, ეს პირველი ნაბიჯები ჯერ კიდევ არ იძლევა გულდამშვიდების უფლებას. ხშირია, როცა ქალაქში სკოლადამთავრებული ასობით ახალგაზრდა უმაღლეს სასწავლებელში სწავლისათვის მომზადების მოტივით წლების განმავლობაში არ არის ჩაბმული საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში და ეჩვევა პარაზიტულ ცხოვრებას.

შარშან მივაღწიეთ თითქმის ყველა სკოლადამთავრებულის საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში ჩაბმასა და მათს შრომითს კოლექტივში დამკვიდრებას. მაგალითად, 1981 წელს ქალაქის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა დაამთავრა 2137 მოსწავლემ, მათგან სწავლა განაგრძო 1058 ახალგაზრდამ, ხოლო შრომითს საქმიანობაში ჩაება — 972. ამასთან მათი აბსოლუტური უმრავლესობა დასაქმებულია მატერიალური წარმოების სფეროში.

სერიოზულ პრობლემად კვლავ რჩება იმ რეციდივისტთა ჯანმრთელობის მდგომარეობის ხელახალი შემოწმება, რომლებიც, ინვალიდობის ცნობებს ამო-

17
ეროვნული ბიბლიოთეკა

17236

ფაილებულნი, არსებითად ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას ეწევიან, უარყოფითად მოქმედებენ მერყეულ ახალგაზრდებზე.

საქართველოს პარტიული აქტივის კრებამ, რომელიც მიმდინარე წლის იანვარში გაიმართა, დასახა ახალი ამოცანები ამ დარგში. ჩვენ უკვე შევადგინეთ მართლწესრიგის უზრუნველყოფის პერსპექტიული გეგმა, რომელიც მთლიანად ითვალისწინებს სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის ძირითად მიმართულებებს კანონიერების განმტკიცებისათვის. აძასთან, ქალაქის პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციებისა და ადმინისტრაციული ორგანოების კონკრეტულ გეგმას ძეოერთშეტე ხუთწლედში წარმოადგენს ქუთაისის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითადი მიმართულებანი, რომელიც დამტკიცდა პარტიის საქალაქო კომიტეტის XXXIII კონფერენციაზე. ამ დოკუმენტის მე-10 თავი უშუალოდ ეძღვნება ქალაქში სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას. მასში კომპლექსურად არის წარმოდგენილი ქალაქში სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ანალიზი და მტკიცე საზოგადოებრივი წესრიგის დამკვიდრებისათვის პარტიული, საბჭოთა და სამართალდამცველი ორგანოების ამოცანები.

ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ შეასრულოს პარტიული აქტივის დადგენილება, უფრო აქტიურად გამოიყენოს დანაშაულობათა პროფილაქტიკის ყველა ფორმა.

პარტიულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ იმ ღონისძიებათა იდეოლოგიური უზრუნველყოფა, რომლებიც ხორციელდება საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, ყოველნაირად აამაღლონ მშრომელთა პოლიტიკური სიფხიზლე, დანერგონ სამართალდამცველი ორგანოების, სპეციალური ერთობლივი გეგმების შემუშავება, რომლებიც ეძღვნება დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის, საზოგადოებრივი აღზრდის მობილიზაციის ყველაზე აქტუალურ პრობლემებს, ანტისაზოგადოებრივი გამოვლინებებისადმი შეუწყნარებლობის ვითარების შექმნის საკითხებს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობის დადგენილებიდან.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებური მითვისებისათვის

მ. უგრეხელიძე

საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის თანახმად თვითნებურად მითვისება ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდებისა, რასაც თან ახლდა რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა, — ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით იმავე ვადით.

ჩვენს ქვეყანაში დადგენილია მმართველობის მკაცრად განსაზღვრული წესი, რომლის შესაბამისად მოქალაქეებს ენიჭებათ თანამდებობრივი წოდებანი და ხელისუფლების წარმომადგენელთა უფლებამოსილებანი. ეს წესი მრავალი გზით შეიძლება დაირღვეს. ერთ-ერთია ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისება, რასაც თან ახლდა რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა. ასეთი დარღვევა 210-ე მუხლით დანაშაულად არის გამოცხადებული. ამ დანაშაულის ნიშნების უშეცდომოდ დადგენა აუცილებელია, რათა იგი ზუსტად გავმიჯნოთ სხვა მსგავსი სამართალდარღვევებისაგან.

ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისებისათვის პასუხს აგებს მხოლოდ კერძო პირი, რომელსაც 16 წელი შეუსრულდა. თანამდებობის პირი ვერ ჩაითვლება ამ დანაშაულის სუბიექტად. უკეთუ თანამდებობის პირმა მიითვისა ისეთი უფლებამოსილებანი ან წოდება, რომელიც სცილდება მისი ხელისუფლების ან სამსახურებრივი მდგომარეობის ფარგლებს, მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება 187-ე მუხლით.

ხელისუფლების წარმომადგენლებად ითვლებიან სახელმწიფო აპარატის მუშაკები, რომელთა უფლებამოსილება სცილდება მათი დაწესებულების ფარგლებს და შეიძლება გავრცელდეს ისეთ ორგანიზაციებსა და პირებზე, რომლებიც არ არიან მათდამი სამსახურებრივად დაქვემდებარებულნი. ხელისუფლების წარმომადგენლებს განეკუთვნებიან აგრეთვე ასეთივე უფლებებით აღჭურვილი პირები, რომლებიც კოლეგიურ ორგანოთა შემადგენლობაში შედიან. ხლისუფლების წარმომადგენლები არიან, მაგალითად, დეპუტატები, სსრ კავშირის, აგრეთვე მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მთავრობის წევრები, ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების წევრები, პროკურორები, მოსამართლეები, გამომძიებლები, სასამართლოს აღმასრულებლები, მილიციის მუშაკები, სახელმწიფო ინსპექციის თანამდებობის პირები და სხვ.

თანამდებობის პირის ცნება ჩამოყალიბებულია საქართველოს სსრ სსკ-ის 185-ე მუხლში.

„თანამდებობის პირის წოდება“ უნდა განვასხვავოთ მეცნიერული და საპატიო წოდებებისაგან, როგორიცაა აკადემიკოსი, პროფესორი ან დოცენტი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამსახურებული ან სახალხო არტისტი, სოციალისტური შრომის გმირი და სხვა, რომელთა თვითნებური მითვისება ვერ დაკვალიფიცირდება 210-ე მუხლით.

„თვითნებური მითვისება“ იმას ნიშნავს, რომ მოქალაქემ ხელისუფლება ან თანამდებობის პირის წოდება მიისაკუთრა დადგენილი წესის გვერდის ავლით, მის საწინააღმდეგოდ. იგი გამოიხატება დაწესებულების ან ორგანიზაციის, მოქალაქეთა გარკვეული ჯგუფის თუ კონკრეტული პირის მოტყუებით, რომ თითქოს დამნაშავეს ნამდვილად გააჩნია თანამდებობის პირის წოდება ან რაიმე ხელისუფლება, თუმცა ეს არ შეეფერება სინამდვილეს. ამ გზით დამნაშავემ შეიძლება თავი გაასაღოს, მაგალითად, ფინგანის რევიზორად, აღმასკომის სამშენებლო განყოფილების ინჟინრად, სასამართლოს აღმასრულებლად, მილიციის მუშაკად და სხვ. ამის საფუძველზე კი შემდგომში განახორციელოს რაიმე საზოგადოებრივად საშიში ქმედობა (მაგალითად, ფულის ან ქონების გამოძალვა).

მოტყუების ფორმა მრავალგვარი შეიძლება იყოს. სიტყვიერი მოტყუების დროს დამნაშავე უბრალოდ აცხადებს, რომ იგი ამა თუ იმ თანამდებობის პირია. მოქმედებითი მოტყუების დროს იგი ახორციელებს გარკვეულ ოპერაციებს, რომლებიც ყალბ რწმენას უქმნის სხვა პირებს მისი თანამდებობრივი მდგომარეობის შესახებ. მაგალითად, დამნაშავე წარადგენს პირადობის ყალბ მოწმობას, იწყებს ჩხრეკის ოქმის შედგენას, ქონების აღწერას ვითომდა ყადაღის დასადებად და სხვ.

ყველა ამ შემთხვევაში მოტყუება გულისხმობს აქტიურ მოქმედებას. მაგრამ იგი შეიძლება უმოქმედობითაც გამოიხატოს. მაგალითად, დამნაშავე დუმს და არ უარყოფს, როდესაც მას ხელისუფლების წარმომადგენლად ან თანამდებობის პირად მიიჩნევენ.

დანაშაულის ობიექტური მხარის აუცილებელი ელემენტია **რაიმე საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა** იმ სუბიექტის მიერ, რომელმაც ხელისუფლება ან თანამდებობის პირის წოდება მიითვისა.

საზოგადოებრივად საშიშია ქმედობა, რომელიც რეალურ ზიანს აყენებს ან საფრთხეს უქმნის სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივად საშიშ ქმედობათა წრეს განეკუთვნება შემთხვევათა სამი ჯგუფი: ა) საზოგადოებრივად საშიში ქმედობანი, რომლებიც სისხლის სამართლის კანონითაა აკრძალული და დანაშაულს წარმოადგენს; ბ) ქმედობანი, რომლებიც სხვა სამართლებრივი ნორმებითაა აკრძალული (მაგ.: სამოქალაქო, ადმინისტრაციული, შრომის სამართლის და სხვ.) და შესაბამის სამართალდარღვევებს შეადგენენ; გ) ქმედობანი, რომლებიც, მიუხედავად მათი საზოგადოებრივი საშიშროებისა, ამა თუ იმ მოსაზრებით არ არის აკრძალული სამართლებრივი ნორმებით და ამიტომ არც სამართალდარღვევებად ითვლებიან.

210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის დამაფუძნებელ გარემოებად გამოდგება ნებისმიერი საზოგადოებრივად საშიში ქმედობა, რომელიც განეკუთვნება ზემოთ ჩამოთვლილ ერთ-ერთ ჯგუფს მაინც. მაგრამ მათი მნიშვნელობა სხვადასხვანაირია.

უკეთუ ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისებას თან ახლავს ისეთი საზოგადოებრივად საშიში მოქმედების ჩადენა, რომელიც დანაშაულად ითვლება, მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება დანაშა-

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ულთა ერთობლიობის წესით 210-ე მუხლითა და სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით. დავუშვათ, კერძო პირი აღმასკომის ტექაღრიცხვის ბიუროს თანამშრომლის სახელით გამოცხადდა მოქალაქესთან და გარკვეული თანხა გამოსძალა იმისათვის, რომ ხელი არ შეუშალოს პროექტის დარღვევით ინდივიდუალური ბინის მშენებლობაში. ქმედობა დაკვალიფიცირდება 210-ე და 153-ე მუხლებით.

თუ იგივე პირი, კვლავ აღმასკომის თანამშრომლის სახელით, აიძულებს მოქალაქეს, რომ ამოქოლოს ვითომდა უკანონოდ გაჭრილი სარკმელი, რომელიც სინამდვილეში წესების დაცვით არის გაჭრილი და თანაც სანიტარიული თვალსაზრისით აუცილებელია ბინისათვის, მაშინ ქმედობა დაკვალიფიცირდება მხოლოდ 210-ე მუხლით. ამასთან, დამნაშავეს დაეკისრება სამოქალაქო პასუხისმგებლობაც, სარკმლის ამოშენებასთან დაკავშირებული ქონებრივი ზარალის ანაზღაურება.

მარტოოდენ 210-ე მუხლით დაკვალიფიცირდება დანაშაული მაშინაც, თუ ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების მითვისებასთან დაკავშირებული საზოგადოებრივად საშიში ქმედობა არ წარმოადგენდა რაიმე სამართალდარღვევას. როგორც წესი, ასეთ შემთხვევაში ქმედობა იმდენად უმნიშვნელოა ხოლმე, რომ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მთლიანად დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხზე. და მაშინ პირი გათავისუფლდება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან მე-8 მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე. ამავე საფუძვლით პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს აგრეთვე ისეთი პირი, რომლის საზოგადოებრივად საშიში ქმედობა რომელიმე სამართალდარღვევით გამოიხატა. მაგალითად, თუ მოქალაქემ უბილეთოდ იმგზავრა ქალაქის საზოგადოებრივი ტრანსპორტით, იმის მომიზეზებით, რომ თითქოს იგი მილიციის თანამშრომელია, ასეთი ქმედობა მხოლოდ ფორმალურად შეიცავს 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებს, მაგრამ დანაშაულად ვერ ჩაითვლება მისი აშკარა მცირემნიშვნელობის გამო.

საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ფაქტის უბრალო თანაარსებობა ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურ მითვისებასთან საკმარისი არ არის პასუხისმგებლობისათვის, საჭიროა მათ შორის არსებობდეს მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, დადგინდეს, რომ სწორედ ხელისუფლების ან წოდების თვითნებური მითვისების მეოხებით გახდა შესაძლებელი შემდგომ საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩადენა და რომ ამისათვის დამნაშავემ სწორედ ის იურიდიული უფლებამოსილება ან პრივილეგიები გამოიყენა, რომლებითაც აღჭურვილი არიან გარკვეული ხელისუფლების ან თანამდებობრივი წოდების მქონე პირები. ამიტომ 210-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ბრალად ვერ შეერაცხება თვითმარქვია „გენერალს“, რომელმაც ამ მალალი სამხედრო წოდებით თავი მოაწონა გულუბრყვილო ქალიშვილს, ცოლობაზე დაითანხმა და შემდეგ კი ნდობის ბოროტად გამოყენებით ვაუფლანგა სამზეთვოდ განკუთვნილი ქონება.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირი განზრახვით გამოიხატება. დამნაშავეს შეგნებული აქვს, რომ თვითნებურად ითვისებს ხელისუფლებას ან თანამდებობის პირის წოდებას, რისი მეოხებითაც სჩადის საზოგადოებრივად საშიშ ქმედობას და სურს, რომ ეს ასე მოხდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი საბინაო კანონი

ალ. ხოჭოლავა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ 1981 წლის ივნისში დაამტკიცა „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების საბინაო კანონმდებლობის საფუძვლები"[1], რომელიც აწესრიგებს საბინაო მშენებლობის განვითარების, საბინაო ფონდის გამოყენების და დაცვა-შენახვის საკითხებს. კანონი შეიცავს 55 მუხლს. ზოგიერთ მუხლში მოცემულია რამდენიმე სამართლებრივი ნორმა. „საფუძვლები" ახლებურად წყვეტს მრავალ საკითხს, აუმჯობესებს აქამდე მოქმედი კანონის სხვადასხვა ასპექტს, ამ კანონის დონემდე აჰყავს უწყებრივი ნორმები, რომელთა არსებობამ დროთა განმავლობაში გაამართლა თავისი დანიშნულება.

„საფუძვლებით" მოქალაქეთათვის საცხოვრებელი სადგომების მიცემის და ამ სადგომებით სარგებლობის ძირითადი წესების დადგენა შედის საკავშირო კანონმდებლობის კომპეტენციაში. ამ წესების შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკები აკონკრეტებენ და ავითარებენ მოქალაქეთა ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის წესებს. მაგრამ ძირითადი წესების გამოცემამდე, „საფუძვლები" უკვე შეიცავს ამ სფეროში ზოგიერთ მნიშვნელოვან სიახლეს.

„საფუძვლებით" გაზრდილია იმ მოქალაქეთა რიცხვი, რომელთაც უფლება აქვთ პირველ რიგში მიიღონ ბინა. ასეთებს მიეკუთვნებიან: საწარმოში შემთხვევის შედეგად დაღუპული მუშაკის ოჯახის წევრები; სახელმწიფო და საზოგადოებრივ ვალდებულებათა შესრულების დროს დაღუპული მოქალაქის ოჯახის წევრები, თუ ვალდებულების შესრულება ემსახურებოდა ადამიანის გადარჩენას, მართლწესრიგის ან სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეს; მარტოხელა დედები; მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც ხანგრძლივი კეთილსინდისიერი მუშაობის სტაჟი აქვთ ორგანიზაციაში; ოჯახები ტყუპების გაჩენისას.

სიახლეა აგრეთვე ის, რომ საკავშირო და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მოქალაქეები შეიძლება აყვანილი იქნენ ბინის მიღების აღრიცხვაზე არა საცხოვრებელი ადგილიდანაც (მუხ. 7). ეს ნორმა ჯერ არ არის დეტალიზებული საკავშირო ან მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით, მაგრამ რა შინაარსიც უნდა მიეცეს მას, იგი მეტად მნიშვნელოვანი სიახლეა.

რესპუბლიკის დასახლებული ადგილებიდან ქალაქში გადმოსულ მოქალაქეთა ბინებში ჩაწერის შეზღუდვა იწვევდა ზოგიერთი ქალაქის დემოგრაფიულ დაბერებას ძირითადი მოსახლეობის ზრდის შეფერხების გამო. თანეისთავად ცხადია, ბინის მიღების აღრიცხვაზე აყვანის გაუმჯობესებამ (რაც დაკავშირებულია მოქალაქეთა ჩაწერის გაადვილებასთან) არ უნდა გამოიწვიოს სოფლებისა და დაბების გაუკაცრიელება. ამისათვის საჭიროა დასახლებული ადგილის სპეციფიკის გათვალისწინებით შემაწონასწორებელი პირობების

[1] შემდეგ შემოკლებით „საფუძვლები".

ეროვნული ბიბლიოთეკა

შექმნა. გასათვალისწინებელია შემდეგი გარემოებაც: მიწის კანონმდებლობა განასხვავებს პერსპექტიულ სასოფლო დასახლების ადგილებს არაპერსპექტიული სოფლებიდან (საქართველოს სსრ მიწის კოდექსი 112-ე მუხლი). ასეთმა მიდგომამ უარყოფითი გავლენა იქონია არაპერსპექტიულ სოფლებზე. იყო ასეთი სოფლების ორგანიზებულად გადასახლების არაერთი შემთხვევა სხვა ადგილებში. სამოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან მდგომარეობა საქართველოში ამ მხრივ გამოსწორდა. ასეთი სოფლები ხელახლა დაასახლეს და მოშარაგების მხრივაც გაუთანასწორდა პერსპექტიულ სოფლებს. მაგრამ, პრინციპულად, მათ მიმართ მაინც მოქმედებს დაგეგმვის განსხვავებული მასშტაბების გამოყენების შესაძლებლობა. ეს მოვლენა სხვა რესპუბლიკებშიც ქმნის გარკვეულ უხერხულობას.

რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილ საწარმოს უფლება აქვს, როგორც გაშონაკლისი, სამუშაოზე მიიღოს მოქალაქე, ჩაწეროს იგი და უზრუნველყოს ბინით მოცემულ ქალაქში ცხოვრების დროის მიუხედავად.

„საფუძვლები" ითვალისწინებს სოციალისტური ორგანიზაციების სახლებში მოქალაქისათვის ბინის გადაცემას უვადო სარგებლობაში. ეს სიახლე მნიშვნელოვან შედეგებთან არის დაკავშირებული.

უვადო სარგებლობა არ უნდა გავაიგივეოთ განუსაზღვრელი ვადით სადგომის სარგებლობასთან, რადგან ამ დროს სადგომის ქირავნობის მოსპობა შეიძლება გამქირავებლის მოთხოვნით კანონით გარკვეულ შემთხვევებში. უვადო სარგებლობა არც მუდმივ სამემკვიდრეო სარგებლობასთან უნდა იყოს გათანაბრებული საკუთრების ობიექტის მსგავსად, რადგან უვადო სარგებლობა მფლობელობითი ელემენტების გვერდით მაინც ქირავნობის ხელშეკრულებით არის განპირობებული და მისი გადაცემა ბინით არამოსარგებლისათვის ან ბინაზე უფლების არმქონე პირისათვის არ შეიძლება. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სადგომით სარგებლობა ვადით განსაზღვრული სახელშეკრულებო ურთიერთობაა სადგომის გამქირავებელსა და დამქირავებელს შორის. ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ბინის გამქირავებელს შეუძლია წინა აღუდგეს ხელშეკრულების განახლების მოთხოვნას, რაზეც ბინის დამქირავებელს უპირატესი უფლება აქვს ქირავნობის ხელშეკრულების განახლებაზე დამქირავებლის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის დროს. ამავე დროს მოქმედი კანონმდებლობა არ უკარგავს უფლებას გამქირავებელს მოსთხოვოს დამქირავებელს ქირავნობის ხელშეკრულების მოშლა, ე. ი. მისი გამოსახლება კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ქირავნობის ხელშეკრულების ვადის გასვლამდე. საბინაო ურთიერთობის ასეთი რთული კონსტრუქცია ამჟამად „საფუძვლებით" გამარტივებულია. ქირავნობის ხელშეკრულებით ბინის სარგებლობა უვადოა, ხოლო დამქირავებლის სადგომიდან გამოსახლება, როგორც წესი, ბინის მიცემის პირობით, დასაშვებია კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

საბინაო ურთიერთობებში სადგომის უვადო სარგებლობის ელემენტის შემოღების გამო, ქირავნობის ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ არ იქნა დამქირავებლისა და მისი ოჯახის წევრების თანხმობა. გაუქმდა ამჟამად არსებული წესი დამქირავებლისაგან ზედმეტი ფართობის ჩამორთმევის შესახებ, რა ოდენობისაც უნდა იყოს ზედმეტი ფართობი (მუხ. 27). საცხოვრებელი ფართობის ნორმის ცნება შენარჩუნებულია მოქა-

ლაქისათვის ბინის მიცემის დროს და ბინის ქირის გადასახლვრისათვის, ძირითადი და ზედმეტი ფართობის სარგებლობისათვის, ამ უკანასკნელ შემთხვევაში გაზრდილი ოდენობით.

საცხოვრებელი ფართობის ზედმეტობის ვითარებაში დამქირავებელს უფლება აქვს მოსთხოვოს გამქირავებელს სხვა უფრო ნაკლები ფართობის მქონე სადგომში გადაყვანა. მიზანშეწონილია, თუ რესპუბლიკური კანონმდებლობა დამქირავებლის ამ უფლებას გაამაგრებს გამქირავებლისათვის რაიმე სანქციის დაკისრებით, თუნდაც სადგომის სარგებლობისათვის გადასახდელი (ქირის) შემცირების სახით.

„საფუძვლები" უცვლელად ტოვებს ამჟამად მოქმედ წესს, რომლითაც პირი კარგავს საცხოვრებელ ფართობზე უფლებას, თუ სადგომში არ ცხოვრობს ექვს თვეზე მეტი ხანი. თუ ამის თაობაზე აღძრულია სარჩელი, ბინის შენახვის პირობებსა და წესს ადგენს მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობა (მუხ. 26). ამჟამად მხოლოდ კოოპერატივის წევრი (მეპაიე) სარგებლობს იმ შეღავათით, რომ არ კარგავს უფლებას საცხოვრებელ ფართობზე, სადგომში არყოფნის დროის მიუხედავად, მაგრამ ეს შეღავათი მისი ოჯახის წევრებზე არ ვრცელდება.

ამის გავრცელება სადგომის ბინის ისეთ დამქირავებელზე, რომელმაც ჩაისახლა შემდეგში სხვა პირები, არ იქნება საფუძვლების საწინააღმდეგო ღონისძიება, რადგან უმართებულოდ უნდა იქნეს მიჩნეული ოჯახის წევრთა სარჩელით სადგომის მიმღების საცხოვრებელ ფართობზე უფლებადაკარგულად ცნობა, ექვს თვეზე მეტი დროით სადგომში არ ცხოვრების საბაბით, თუ რასაკვირველია, ის მუდმივად არ არის გადასული საცხოვრებლად სხვა ადგილას ან სხვა ბინაში.

„საფუძვლებმა" მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანა ბინების გაცვლის სფეროში. აქამდე პირადი საკუთრების სახლში ბინის დამქირავებელს უფლება ჰქონდა გაეცვალა ბინა სხვა ბინაზე მხოლოდ სახლის მესაკუთრის თანხმობით. ამ უკანასკნელის უარი გაცვლაზე სასამართლოში არ საჩივრდებოდა. „საფუძვლებმა" უარყო გაცვლაზე მესაკუთრის უარის სასამართლოში გაუსაჩივრებლობის შესაძლებლობა და ამით ბოლო მოუღო საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენებას ამ სფეროში. გაცვლაზე თანხმობის გაუსაჩივრებლობა დადგენილია მხოლოდ კოლმეურნეობის სახლების მიმართ.

„საფუძვლები" აუქმებს მოქმედი კანონმდებლობის იმ ნორმას, რომლის მიხედვითაც ბინის მიუცემლად გამოსახლდებიან სახალხო მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგების საწარმოებისა და ორგანიზაციების სახლებიდან მუშა-მოსამსახურეები, რომელთაც თავისი სურვილით დატოვეს სამუშაოდან დათხოვნილი არიან დისციპლინური ან სისხლისსამართლებრივი დანაშაულის ჩადენასთან დაკავშირებით. ასეთი პირების და მათი ოჯახის წევრების გამოსახლება შეიძლება მხოლოდ სამაგიერო ბინის მიცემის პირობით. ამასთანავე, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თავისი სურვილით წასული პირის გამოსახლება სხვა ბინის მიცემის პირობით შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მუშაკმა თავი დაანება სამუშაოს არასაპატიო მიზეზით. ასეთი ბინებიდან (უწყებრივი ბინებიდან) გამოსახლება სამაგიერო ბინის მიცემითაც დაუშვებელია, თუ ოჯახის შემადგენლობაშია პირი, რომელიც სარგებლობს კანონით გათვალისწინებული შეღავათებით. ამგვარად, ბრალეული მოქმედების საბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით მუშაკის და მისი ოჯახის წევრთა გამოსახლება წრიული პასუხისმგებლობის პრინციპით მნიშვნელოვნად იზღუდება. არასაპატიო მიზეზით სამუშაოს დატოვების ცნება, რასაც მნიშვნელობა აქვს მუშაკის საბინაო პირობებისა და მუშაობის სტაჟისათვის, მოცემულია სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხებზე სახელმწიფო კომიტეტისა და საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1980 წლის 9 ივნისის ერთობლივ განმარტებაში.

თუ ამ განმარტებაში მითითებულ შეღავათებს მხედველობაში არ მივიღებთ, არასაპატიო მიზეზით სამუშაოს დატოვებად ითვლება კალენდარული წლის განმავლობაში ორჯერ სამუშაოს დატოვება საკუთარი სურვილით.

ყველა სახის საერთო საკუთრების სახლების ჩამოთვლისას „საფუძვლები" არ ასახელებს სოციალისტური ორგანიზაციისა და მოქალაქეთა საერთო საკუთრების სახლებს (მუხ. 4). როგორც ჩანს, „საფუძვლები" იზიარებს ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის თვალსაზრისს ამ საკითხში, რომლის მიხედვითაც ასეთი სახის საერთო საკუთრება ლიკვიდირებულ უნდა იქნეს ერთი წლის განმავლობაში დღიდან მისი წარმოქმნისა. საქმოქალაქო სამართლის კოდექსის 119-ე მუხლში ჩამოთვლილია ამ სახის ლიკვიდაციის საშუალებები, რომელთა შორის უმთავრესია სოციალისტური ორგანიზაციის მიერ მოქალაქისაგან სახლის წილის გამოსყიდვა ან, პირიქით, მოქალაქის მიერ სოციალისტური ორგანიზაციის სახლის წილის შეძენა, მაგრამ, როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ეს საშუალებები არაეფექტიანია. ასეთი სახლების რიცხვი არ კლებულობს (საჯარო ვაჭრობით სახლის გაყიდვა და სხვა). სოციალისტური ორგანიზაციების მიერ მოქალაქის წილის შესყიდვის შემთხვევები მეტად მცირეა საინვენტარიზაციო ფასის გადამეტებით სახლის შესყიდვის აკრძალვის გამო.

ამ ინსტიტუტის გაუმჯობესებისათვის არსებობს შემდეგი საშუალებები: საერთო საკუთრების მოსპობის ვადის გახანგრძლივება; სახლზე საერთო საკუთრების შენარჩუნება გარკვეულ პირობებში, უფრო კი — ტექნიკური მიზეზების გამო; სადგომის დამქირავებლისათვის გამოსასყიდი წილის ღირებულების დაფარვისათვის საშეღავათო დროის ან სესხის მიცემა (სადგომის უვადო სარგებლობის დაწესების პირობებში სადგომის დამქირავებელი უფრო ნაკლებად ვიდრე წინათ, დაინტერესებულია სახლის წილის შეძენით); სოციალისტური ორგანიზაციებისათვის სახლის წილის რეალურ ფასში გამოსყიდვის ნებართვის მიცემა (იმ ფასის ანალოგიურად, რომელსაც იხდის მოქალაქე სახლის წილის გამოსყიდვის დროს).

„საფუძვლებში" განსაზღვრულია პირადი საკუთრების სახლის ანაზღაურების საშუალებები მიწის ნაკვეთის ჩამორთმევის შემთხვევაში. სახლის მესაკუთრეს, მისი სურვილის მიხედვით ეძლევა აღებული სახლის სამაგიერო სადგომი ან სახლის ღირებულება (სხვა ნაგებობათა ჩათვლით), ან სახლის ღირებულების ნაცვლად სახლის აღების შემდეგ დარჩენილი მასალა ,თუ ივი უარს იტყვის ფულად კომპენსაციაზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილ შემთხვევებში შესაძლებელია მესაკუთრის სახლის გადატანა ან მისი აგება ახალ ადგილზე.

ამ ნორმების განხორციელებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამოციან წლებში შეიმჩნეოდა მიწის ნაკვეთის გამოყოფა მშენებელი ორგანიზაციისათვის ან სხვა პირისათვის ქალაქის დეტალური დაგეგმარების გეგმის გარეშე ან მისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადახვევით. ასეთი პრაქტიკა ბევრ გაჭუგებრობას ბადებდა, რომელთა შედეგები დღესაც ზოგან არ არის დაძლეული. ვფიქრობთ, რომ მიწის ნაკვეთის ჩამორთმევა, გარდა აუცილებელი შემთხვევისა, უნდა ხდებოდეს სამი წლის ვადით მოქმედი რაიონის დეტალური დაგეგმარების გეგმის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ შედგენილი უნდა იყოს განაშენიანების პერსპექტიული გეგმის საფუძველზე. ასეთი გეგმები უნდა ქვეყნდებოდეს საჯაროდ, სათანადო რაიონების აღმასკომების შენობებში.

„საფუძვლების" ის ნაწილი, რომელიც ეხება კაპიტალურ რემონტსა და დაფინანსებას, შეიცავს მრავალ ნორმას, რომლებიც აუმჯობესებს ამჟამად არსებულ კანონმდებლობას, შექმნილს სხვადასხვა უწყებების მიერ. ამჟამად კაპიტალური რემონტის დაფინანსება, გარდა სხვა წყაროებისა, ხორციელდება არასაცხოვრებელი სადგომების საჯარო ქირის ანარიცხების ხარჯზე, რაც საგრძნობ თანხას წარმოადგენს (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 808 დადგენილება).

პროექტისაგან განსხვავებით, „საფუძვლები" ამჟამად არ უქვემდებარებს ამ ნაგებობებს საბინაო ფონდის საექსპლოატაციო ორგანიზაციების დაგეგმვას (მუხ. 4).

კაპიტალური რემონტის შესახებ ამჟამად მოქმედი სამართლებრივი ნორმები მოძველებულია ან არ სრულდება. მაგალითად, საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 26 აგვისტოს № 807 დადგენილება ძველ კომუნალურ სახლებში შესახლების დროს კომუნალური ფართობების იზოლირებულ ბინებად გადაგეგმარების შესახებ თითქმის უმოქმედო ნორმად დარჩა. განსაკუთრებულ მტკივნეულ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ რესპუბლიკის ქალაქებში, კურორტებსა და დაბებში საკანალიზაციო ქსელის ნაკლებობა ან მოუვლელობა, რაც არაერთხელ აღნიშნულა ჩვენს პრესაში. გათვალისწინებული უნდა იყოს, როგორც კაპიტალური დაბანდების, ისე საბინაო ფონდის შენახვაზე გაწეული ხარჯების გაზრდა, ამ საქმისათვის სათანადო პასუხისმგებლობის გაძლიერება. ბინის ქირის სიმცირის გამო საბინაო ფონდის შენახვის ხარჯებმა 1970 წელს შეადგინა მხოლოდ 28,8 მანეთი (ი. მიქელაძე, საქართველოს სოციალისტური მრეწველობის ეკონომიკური საკითხები, 1976 წ. გვ. 28).

საადგომების გადაგეგმარების და გადაკეთების შესახებ ტექნიკური და სამართლებრივი ნორმები გაუმჯობესებული სახით უნდა აისახოს საბინაო კოდექსში. ამჟამად მოქმედი ნორმები ამ სფეროში მეტად მოუქნელია და არ იძლევა ოპერატიული მოქმედების საშუალებას. ჩვენს რესპუბლიკაში შეიმჩნევა მეტად დადებითი მოვლენის გახშირება: მოსახლეობის მიერ საკუთარი შრომით თავისი სადგომის კაპიტალური გარემონტება. საბინაო კოდექსმა უნდა შეიმუშაოს ამ მოვლენის წამახალისებელი ღონისძიებები.

არის თუ არა დავის საფუძველი

ო. გავეურელიძე

ამას წინათ სადისკუსიოდ დაიბეჭდა ა. მიქაძის წერილი „არაპირდაპირი განზრახვით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნება საბჭოთა სისხლის სამართალში"[1]. ავტორი იზიარებს იმ გავრცელებულ თვალსაზრისს, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკავშირდება მხოლოდ და მხოლოდ ნებელობით მოქმედებას. ამავე დროს, წერილში სავსებით სწორად არის აღნიშნული, რომ დანაშაულებრივი ქმედობის ნებელობითი ბუნების დასაბუთების არაპირდაპირი განზრახვის დროს ერთგვარი სიძნელე ახლავს პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულთან შედარებით. ამის მიზეზი ის არის, რომ, თუკი პირდაპირი განზრახვის დროს დამნაშავე მიზნად ისახავს დანაშაულებრივი შედეგის განხორციელებას და, მაშასადამე, ეს შედეგი მისი სურვილის საგანს შეადგენს, არაპირდაპირი განზრახვის შემთხვევაში შედეგის მიმართ მსგავსი ფსიქიკური დამოკიდებულება დამნაშავეს არ გააჩნია, მას არც დაუსახავს მიზნად და არც სურდა ამ შედეგის გამოწვევა.

ავტორის აზრით, ნებელობითი ქცევის შესწავლისას სისხლის სამართლის მეცნიერება ფსიქოლოგიის მონაცემებს ეყრდნობა. თუმცა იქვე კიდევ უფრო აზუსტებს ამ დებულებას და დაასკვნის, რომ მოქმედების ფსიქოლოგიურ ცნებას იურისტი „სისხლისსამართლებრივი სპეციფიკის გათვალისწინებით იყენებს". ავტორი სწორად მსჯელობს, რომ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, საბოლოოდ მაინც არ შეუძლია მოგვცეს მოქმედების ისეთი მზამზარეული ცნება, რომელიც პირდაპირ გამოიყენებოდა სამართალში და ამიტომ კრიმინალისტი თავისუფალი რჩება "...სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედობის ფსიქოლოგიური სტრუქტურის შესწავლისაგან"[2]. ეს დებულება მით უფრო საყურადღებოა, რომ ზოგიერთის მოსაზრებით, ყოველი ცნება ფსიქოლოგიიდან მზამზარეულად უნდა იქნეს გადმოტანილი სისხლის სამართალში იმ სპეციფიკური ამოცანების მხედველობაში მიუღებლად, რომელიც კანონმდებლისა და მართლმსაჯულების ორგანოთა წინაშე დგას. მისი აზრით, ნორმატივისტია ის, ვინც ამტკიცებს, რომ სისხლის სამართალი არ კმაყოფილდება მხოლოდ ფსიქოლოგთა გამოკვლევებით და თავისი სპეციფიკიან მიხედვით აყალიბებს ზოგიერთ ცნებას.

მე კი ფიქრობ, მარტო ფსიქოლოგიის კი არა, სხვა, რომელიც გნებავთ, მეცნიერების მიერ შემუშავებული ცნების ყველა შემთხვევაში პირდაპირ გადმოტანა სისხლის სამართალში ამ დარგის თავისებურების გაუთვალისწი-

---

[1] „საბჭოთა სამართალი", 1981 წ., № 6.

[2] იქვე, გვ. 12-13.

ნებლად, პრაქტიკულად გაუმართლებელია. სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ მიზეზობრიობის ფილოსოფიური ცნება. მიზეზობრიობის პრობლემა, როგორც ცნობილია, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიური პრობლემაა. მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ სამართლისმცოდნე არ იკვლევს ამ პრობლემას. კერძოდ, ფილოსოფიის მიერ შემუშავებული ცნების საფუძველზე, ის იკვლევს, თუ რა თავისებურებას ავლენს მიზეზობრიობა სამართალში. სამართლისმცოდნე შეიმუშავებს მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც გამოსადეგია სამართლის მიზნებისათვის. მაგალითად, მე-19 საუკუნის გერმანიის სისხლის სამართლის მეცნიერებაში შემუშავდა მიზეზობრიობის ე. წ. ეკვივალენტური თეორია, რომელიც ინგლისელი მეცნიერის ჯ. სტიუარტ მილის ფილოსოფიურ მოძღვრებას ემყარებოდა. მაგრამ სისხლის სამართალში მალე შენიშნეს ამ თვალსაზრისის ხარვეზი და მიზეზობრიობის ცნებაში შემოიტანეს მოქმედების ე. წ. ადეკვატობის ნიშანი. ამ თვალსაზრისის თანახმად დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად მხოლოდ ისეთი მოქმედება უნდა ჩაითვალოს, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის ადეკვატურია, ე. ი. ზოგადად უნარი აქვს გამოიწვიოს ასეთი შედეგი.

საბჭოთა სამართლისმცოდნენიც იკვლევენ მიზეზობრიობის პრობლემას. ზოგიერთი მათგანი მარქსისტული ფილოსოფიის საფუძველზე ერთმანეთისაგან განასხვავებს შემთხვევით და აუცილებელ მიზეზობრიობას და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელ მიზეზობრივ კავშირს (ა. პიონტკოვსკი). სხვების აზრით კი, დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებიდან გამომდინარე დანაშაულებრივი შედეგის მიზეზად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ისეთი მოქმედება, რომელიც საზოგადოებრივად საშიშია და, ამავე დროს, ამ შედეგის აუცილებელ პირობასაც წარმოადგენს (თ. წერეთელი).

ამ მსჯელობიდან შეიძლება ასეთი დასკვნა გამოვიტანოთ: სისხლის სამართლის მეცნიერება ფილოსოფიის მიერ მოწოდებულ მასალას თავისებურად გადაამუშავებს, საკუთარ ქურაში გადაადნობს და შექმნის მიზეზობრიობის ისეთ ცნებას, რომელიც გამოსადეგია სისხლის სამართლის პრაქტიკული მიზნებისათვის. ერთი სიტყვით ა. მიქაძე მეთოდოლოგიურად სწორად მსჯელობს, რომ კრიმინალისტმა ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით უნდა იკვლიოს ქცევის ფსიქოლოგიური სტრუქტურა სისხლის სამართლის სპეციფიკის თვალსაზრისით.

როგორ ასაბუთებს ავტორი მოქმედების ნებელობით ბუნებას არაპირდაპირი განზრახვის დროს? განსახილველი წერილის დაკვირვებული გადაკითხვით შეიძლება იმ აზრის გამოტანა, რომ ავტორი ჯერ ცალ-ცალკე იკვლევს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ქმედობის ძირითადი და თანამდევი შედეგებისადმი და შემდეგ მოითხოვს მათ „მჭიდრო დიალექტიკურ კავშირში" განხილვას. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფსიქიკური დამოკიდებულებანი, მისი თქმით, „მკვეთრად განსხვავდებიან ერთიმეორისაგან", მართლაც „არიან მჭიდრო დიალექტიკურ კავშირში და ამდენად განაპირობებენ ერთიმეორის წარმოშობას და არსებობას". მისი აზრით, „საკითხის ასეთი გაგება დიალექტიკურია, ხოლო საწინააღმდეგო შეხედულება —მეტაფიზიკური"[3].

---

[3] იქვე, გვ. 15.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რჩება შთაბეჭდილება, თითქოს ყველა, ვინც კი დღემდე ამ საკითხს შეხებია, ერთიმეორისაგან თიშავს და ცალ-ცალკე, ერთმანეთისაგან მოწყვეტილად განიხილავს ფსიქიკურ დამოკიდებულებას ე. წ. თანამდევი და ძირითადი შედეგების მიმართ.

ავტორი არ ეთანხმება ვ. მაყაშვილს, პ. დაგელს და სხვა მეცნიერებს მოქმედების ხებელობითი ბუნების საკითხში. უფრო მეტიც, ვ. მაყაშვილის ნააზრევში იგი ხედავს წინააღმდეგობას, თითქოს მას თავის ნაშრომებში ურთიერთგამომრიცხველი დებულებები ჰქონდეს წამოყენებული. მაგრამ ვნახოთ, რას ამბობს ამის თაობაზე თვითონ ვ. მაყაშვილი. „თუკი პირის ფსიქიკურ დამოკიდებულებას თანამდევი შედეგისადმი, — წერს იგი, — განვიხილავთ იზოლირებულად, მაშინ ის შეიძლება აღმოჩნდეს მისთვის არასასურველი და უსიამოვნოც კი, მაგრამ არ შეიძლება მხედველობის გარეშე დავტოვოთ, რომ რეზულტატი, რომლის გამოწვევასაც უშუალოდ ესწრაფვოდა პირი, და თანამდევი შედეგი მის წარმოდგენაში **განუყრელად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან. ამის წყალობით პირის ნება მიმართულია შედეგთა მთელი ერთობლიობისაკენ და არ უნდა განვიხილოთ ეს ნება იზოლირებულად ცალკეულ შედეგთა მიმართ**“[4] (ხაზგასმა ჩვენია, ო. გ.).

ამ კრცელი ამონაწერიდან სრულიად აშკარაა, რომ ვ. მაყაშვილი თანამდევი შედეგის მიმართ დამნაშავის ფსიქიკურ დამოკიდებულებას ძირითადი შედეგისადმი ფსიქიკურ დამოკიდებულებასთან „მჭიდრო კავშირში“ განიხილავს და ამის მიხედვით წყვეტს მოქმედების ნებელობითი ბუნების საკითხს ევენტუალური განზრახვის დროს. წერილის ავტორმა კი რატომღაც საქმე ისე წარმოგვიდგინა თითქოს თანამდევი და ძირითადი შედეგების მიმართ ფსიქიკურ დამოკიდებულებათა შორის არსებული დიალექტიკური კავშირი მხოლოდ და მხოლოდ მისი ნააზრევი იყოს.

ვ. მაყაშვილი და პ. დაგელი ევენტუალური განზრახვის დროს მოქმედების ხებელობით ბუნებას გადაწყვეტილების მიღების აქტში ხედავენ. გადაწყვეტილების მიღებას კი, მათი აზრით, წინ უძღვის თანამდევი შედეგის მიმართ სხვადასხვაგვარი ფსიქიკური დამოკიდებულება. თანამდევი შედეგის მიმართ დამნაშავეს შეიძლება ჰქონდეს გულგრილი დამოკიდებულება, შეიძლება მას იმედი ჰქონდეს, რომ ამ შედეგს აიცდენს, ანდა არც კი სურდეს მისი განხორციელება და სხვ. მაგრამ ისეთი ძლიერია ძირითადი შედეგის დადგომის სურვილი, რომ დამნაშავემ თავისი მოქმედების გეგმაში ჩართო თანამდევი შედეგიც და გადაწყვეტილების მიღების დროს მხედველობაში მიიღო მისი განხორციელების შესაძლებლობა. სწორედ ეს **გადაწყვეტილებაა** ნებელობითი აქტი, რომლის ფორმირების წანამძღვრებს თანამდევი შედეგისადმი სხვადასხვა ფსიქიკური დამოკიდებულება წარმოადგენს. ვ. მაყაშვილის აზრით, თანამდევი შედეგის უნდომლობა, მისი აცდენის იმედი ან გულგრილი დამოკიდებულება სხვადასხვაგვარ როლს ასრულებენ ნების წარმოქმნაში. ეს მომენტები აჩქარებენ ან აყოვნებენ ნების წარმოქმნას და ა. შ.[5]

როგორც ვხედავთ, აქ ერთ მხარეზეა გადაწყვეტილების მიღების აქტი,

---

[4] В. Г. Макашвили, Понятие умысла в уголовном праве, «Мацне», 1966, № 6, стр. 72.

[5] ვ. მაყაშვილი, ევენტუალური განზრახვის საკითხისათვის, „საბჭოთა სამართალი“, 1965, № 4, გვ. 24-25.

ე. ი. ნებელობითი მოქმედება, ხოლო მეორე მხრივ, გვაქვს ის ფსიქიკური პროცესები, რომლებიც გადაწყვეტილების მიღებას უძღვის წინ და მის ფორმირებას უწყობს ხელს. მაგრამ განსახილველი წერილის ავტორი რატომღაც მაინც უცილობლობს, თითქოს ეს თვალსაზრისი ვერ ხსნიდეს „..საბჭოთა სისხლის სამართალში არაპირდაპირი განზრახვის და საერთოდ ბრალის ნებელობითი ბუნების შინაარსს"[6].

აი, რა საბუთით ცდილობს იგი ამის დამტკიცებას. ვ. მაყაშვილისა და პ. დაგელის აზრითო, ამბობს წერილის ავტორი, არაპირდაპირი განზრახვა „მთელ ამ ნებელობითს გადაწყვეტილებას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, სადაც გადაწყვეტილების სხვა კომპონენტები მის გარეთ მდებარეობს". ამ დებულების ნათელსაყოფად მას მოჰყავს ვ. მაყაშვილის ნაშრომის ერთი ადგილი, სადაც, აი, რას ვკითხულობთ: „...ამ ფსიქიკურ პროცესებს დიდი მნიშვნელობა აქვს ევენტუალური განზრახვის ბუნების გასაგებად. მაგრამ ისინი არ შეიძლება ჩაითვალოს ამ განზრახვის ნებელობით ელემენტებად. ესე იგი მის შემადგენელ ნაწილებად. ისინი ევენტუალური განზრახვის წარმოშობის ფსიქოლოგიური წანამძღვრებია და მის გარეთ მდებარეობენ"[7].

სად არის აქ მტკიცება, თითქოს ევენტუალური განზრახვა „მთელ ამ ნებელობითს გადაწყვეტილებას კი არ წარმოადგენს, არამედ მხოლოდ მის ნაწილს, სადაც გადაწყვეტილების სხვა კომპონენტები მის გარეთ მდებარეობს?!" ვ. მაყაშვილი ლაპარაკობს არა ნებელობითი გადაწყვეტილების „სხვა კომპონენტებზე", არამედ თანამდევი შედეგის მიმართ დამნაშავის სხვადასხვაგვარ ფსიქიკურ დამოკიდებულებაზე, რომლებიც ევენტუალური განზრახვის წარმოშობის ფსიქოლოგიური წანამძღვრებია და ჯერ კიდევ არ ქმნიან მის ნებელობით ელემენტებს ისე ,რომ ავტორს არა აქვს სწორი წარმოდგენა ვ. მაყაშვილისა და პ. დაგელის თვალსაზრისზე და ამიტომაც მისი კრიტიკული შენიშვნები უსაფუძვლოა.

საკულისხმოა აგრეთვე, რომ წერილის ავტორი ედავება იმ ტრადიციული შეხედულების მიმდევრებს, რომელთა აზრით, იმისათვის, რომ დავადგინოთ მოქმედების ნებელობითი ბუნება, საკმარისია, გამოვლინდეს „რომელიღაც ნება" და სულ არ არის აუცილებელი, რომ ეს ნება ეხებოდეს დანაშაულებრივ შედეგს. „ეს გვაძლევს შესაძლებლობას დადებითად ვუპასუხოთ კითხვას ნებელობითი ქცევის არსებობის შესახებ არა მარტო განზრახ, არმედ გაუფრთხილებლობით დანაშაულთა დროს" (თ. წერეთელი). აქვე ავტორი იხილავს ბ. ვოლკოვის ანალოგიურ შეხედულებას და ცდილობს გაემიჯნოს ამ მიმართულებას[8].

ამ ავტორების მიხედვით ისე გამოდისო, — დასძენს ბოლოს ა. მიქაძე, — რომ დამნაშავე „იმ ნებისათვის კი არ აგებს პასუხს, რომელიც მან მისი ქმედობის თანამდევ საზოგადოებრივად საშიში შედეგისადმი გამოავლინა, არამედ რაღაც გაურკვეველი ნებისათვის, სულ ერთია, რასაც უნდა ეხებოდეს იგი"[9].

---

[6] „საბჭოთა სამართალი", 1981 წ., გვ. 12.
[7] იქვე, გვ. 12.
[8] იქვე, გვ. 8-9.
[9] იქვე, გვ. 9.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ახლა ვნახოთ, როგორ ასაბუთებს თვითონ ავტორი მოქმედების ნებელობით ბუნებას გაუფრთხილებლობის დროს. მისი ძირითადი თეზისი ხომ ის არის, რომ დანაშაულებრივი მოქმედება ყოველთვის ნებელობითია. აქ დასახელებულ ავტორთა მსგავსად, მასაც ხომ მიაჩნია, რომ მოქმედება ნებელობითია არა მარტო განზრახვის, არამედ გაუფრთხილებლობის შემთხვევაშიც. ერთ-ერთ თავის ადრინდელ ნაშრომში, რომელიც პირდაპირი განზრახვით ჩადენილი მოქმედების ნებელობითი ბუნებისადმია მიძღვნილი, იგი გაკვრით ამ საკითხსაც ეხება. აი, რას ვკითხულობთ იქ სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის თაობაზე: „...ძლიერი სიმთვრალის დროს ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედობა ყოველთვის ნებელობითია... ასეთ ქმედობას ყოველთვის უდევს საფუძვლად გარკვეული მოტივი, მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ და, ამდენად, წარმოადგენს დამნაშავის სავსებით შეგნებულ აქტს"[10].

ცხადია, უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ მსგავსი მოქმედება მოტივირებულია და „მიმართულია გარკვეული მიზნისაკენ". დათრობა, რომელსაც პირის გაუფრთხილებლობით დანაშაულებრივი შედეგი მოჰყვა, თავისთავად ნებელობითი მოქმედებაა. აქ მართლაც არის გამოვლენილი „რაღაც ნება", თუმცა ამ ნებას დანაშაულებრივ შედეგთან არავითარი კავშირი არა აქვს, რადგანაც მოქმედი ამ შედეგს არ ითვალისწინებდა. ეს დასკვნა პირდაპირ გამომდინარეობს ჩვენი ავტორის დებულებიდან და ამას იგი ვერ უარყოფს, თუ უნდა, რომ თავისი საწყისი პოზიცია არ შეცვალოს. მაგრამ თუკი ეს ასეა, მაშინ იქნება, აგვიხსნას ავტორმა, რით განსხვავდება მისი შეხედულება თ. წერეთლის, ბ. ვოლკოვის და სხვათა ზემოხსენებული თვალსაზრისისაგან, რომელსაც ასე ოდენ უსწორებს ის ანგარიშს? ეს ავტორებიც ხომ იმასვე ამტკიცებენ, რომ გაუფრთხილებლობის დროს მოქმედება ნებელობითია, თუმცა ეს ნება არ არის მიმართული დანაშაულებრივი შედეგისაკენ! ერთი სიტყვით, ავტორს ნებით თუ უნებლიედ სწორედ იმ ტოტის მოჭრა მოუხდა, რომელზეც თვითონ იჯდა, მან დაიწუნა სწორედ ის აზრი, რომელსაც სხვა ადგილას თვითონვე იზიარებს.

საერთოდ, ვერ ვიტყვით, რომ ავტორს არ უმუშავია. როგორც ჩანს, ის პრობლემის ირგვლივ არსებულ ლიტერატურასაც გასცნობია და ზოგიერთი საყურადღებო აზრიც აქვს გამოთქმული. მაგრამ მე მაინც მგონია, რომ მას ხელი მოუკიდია ძალზე რთული პრობლემისათვის, რომელიც უფრო მეტად ჩაღრმავებასა და საფუძვლიან შესწავლას მოითხოვდა. უნდა ვიფიქროთ, რომ წერილის ავტორი ამ შენიშვნებს ჯანსაღი თვალით შეხედავს, დაფიქრდება და თვითკრიტიკულად მიუდგება თავის ნააზრევს, რადგანაც პირუთვნელი, საქმიანი კრიტიკა ის სარკეა, სადაც ყოველი ჩვენგანი საკუთარ სახეს დაინახავს და უფრო სრულყოფილად შეიცნობს თავს.

---

10 „საბჭოთა სამართალი", 1980, წ., გვ. 36.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურების მიზეზები და მათი აღმოფხვრის გზები

გ. გოლოფვილი

სასამართლოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს იმ ორგანოთა შორის, რომლებსაც ევალებათ საბჭოთა მოქალაქეების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მათი აღზრდა საბჭოთა კანონებისა და სოციალისტური საერთო ცხოვრების წესებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. ამიტომ არის, რომ სასამართლო ორგანოების მუშაობის ეფექტიანობის ამაღლება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრშია.

სსრ კავშირის ყველა მოქალაქეს აქვს უფლება სასამართლო წესით დაიცვას თავისი კანონიერი ინტერესები ყოველგვარი ხელყოფისაგან. ეს საბჭოთა მოქალაქეების კონსტიტუციური უფლებაა (სსრ კავშირის კონსტიტუციის 57-ე მუხლი). საბჭოთა სახელმწიფო ყოველმხრივ უწყობს ხელს სასამართლო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებას, საქმეთა განხილვისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული მიდგომის აღმოფხვრასა და სოციალისტური კანონიერების პრინციპის განუხრელად განხორციელებას მართლმსაჯულებაში.

მოქალაქისათვის, რომელიც სასამართლოს მიმართავს დარღვეული უფლებისა თუ კანონიერი ინტერესის დაცვის თხოვნით, დიდი მნიშვნელობა აქვს ამ თხოვნის დროულად დაკმაყოფილებას, დავის სწრაფად და სწორად გადაწყვეტას, გადაწყვეტილების დროულად აღსრულებას. ამიტომ სამოქალაქო-პროცესუალური კანონმდებლობა სამოქალაქო სამართალწარმოების ერთ-ერთ ძირითად ამოცანად თვლის დავების დროულად განხილვასა და გადაწყვეტას. მიუხედავად ამისა სასამართლო პრაქტიკაში არც თუ იშვიათად ვხვდებით დავების გაუმართლებლად გაჭიანურებას. ამის მიზეზი ის არის, რომ სასამართლოები არ ასრულებენ ან არაჯეროვნად ასრულებენ საპროცესო ნორმების მოთხოვნებს. სკკპ XXVI ყრილობაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ „კარგი კანონი ჩვენ საკმაოდ გვაქვს მიღებული. ახლა საქმე უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მათ ზუსტად და განუხრელად ვახორციელებდეთ"[1].

იმის გამო, რომ სასამართლოები ზუსტად არ იცავენ სამოქალაქო საქმეთა განხილვის კანონით დადგენილ წესებს, მაღალია იმ საქმეთა ხვედრითი წილი, რომლებიც განიხილება პროცესუალური ვადების დარღვევით, რაც იწვევს, მოქალაქეთა მოცდენას, სამართალწარმოების გაძვირებას და ხშირ შემთხვევაში უკანონო და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენასაც. ეს კი საზოგადოებას აყენებს მატერიალურ და მორალურ ზიანს, აქვეითებს სასამართლოს ავტორიტეტს. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ მაგალითს: მოქალაქე ზ.-მ სარჩელით მიმართა კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს ბინების

---

[1] „სკკპ XXVI ყრილობის მასალები", თბ., 1981, გვ. 100.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაცვლის შესახებ. საქმის განხილვა ჭიანურდება 1978 წლის ნოემბრიდან 1980 წლის მარტამდე. მისი განხილვა 8-ჯერ გადაიდო ხანგრძლივი ვადით. მეორე შემთხვევაში შ-ს სარჩელი მოპასუხე ა-ეს ბინიდან გამოსახლების შესახებ ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასამართლოში იხილებოდა შვიდ წელზე მეტ ხანს, მისი განხილვა 48-ჯერ გადაიდო. ასეთ ვითარებაში ლაპარაკიც კი ზედმეტია საქმის ნამდვილ გარემოებათა ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევაზე, მხარეთა უფლება-მოვალეობების ზუსტად დადგენასა და მით უმეტეს პროცესის აღმზრდელობით ზემოქმედებაზე. პირიქით, საქმეების განხილვის ასეთი გაჭიანურება არათუ აძნელებს ბრძოლას სოციალისტური კანონიერების დარღვევათა წინააღმდეგ, არამედ მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც აყენებს საზოგადოებას. საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც სპეციალურად იმსჯელა სასამართლო პროცესის აღმზრდელობითი ზემოქმედების გაძლიერების თაობაზე, სავსებით სწორად მიუთითა, რომ არის მოსამართლეთა მიერ საქმეთა ზერელედ შესწავლის ფაქტები, ხშირია შემთხვევები, როცა იღებენ უხარისხო, ის კი არა, კანონის მოთხოვნათა შეუსაბამო სასამართლო გადაწყვეტილებებს. რომ მართლმსაჯულების აღსრულების დროს ჯერ კიდევ შეიმჩნევა არაორგანიზებულობა და არაოპერატიულობა, ზოგიერთი სასამართლო საქმის განხილვა ხშირად გაუმართლებლად ჭიანურდება, რის გამოც იკარგება მათი სიმწვავე და საზოგადოებრივი აქტუალობა[2].

საქმეების განხილვის ვადების დარღვევასა და პროცესის გაჭიანურებას სხვადასხვაგვარი მიზეზები იწვევენ, რომლებიც, როგორც წესი, სუბიექტური ან ობიექტური ხასიათისაა.

სუბიექტურ მიზეზებს შორის, უწინარეს ყოვლისა, უნდა გამოვყოთ სამსახურებრივი მოვალეობისადმი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება. შეიძლება ითქვას, რომ სასამართლო ბიუროკრატიზმი სამართალწარმოების გაჭიანურების ყველა სხვა სუბიექტურ მიზეზთა კონცენტრირებულ გამოხატულებას წარმოადგენს.

ობიექტურ მიზეზებს შორის ყველაზე არსებითია ზოგიერთი სასამართლოს გადატვირთვა საქმეებით და იმ პროცესუალური ნორმების დაბალი ეფექტიანობა რომლებმაც უნდა უზრუნველყონ სამოქალაქო საქმეთა დროულად განხილვა.

ბიუროკრატიზმი განპირობებულია სუბიექტური ფაქტორებით. ეს არის: მოსამართლეთა მიერ სამსახურებრივი მოვალეობების არაჯეროვნად შესრულება, არაორგანიზებულობა, საქმისადმი ფორმალური დამოკიდებულება, პროცესუალური ნორმებისა და ინსტიტუტების მოთხოვნების უგულებელყოფა. სასამართლო ბიუროკრატიზმი ხელს უშლის სასამართლოებში საქმეების დროულად და სწორად გადაწყვეტას.

ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სრულიადაც არ გულისხმობს საქმის განხილვის ხელოვნურად დაჩქარებას, რაც სინამდვილეში იწვევს მცდარი ვადაწყვეტილების გამოტანას, შემდეგ მის გაუქმებას და ბოლოს კი საქმის განხილვის გაჭიანურებას. პროცესუალური ნორმების მოთხოვნიდან ყოველგვარი „წკრილმანი" გადახვევა ამა თუ იმ ფორმით ბადებს საქმისადმი ფორმა-

[2] იხ. გაზეთი „კომუნისტი", № 31, 1981 წლის 7 თებერვალი.

ლურ-ბიუროკრატიულ დამოკიდებულებას, აბრკოლებს სწორი გადაწყვეტილების დადგენას კანონით განსაზღვრულ ვადაში.

ყოველგვარი პროცესუალური გაუბრალოება, მაგალითად, საქმის განსახილველად დანიშვნა მოუმზადებლად სხვა სასამართლოებისადმი მტკიცებულებათა შეგროვების შესახებ დავალების მიცემა, მაშინ როდესაც თვითონ შეუძლია მათი შეგროვება და ა. შ., იწვევს პროცესუალური ვადების დარღვევას, ხელს უშლის დავის დროულად გადაწყვეტას, აჭიანურებს სამართალწარმოებას, ეწინააღმდეგება მხარეებისა და საქმეში მონაწილე პირების პროცესუალური უფლებების განხორციელებას, საბოლოო ანგარიშით, არღვევს სოციალისტური კანონიერების პრინციპს.

განსაკუთრებით შეუწყნარებელია შემთხვევები, როდესაც მოსამართლე მხარეებს ავალებს ისეთ მტკიცებულებათა წარდგენას, რომელთა შეკრება მათთვის ძნელია ან საერთოდ შეუძლებელია, მაშინ, როდესაც სასამართლოს თვითონ შეუძლია მათი გამოთხოვა და მიღება. მაგალითად: ქ. გორის სახალხო სასამართლომ მოქალაქე მ-ეს, რომელიც ქ. რუსთავში ცხოვრობს დაავალა გორის ცენტრალური არქივიდან ცნობების წარდგენა. იმისათვის, რომ არქივიდან ეს ცნობები მიეღო მ-ეს მრავალჯერ მოუხდა რუსთავიდან ჩასვლა და, რაც მთავარია, ყოველთვის უშედეგოდ, ამასთან სასამართლომ იმის გამო, რომ ეს ცნობები არ გააჩნდა რამდენჯერმე გადადო საქმის განხილვა ხანგრძლივი ვადით[3]. რა თქმა უნდა, მტკიცებულებათა შეგროვებისადმი ასეთი ბიუროკრატიული დამოკიდებულების პირობებში, გარდა იმისა, რომ საქმე უსაშველოდ ჭიანურდება, შეუძლებელი ხდება აგრეთვე საქმის ნამდვილი გარემოებებისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების სრულად და ობიექტურად გამორკვევა, რაც წინასწარ განაპირობებს მცდარი და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების დადგენას.

ბიუროკრატიზმისა და ფორმალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა პარტიული, საბჭოთა და ადმინისტრაციული ორგანოების მნიშვნელოვანი ამოცანაა. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ 1980 წლის 30 სექტემბერს მიიღო დადგენილება ადმინისტრაციულ ორგანოებში ფორმალიზმის, საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ. საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ე. შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ერთ-ერთი ყველაზე საშიში ბოროტება იყო და არის ფორმალიზმი, ბიუროკრატიზმი. მათი გამოვლინებები ნაირგვარია, მაგრამ ყველა ამ გამოვლინების მიღმა იმალება თანამდებობის პირთა პოლიტიკური, სოციალური, ზნეობრივი პასუხისმგებლობის მოდუნება, მათი დაბალი პირადი კულტურა, საზოგადოებრივი ინტერესების უგულებელყოფა"[4].

სასამართლო ბიუროკრატიზმი ყველაზე ნათლად ვლინდება პროცესუალური ნორმებისა და ინსტიტუტების მოთხოვნათა უგულებელყოფით. როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, იგი ორი ფორმით ვლინდება: ა) სასამართლო თვითონ არ ასრულებს კანონის იმ მოთხოვნებს, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის სწრაფ და სწორ გადაწყვეტას და ბ) სასამართლო

[3] მაგალითი მოყვანილია ქ. გორის სახალხო სასამართლოს პრაქტიკიდან.

[4] ე. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. თბ., 1981, გვ. 138.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იბრძვის კანონით განსაზღვრული საშუალებებით, საქმეში მონაწილე პირთა მიერ იმ დარღვევების წინააღმდეგ, რომლებიც აფერხებენ პროცესის დროულად დამთავრებას.

მუშაობის ლენინური სტილი კი გულისხმობს მაღალ მოთხოვნილებას საკუთარი თავისა და სხვებისადმი .იმას, რომ სასამართლოებმა, ჯერ ერთი, იცოდნენ არ დაუშვან საპროცესო ნორმათა მოთხოვნების უგულებელყოფა, მეორეც, საპროცესო კანონით გათვალისწინებული ყველა საშუალებით იბრძოლონ, საქმეში მონაწილე პირების მიერ იმ დარღვევათა წინააღმდეგ, რომლებიც ხელს უშლიან საქმის დროულად გადაწყვეტას.

დავის განხილვის პროცესუალური ვადების დარღვევის ერთ-ერთი მიზეზია სასამართლო გარჩევისათვის საქმეების მომზადებისადმი ფორმალური მიდგომა, რაც სასამართლო ბიუროკრატიზმის ერთ-ერთი სახეობაა.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში აღნიშნულია, რომ „განცხადების მიღების შემდეგ მოსამართლე საქმის თავის დროზე და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით ამზადებს საქმეს სასამართლო გარჩევისათვის“. აქვე ჩამოთვლილია კონკრეტული მოქმედებები, რომლებსაც უნდა ასრულებდეს მოსამართლე საქმის სასამართლო გარჩევისათვის მოსამზადებლად, რათა უზრუნველყოს სამოქალაქო დავის სწორად გადაწყვეტა პირველსავე სასამართლო სხდომაზე. საქმის განხილვის გადაუდებლად და გაუჭიანურებლად.

პრაქტიკამ არაერთხელ დაადასტურა, რომ საქმის უხარისხოდ მომზადება სასამართლო განხილვისათვის და მით უმეტეს მისი უგულებელყოფა, რაც უნდა „მარტივი“ იყოს იწვევს დავის გადაწყვეტის გაჭიანურებას, რაც საზოგადოებას აყენებს მნიშვნელოვან მატერიალურ და მორალურ ზიანს. ამიტომ საქმეთა სათანადო მომზადებას სასამართლო გარჩევისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პრაქტიკის ანალიზი საფუძველს გვაძლევს გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასამართლოში საქმის განხილვის გაჭიანურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ ყოველთვის არ იცავენ, კანონის მოთხოვნას საქმის განხილვის წინასწარი მომზადების შესახებ, რის გამოც ვერ ხერხდება მტკიცების საგნის ზუსტად განსაზღვრა, საქმეში მონაწილე სუბიექტთა წრის დადგენა, არ არის უზრუნველყოფილი მხარეების და საქმეში მონაწილე სხვა პირების, მოწმეების, ექსპერტების, თარჯიმნების პროცესზე დროულად გამოცხადება. ეს იწვევს საქმის გადადებას. ამის საილუსტრაციოდ მივუთითებთ თბილისის ორჯონიკიძის რაიონის სახალხო სასასამართლოში საქმეს შ-ა-ეს სარჩელისა გამო ა. ა.-ეს მიმართ ბინიდან გამოსახლების შესახებ. სასარჩელო განცხადების მიღების შემდეგ, მოსამართლეს 149-ე მუხლის თანახმად „საქმის თავის დროზე და სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფის მიზნით“ უნდა მოემზადებინა იგი სასამართლო გარჩევისათვის. კერძოდ, გამოეკითხა მოსარჩელე სასარჩელო მოთხოვნათა არსის შესახებ, წინადადება მიეცა წარედგინა დამატებითი მტკიცებულებები, გამოეწვია მოპასუხე და გამოეკითხა საქმის სხვა გარემოებები, გადაეწყვიტა საკითხი მოწმეების გამოწვევის, ექსპერტიზის დანიშვნისა და სხვა მტკიცებულებათა გამოთხოვნის შესახებ და ა. შ. ამ საკითხებისადმი ზერელე მიდგომამ გამოიწვია ის, რომ საქმე ოთხჯერ გადაიდო ხანგრძლივი ვადით ექსპერტიზის დანიშვნასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაკავშირებით და სამჯერ იმასთან დაკავშირებით, რომ საჭიროა აღმოჩნდა ადამატებითი მტკიცებულებებისა და ცნობების გამოთხოვა.

სამართალწარმოების გაჭიანურების ერთ-ერთი მიზეზია პროცესუალური რიგითობის დარღვევა.

კანონი უაღრესად ზუსტად განსაზღვრავს სასამართლოს საქმიანობის პროცესუალურ ფორმებსა და მეთოდებს. პროცესუალური ფორმის დაცვა მოითხოვს მოქმედებათა განხორციელებას განსაზღვრულ ვადასა და განსაზღვრული თანამიმდევრობით, ე. ი. პროცესუალური რიგითობის დაცვას.

ზოგჯერ მოსამართლე სასარჩელო განცხადებას აფორმებს არა მაშინ, როდესაც მას დაინტერესებული პირისაგან მიიღებს, არამედ ყველა მოსამზადებელი მოქმედების განხორციელების შემდეგ. ამის მიზანია საქმის წარმოების ვადების ხელოვნურად შემცირება, რაც სრულიად დაუშვებელია. იგი არღვევს პროცესუალურ რიგითობას. ასეთ შემთხვევებში მოსამართლე არ არის შეზღუდული არავითარი ვადით, ეს კი სინამდვილეში იწვევს საქმის უზომოდ გაჭიანურებას.

საქმის წინასწარი მომზადების სტადიაზე პროცესუალური რიგითობის დაცვასთან დაკავშირებით საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლში ნათქვამია, რომ მოსამართლე საქმეს ამზადებს განცხადების მიღების შემდეგ, იგი ფორმდება მოსამართლის ერთპიროვნული განჩინებით და მთავრდება მას შემდეგ, რაც მოსამართლე, ცნობს რა საქმეს საკმაოდ მომზადებულად, გამოიტანს განჩინებას სასამართლო სხდომაზე მისი გარჩევის დანიშვნის შესახებ (საპროცესო კოდექსის 150-ე მუხლი). ამრიგად, კანონით ზუსტად არის განსაზღვრული ის ადგილი, რომელსაც უნდა იკავებდეს საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადება პროცესუალურ მოქმედებათა ჯაჭვში. ამიტომ მისი შეცვლა, რაღაც „პიროვნული ინიციატივა" დაუშვებელია და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც პროცესუალური ნორმის არსებითი დარღვევა.

სამართალწარმოების გაჭიანურების ობიექტურ მიზეზებს შორის, როგორც შემოთ ითქვა, არსებითია სასამართლოების გადატვირთვა საქმეებით.

საქმეების უდიდესი უმრავლესობა, რომლებსაც სახალხო სასამართლო იხილავს, სამოქალაქო საქმეებია. მათ ხარისხიან და დროულ გადაწყვეტაზე დამოკიდებულია საბჭოთა მოქალაქეების პოლიტიკური, შრომითი, საბინაო და სხვა კონსტიტუციური უფლებებისა და კანონიერი ინტერესების ეფექტიანი დაცვა. ამასთან საქმეების განხილვის ხარისხი სხვა ფაქტორებთან ერთად ბევრად არის დამოკიდებული რაოდენობრივ ფაქტორზე, ე. ი. იმაზე, თუ დროის გარკვეულ მონაკვეთში საშუალოდ რა რაოდენობის დავების განხილვა უხდება სასამართლოს. რაც უფრო დიდია ეს კოეფიციენტი, მით უფრო დაბალია საქმეთა განხილვის ხარისხი. ამიტომ არსებითი მნიშვნელობა აქვს მოსამართლეების განტვირთვას საქმეებისაგან. ამისათვის ძირითადად ორი გზა არსებობს: ერთი რომ გაიზარდოს მოსამართლეთა შტატი და, მეორე, რაც ჩვენი აზრით, უფრო ადვილი გადასაწყვეტია, სრულყოფილ იქნეს ის სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც აწესრიგებს საქმეების განაწილებას სახალხო სასამართლოს, სამედიატორო სასამართლოსა და ამხანაგურ სასამართლოებს შორის.

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლის (საქმეების მომზადება სასამართლო გარჩევისათვის) მე-4 პუნქტში

ნათქვამია: მოსამართლე განუმარტავს მხარეებს, რომ დავის გადასაწყვეტად მათ უფლება აქვთ მიმართონ სამედიატორო სასამართლოს ან ამხანაგურ სასამართლოს და აცნობს ამ მოქმედების შედეგებს. საქმეთა წარმოებას სამედიატორო და ამხანაგურ სასამართლოებში გარკვეული მნიშვნელობა აქვს. როგორც მხარეებისათვის, რომელთა შორის არის დავა სამოქალაქო უფლებასთან დაკავშირებით, ისე სასამართლოებისათვის, რომლებსაც ამით საშუალება ეძლევათ შეამცირონ საქმეთა რაოდენობა. მაგრამ პრაქტიკაში თითქმის არ გვხვდება შემთხვევები, როდესაც მოსამართლის მიერ საქმის მომზადების სტადიაზე ამ უფლების განმარტების შემდეგ მხარე მიმართავს სამედიატორო სასამართლოს. ამას კი ის განაპირობებს, რომ, ჯერ ერთი, მოქალაქეებისათვის უცნობია სამედიატორო წარმოება, მეორეც, ასეთი განმარტება საქმის მოშზადების სტადიაზე არსებითად დაგვიანებულია. ამას თვალნათლივ გვიჩვენებს პრაქტიკაც — ასეთი განმარტებები სასამართლოში კეთდება საჩელო განცხადების მიღების დროს, და არა საქმის გარჩევისათვის მოშზადებისას. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილად მიგვაჩნია დამკვიდრებული პრაქტიკა. მისი განმტკიცება საკანონმდებლო წესით ხელს შეუწყობს სასამართლოების საქმეებისაგან განტვირთვას.

სამართალწარმოების გაჭიანურების ობიექტურ მიზეზებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქმის დროულად განხილვისაკენ უშუალოდ მიმართული ნორმებისა და ინსტიტუტების დაბალი ეფექტიანობა, პირველყოვლისა კი საქმეების სასამართლო გარჩევისათვის მომზადების ინსტიტუტისა. იგი მნიშვნელოვან ცვლილებებსა და განახლებას მოითხოვს, რადგანაც ამჟამად ველარ აკმაყოფილებს იმ გადიდებულ მოთხოვნებს, რომლებსაც მას უყენებენ ხარისხისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით. სამოქალაქო პროცესუალური მეცნიერების წინაშე დგება ამოცანა, რომ პრაქტიკის ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე, სოციალური განვითარების თანამედროვე დონის გათვალისწინებით შემუშავდეს რეკომენდაციები, რომლებიც აამაღლებს ამ ინსტიტუტის ეფექტიანობას.

საპროცესო კოდექსის 149-ე მუხლით, „განჩინება სასამართლო გარჩევისათვის საქმის მომზადების შესახებ გამოაქვს მოსამართლეს ერთპიროვნულად, საქმეში მონაწილე პირთა შეუტყობინებლად". ასეთი შინაარსის დისპოზიცია შეიძლება მცდარად იქნეს გაგებული, კერძოდ, როგორც საჯაროობის პრინციპის დაუშვებლობა პროცესის ამ სტადიაზე, რითაც, როგორც ჩანს, საბოლოოდ განისაზღვრება საქმის წინასწარი მომზადებისადმი წმინდა ფორმალური დამოკიდებულება სასამართლოებში. ამიტომ სწორად მიგვაჩნია მოსაზრება, რომ განჩინება საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადების შესახებ უნდა გაეცნოს მხარეებს, მათ წარმომადგენლებსა და მესამე პირებს, ამასთან პირდაპირ შითითებას ამის შესახებ უნდა შეიცავდეს თვითონ კანონი[5].

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვადები პროცესუალური ფორმის აუცილებელი ელემენტია, ამასთან კანონით არ არის განსაზღვრული დრო, რომლის განმავლობაშიც უნდა ხორციელდებოდეს ისეთი მნიშვნელოვანი პროცესუალური მოქმედება, როგორიც არის საქმის სასამართლო გარჩევისათვის მომზადება.

---

[5] Б. Н. Лапин. Теоретические и практические проблемы повышения эффективности подготовки гражданских дел к судебному разбирательству — Актуальные проблемы теории и практики гражданского процесса, Л., 1979, стр. 149.

ასეთი ვადის განსაზღვრა კი უფრო ქმედითსა და ოპერატიულს გახდიდა მოსამართლის საქმიანობას პროცესის ამ სტადიაზე. აღსანიშნავია, რომ სხვა მოკავშირე რესპუბლიკებისაგან განსხვავებით მხოლოდ უკრაინის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსი ადგენს ცალ-ცალკე ვადებს, როგორც საქმის გარჩევისათვის მოსამზადებლად, ისე მისი განხილვისათვის.

პროცესუალური ფორმის დაცვა გულისხმობს აგრეთვე ყველა მოქმედების სათანადო გაფორმებას. ამიტომ საქმის გარჩევისათვის მომზადების შესახებ განჩინებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ყველა ის კონკრეტული მოქმედება, რომლებსაც განახორციელებს მოსამართლე ამ სტადიაზე. მასში აუცილებლად უნდა იყოს მითითება მოსამზადებელი საქმიანობის დამთავრების ვადაზე. ეს უზრუნველყოფს, ჯერ ერთი, საქმის მომზადებას დასახული გეგმის მიხედვით, კერძოდ, მოსამართლის მიერ გამოტანილი განჩინების შესაბამისად და, მეორეც, ზემდგომ სასამართლოებს საშუალება მიეცემათ აღვილად შეამოწმონ პირველი ინსტანციის სასამართლოებში საქმეების მომზადების ორგანიზაცია.

ყოველივე ეს ცხადყოფს, რომ საჭიროა წინასწარი მომზადების ინსტიტუტის მნიშვნელოვანი განახლება, მისი ეფექტიანობის ამაღლება. კანონების განახლების დიდი მნიშვნელობა ხაზგასმით აღნიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა: „დიდ სასარგებლო ეფექტს იძლევა საბჭოთა კანონმდებლობის განახლება, რაც კონსტიტუციის საფუძველზე ხორციელდება. ახალი კანონები საძუალებას გვაძლევს უფრო ზედმიწევნით, უფრო ზუსტად მოვაწესრიგოთ საზოგადოებრივ ურთიერთობათა სხვადასხვა მხარე. მუშაობა კანონმდებლობის სრულყოფისათვის კვლავაც გაგრძელდება“[6].

კანონისაგან სასარგებლო ეფექტის მიღება მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც განუბრელად სრულდება მისი მოთხოვნა, როცა იგი ცოცხლობს და მოქმედებს, ხოლო „ყოველი კანონი მხოლოდ მაშინ ცოცხლობს, როცა იგი სრულდება, — სრულდება ყველას მიერ და ყველგან“. ამ მხრივ პარტიის XXVI ყრილობამ ახალი მნიშვნელოვანი ამოცანები დაუსახა პარტიულ, საბჭოთა და ადმინისტრაციულ ორგანოებს. ამ ამოცანების განხორციელებაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებს, რომლებიც თავიანთი სახელმძღვანელო დადგენილებებითა და განმარტებებით, მთელი თავიანთი საქმიანობით ხელს უნდა უწყობდნენ სამართლის ნორმების სწორი შეფარდების უზრუნველყოფას მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში, მათ განუხრელ დაცვასა და განხორციელებას. აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო საქმეების როგორც სწორი, ისე სწრაფი განხილვა და გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილების დროული აღსრულება სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს მუდმივი ყურადღების საგანია. ამ საკითხს მან არაერთი სახელმძღვანელო დადგენილება მიუძღვნა, რომელთა შორის განსაკუთრებით ყურადსაღებია 1952 წლის 5 სექტემბრის დადგენილება „სასამართლოების საქმიანობაში გაჭიანურების ფაქტების აღმოფხვრის შესახებ“, 1965 წლის 11 ოქტომბრის დადგენილება „სასამართლოების მიერ სამოქალაქო საქმეების განხილვისას პროცესუალური კანონმდებლობის გამოყენების პრაქტიკის შესახებ“, 1976 წლის 5 ნოემბრის

[6] „სკკპ XXVI ყრილობის მასალები“, თბ., 1981, გვ. 99.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღადგენილება „სასამართლოების მიერ სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეების განხილვის კანონით დადგენილი პროცესუალური ვადების დაცვის შესახებ". სამოქალაქო სამართლებრივი დავის განხილვისა და გადაჭრის გაჭიანურებისა და ამის გამო მცდარი გადაწყვეტილების გამოტანის წინააღმდეგ, შეურიგებელი ბრძოლის აუცილებლობაზეა მითითებული სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მთელ რიგ სხვა დადგენილებებშიც[7].

საქართველოს კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობაზე აღინიშნა, რომ „დღეგანდელობის ამოცანებმა, რომლებიც ახალი კონსტიტუციიდან გამომდინარეობს, კიდევ უფრო მაღალი მოთხოვნები წაუყენა სასამართლოს, პროკურატურის, სახელმწიფო უშიშროების, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, ყველას, ვინც სოციალისტური მართლწესრიგის სადარაჯოზე დგას[8]. უკანასკნელ პერიოდში საქართველოს სსრ იუსტიციის ორგანოებმა, სასამართლოებმა გააძლიერეს ყურადღება საქმეების განხილვის ოპერატიულობისადმი, სასამართლო პროცესების ეფექტიანობისადმი, მისი აღმზრდელობითი როლის ამაღლებისადმი. აღსანიშნავია, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის მრავალი დადგენილება მოითხოვს დავის სწრაფ და სწორ გადაწყვეტას, სამართალწარმოების გაჭიანურების დაუშვებლობას, პროცესუალური ვადების დაცვის აუცილებლობას, სასამართლო გადაწყვეტილების დროულ აღსრულებას. მაგრამ დღემდე საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს არ მიუღია სპეციალური დადგენილება სამოქალაქო სამართალწარმოებაში პროცესუალური ვადების დაცვის შესახებ[9]. სასამართლოებში სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადების დაცვის მდგომარეობა კი მოითხრვს, რომ საგანგებოდ შევისწავლოთ სასამართლო პრაქტიკა და მისი ანალიზისა და განზოგადების საფუძველზე მივიღოთ სპეციალური სახელმძღვანელო დადგენილება სამოქალაქო საქმეების განხილვისას პროცესუალური ვადების დაცვის შესახებ. ასეთი დადგენილება უთუოდ შეუწყობს ხელს სამოქალაქო სამართალწარმოების გაჭიანურების თავიდან აცილებას, უზრუნველყოფს დისციპლინასა და წესრიგს სასამართლო საქმიანობაში.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი შემთხვევები, როცა მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის ზოგიერთი ხელმძღვანელი თუ რიგითი მუშაკი ფორმალურ-ბიუროკრატიულად და არაკეთილსინდისიერად ეკიდება თავის სამსახურებრივ მოვალეობებს.

ე. შევარდნაძე.

---

[7] См. «Сборник постановлений пленума Верховного Суда СССР». М., 1970, стр. стр. 31, 90, 124, 131 и т. д.

[8] ე. ა. შევარდნაძე. საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, მოხსენება საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას, თბ., 1981, გვ. 117.

[9] აღსანიშნავია, რომ ასეთი დადგენილებები უკვე მიღებულია რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში, მაგ. რსფსრ-ს უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა 1970 წლის 23 დეკემბერს მიიღო დადგენილება „სამოქალაქო საქმეების განხილვის ვადების შესახებ".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოციალისტური ქონების წვრილმანი დატაცება და მასთან ბრძოლა

ბ. ხაზარაძე,
საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ამოცანების განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობასა და დაცვას.

სსრ კავშირის კონსტიტუციის მეათე მუხლში ნათქვამია, რომ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ საფუძველს შეადგენს წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრება, სახელმწიფო და სამეურნეო-კოოპერაციული საკუთრების ფორმით. სახელმწიფო იცავს სოციალისტურ საკუთრებას და ქმნის მისი შემდგომი ზრდის პირობებს. არავის არა აქვს უფლება პირადი გამორჩენისა და სხვა ანგარებითი მიზნით იყენებდეს სოციალისტურ საკუთრებას.

ამ მოთხოვნათა უზრუნველსაყოფად სხვა ორგანოებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასაუწყებო დაცვის სამსახური, რომელიც შინაგან საქმეთა ორგანოების ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესაბამისად შინაგან საქმეთა ორგანოები ბოლო ხანს დიდ მუშაობას ეწევიან სოციალისტური საკუთრების დაცვის ღონისძიებათა სრულყოფისათვის. ამ მხრივ გარკვეული მნიშვნელობა ჰქონდა წინათ არსებული ცალკეული სამეურნეო ორგანიზაციების საუწყებო დაცვის ცენტრალიზაციას მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამის წყალობით სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვა ხორციელდება ერთიანი გეგმით, ავტომატიზაციის თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით, ეკონომიკურად ხელსაყრელი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით.

ამან წარმოშვა ახალი პრობლემები არა მარტო შინაგან საქმეთა ორგანოების, არამედ სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების წინაშეც.

საქართველოს არასაუწყებო დაცვის ქვედანაყოფები ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით ახორციელებენ ღონისძიებებს სახალხო მეურნეობის ობიექტების სრულადსაცავ სიგნალიზაციით აღჭურვისათვის. ამან და თანამედროვე სხვა რიგ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებამ საშუალება მოგვცა უფრო საიმედოდ დაგვეცვა ობიექტები, საგრძნობლად შეგვემცირებინა დაცვის მუშაკთა საერთო რიცხვი, რამაც თავის მხრივ დიდი ეკონომიკური სარგებლობა მოუტანა სახალხო მეურნეობას.

სოციალისტური საკუთრების საიმედო დაცვის უზრუნველყოფისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელი ღონისძიებების განხორციელებას.

უკანასკნელ წლებში საგრძნობლად გაუმჯობესდა ჩვენი საქმიანობის კო-

ორღინაცია რესპუბლიკის სახალხო კონტროლის ორგანოებთან, სამინისტროების, უწყებების და ორგანიზაციების ხელმძღვანელებთან. ყოველწლიურად ტარდება შინაგან საქმეთა და სხვა სამინისტროების ერთობლივი კოლეგიები, საუწყებათაშორისო თათბირ-სემინარები, რომლებზეც ისახება კონკრეტული ამოცანები სოციალისტური საკუთრების დაცვის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს სახალხო კონტროლის კომიტეტის, სამინისტროების და უწყებათა წარმომადგენლების მონაწილეობით სისტემატურად მოწმდება სახალხო მეურნეობის ობიექტების დაცვის, წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის ორგანიზაცია. გამოვლენილი დარღვევების გამო სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოები, ცალკეული სამრეწველო ობიექტების დირექტორები დროულად იღებენ საჭირო და ამომწურავ ინფორმაციებს.

შარშან ასეთი შემოწმებები მოეწყო კვებისა და მსუბუქი მრეწველობის, ხორცისა და რძის მრეწველობის, კულტურისა და ვაჭრობის სამინისტროების, „ცეკავშირის" და სხვა ორგანიზაციათა ობიექტებში. არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ სხვადასხვა ინსტანციაში გაიგზავნა ასობით წარდგინება და ინფორმაცია. უკანასკნელ ხანს წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლა კიდევ უფრო გააქტიურდა.

1976-1981 წლებში რესპუბლიკაში გამოვლენილია წვრილმანი დატაცების ათასობით ფაქტი და ამოღებულია 224.7 ათასი მანეთის ფასეულობა.

წვრილმანი დატაცების შემთხვევათა დიდი რაოდენობით გამოვლენა, ერთი მხრივ, მოწმობს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობის გააქტიურებას, მეორე მხრივ კი, გვიჩვენებს, რომ სახალხო მეურნეობის ობიექტებზე მატერიალურ ფასეულობათა დაცვა ჯერ კიდევ არ არის ჯეროვნად უზრუნველყოფილი.

რესპუბლიკის სამინისტროების, უწყებებისა და ორგანიზაციების სამრეწველო ობიექტებზე წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამ მხრივ ყველაზე დაზიანებულია კვების, ხორცისა და რძის, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების ობიექტები.

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების ბევრი ფასალა რეაგირებისათვის გადაეცა სახალხო სასამართლოებს, დამნაშავენი გასამართლებული არიან საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 95-ე მუხლით. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად ადმინისტრაციული წესით დაისაჯა ასობით დამტაცებელი, მათ შორის ზოგიერთი დაპატიმრებულია, ზოგს მისჯილი აქვს გამასწორებელი სამუშაოები ან დაჯარიმებულია. დიდძალი საქმეები გადაეცა ამხანაგურ სასამართლოებს სამუშაო ადგილას.

სამწუხაროდ, სოციალისტური ქონების წვრილმან დამტაცებელთა შორის კვლავ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის წარმომადგენლებს, სკკპ წევრებს და წევრობის კანდიდატებს, კომკავშირელებს, დაცვის მუშაკებმა გამოავლინეს არაერთი ფაქტი მატერიალური ფასეულობის დატაცების მზადების შესახებ.

როგორც ვხედავთ, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის მთელ რიგ დარგებში სურათი წვრილმანი დატაცების მხრივ არასახარბიელოა.

ეს უპირველესად იმით არის გამოწვეული, რომ ბევრი საწარმოს ხელმძღვანელი არ აკეთებს საჭირო დასკვნებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან ეახელმწიფო და პარტიული დისციპლინის განმტკიცებისა და ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ მთელ რიგ სამრეწველო ობიექტებში წვრილმანი დატაცების ფაქტებს ჯერ კიდევ საკმაოდ გავრცელებული ხასიათი აქვს. მათი ხელმძღვანელები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ ნაკლოვანებებია აღმოფხვრას, რომელიც ხელს უწყობს წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის გაძლიერებას. შემოწმების მასალები გვიჩვენებს, რომ ბევრან უხეშად ირღვევა შიდასაობიექტო რეჟიმი, რაც გულისხმობს ნედლეულის ხარჯვის და მზა პროდუქციის რაოდენობის ზუსტად აღრიცხვას, წარმოების პროცესში ეროი საამქროდან, ან საწარმოო უბნიდან მეორეში მათი გადაადგილების დროს მკაცრ კონტროლს, რათა გამორიცხოს საწარმოო ნორმებია დარღვევით, ზედმეტი პროდუქციის წარმოება, რაც ჰქმნის ხელსაყრელ ვითარებას ნედლეულის ან მზა პროდუქციის დატაცებისათვის.

ბევრ საწაარმოში უმოქმედობენ სოციალისტური საკუთრების დაცვის ხელშეშწყობი მუდმივმოქმედი კომისიები, სახალხო კონტროლის ჯგუფები და საგუშაგოები, ამხანაგური ასასამართლოები, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმელები და სხვა საზოგადოებრივი ძალები, რომლებიც მოწოდებულნი არიან, დაეხმარონ ადმინისტრაციას და არასაუწყებო დაცვის მუშაკებს სოციალისტური საკუთრების მოვლა-პატრონობაში. სუსტად სრულდება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 29 მაისის ბრძანებულება წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ.

ამის შედეგია ის ფაქტი, რომ 1976-81 წლებში გამოვლენილი წვრილმანი დატაცების აღრიცხული რაოდენობიდან საწარმოს ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ გამოვლინებულია წვრილმან დატაცებათა ზოლიანი რიცხვის მხოლოდ 1,2 პროცენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 8 აგვისტოს ერთობლივი დადგენილება კი ყველა სამინისტროს და უწყებას აკალებს გააძლიერონ ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის. ამასთან, უფრო მეტი ყურადღება დაუთმონ დატაცების პროფილაქტიკასა და თავიდან აცილებას. ზოგი სამეურნეო ხელმძღვანელი ურიგდება მდგომარეობას, სერიოზულად არ აანალიზებს წვრილმანი დატაცების გამომწვევ მიზეზებს, არ ახორციელებს საჭირო ღონისძიებებს მათი აღკვეთისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ არაერთხელ დააყენა საკითხი სამინისტროების, უწყებებისა და სამეურნეო გაერთიანებების წინაშე საწარმოებში წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძოდ, სოციალისტური ქონების დაცვის ხელშემწყობი საბჭოებია ჩამოყალიბების შესახებ. მიუხედავად ამისა შემოწმებული 719 ობიექტიდან მსუბუქი მრეწველობის 31, ადგილობრივი მრეწველობის 37, ჩორცის და რძის მრეწველობის 32, კვების მრეწველობის სამინისტროს 41 „ცეკავშირის" 8 და სხვა ობიექტებში ასეთი საბჭოები დღესაც არ არის შექმნილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ქონების წვრილმანი დატაცების თავიდან აცილებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საკონტროლო-გასაშვები პუნქტების ტექნიკური საშუალებებით აღჭურვას. შინაგან საქმეთა სამინისტროს არაერთი შეხსენების მიუხედავად, რიგი საწარმოს ხელმძღვანელი არც ამ მხრივ იჩენს დაინტერესებას.

შემოწმებული ობიექტებიდან რომელთაც აქვთ საკონტროლო-გასაშვები პუნქტები 298-ს არა აქვს ტურნიკატები, 314-ს გასასინჯი ოთახი, 337-ს მუშებისა და მოსამსახურეთა პირადი ნივთების შესანახი ოთახი, 350-ს საკონტროლო სასწორი, 317-ს მექანიზებული კარი, ხოლო 121 საწარმოს საკონტროლო-გასაშვები პუნქტის შენობა ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს.

მატერიალური ფასეულობის წვრილმან დატაცებას ხელს უწყობს აგრეთვე სახალხო მეურნეობის ობიექტების არასათანადო ტექნიკური გამაგრება, სიგნალიზაციის საშუალებების დანერგვა მეტისმეტად ნელი ტემპით წარმოებს. შემოწმებული ობიექტებიდან 168 ანუ 23,4 პროცენტი არ არის ტექნიკურად გამაგრებული, 182-ს ანუ 24,6 პროცენტს არა აქვს სიგნალიზაცია.

კვების მრეწველობის სამინისტროს 146 ობიექტიდან ტექნიკურად არ არის გამაგრებული 46, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს 66-დან 31, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სისტემის 100-დან 38, ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს 69 ობიექტიდან 25. ანალოგიური მდგომარეობაა მშენებლობისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროების, ასევე „ცეკავშირის" და სხვა უწყებების ობიექტებზე. საერთო ნაკლია ის, რომ სამრეწველო და სასაწყობო ნაგებობა ხშირად არ არის კაპიტალური, ფანჯრებს არ აქვთ ლითონის რიკულები, არ არის გამაგრებული კარი, საწარმოს ტერიტორიის შელობვა არ აკმაყოფილებს ტექნიკურ ნორმებსა და ასე შემდეგ.

ზოგიერთი სამეურნეო ორგანიზაციის ხელმძღვანელი სხვადასხვა ძოტიკით საერთოდ თავს აბიდებს ობიექტის არასაუწყებო დაცვისათვის გადაცემას, რაც ეწინააღმდეგება მთავრობის დადგენილებას.

ანალიზი გვიჩვენებს, რომ სოციალისტური საკუთრების წვრილმანი დატაცების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი პირობა არის საამქროების უფროსების, ცვლის ოსტატებისა და სხვა მატერიალური პასუხისმგებელი პირების მხრივ საქმისადმი გულგრილობა, უდისციპლინობა, შიდასაობიექტო კონტროლის და რეჟიმის მოშლა.

წვრილმან დატაცებასთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით ამ დანაშაულის აღკვეთა-აცილების საქმეში საზოგადოებრიობის დარაზმვისათვის საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველო ყოველ კვარტალში სამინისტროებს, უწყებებს, პროკურატურას, სახალხო კონტროლის რესპუბლიკურ კომიტეტს აწვდის ინფორმაციებს საჭირო მონაცემებით. ეს საშუალებას აძლევს სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელებს განახორციელონ საჭირო პროფილაქტიკური ღონისძიებები. ასევეთვე ინფორმაცია ეგზავნება ადგილობრივ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს.

სოციალისტური საკუთრების დაცვის გაუმჯობესებისა და წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის გასაძლიერებლად უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე ამ ინფორმაციების საფუძველზე მიღებულია ბევრი დადგენილება, რომლებშიც დასახულია ღონისძიებანი სოციალისტური ქონების საიმედო დაცვის ორგანიზაციის მიზნით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის საფუძველზე კვების, მსუბუქი, ხორცისა და რძის მრეწველობის, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროების კოლეგიების, „ცეკავშირის" გამგეობის სხდომებზე განხილულია საკითხი სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ. მაგრამ მიღებული ზომების მიუხედავად მდგომარეობა ბევრ სამრეწველო ობიექტზე ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

წვრილმან დატაცებათა თავიდან აცილების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით ამ საქმის კვლევაში ჩააბეს სამეცნიერო დაწესებულებაც. ეს პრობლემა სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით შეისწავლა საკავშირო შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის საქართველოს განყოფილებამ, რომელიც სოციალისტური საკუთრების დაცვის საკითხებზე მუშაობს. ლაბორატორიამ ჯერ კიდევ 1976 წელს გამოიკვლია გაერთიანება „თბილთამბაქოს" სისტემაში შემავალი ფაბრიკებიდან მზა პროდუქციის დატაცების მიზეზები და შეიმუშავა მათი აღმოფხვრის მეცნიერულად დასაბუთებული რეკომენდაციები, რომელიც გაეგზავნა გაერთიანების ხელმძღვანელობას. თავის მხრივ გაერთიანებამ მოიწონა ეს რეკომენდაციები.

სამწუხაროდ, გაერთიანების ხელმძღვანელობის ბევრი არაფერი გაუკეთებია მათი დანერგვისათვის, რის გამოც რეკომენდაციები დღემდე შეუსრულებელია. კერძოდ, მოგვარებული არ არის საამქროებისადმი ნედლეულის გაცემის, აგრეთვე მეთვალყურეობის სატელევიზიო სისტემა; ტექნიკურად არ არის გამართული დანადგარები, რომლებიც უზრუნველყოფენ გამომუშავებული პროდუქციის მექანიკურად აღრიცხვას, არ არის დანერგილი პირველადი აღრიცხვის ფორმები, არ არის დაწესებული საზოგადოებრივი აქტივის მორიგეობა საკონტროლო-გასაშვებ პუნქტებში და სხვა.

ამის გამო „საქთამბაქოს" თბილისის საწარმოო გაერთიანების № 1 და № 2 ფაბრიკებში წვრილმანი დატაცებები კვლავ გავრცელებულია. აუცილებელია გაერთიანების ხელმძღვანელებმა გადამჭრელი ზომები იხმარონ ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის. თავის მხრივ შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკვე დასახა ღონისძიებები ამ ობიექტების არასაუწყებო დაცვის სამსახურის მუშაკების პასუხისმგებლობის შესახებ.

წვრილმან დატაცებებთან ბრძოლის გაძლიერებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გამოვლენილი ფაქტების გამო ჩატარებული მოკვლევის ხარისხს და შეკრებილი მასალების სასამართლო ორგანოებისათვის დროულად გადაცემას, კანონით დადგენილ ვადებში მათ განხილვას როგორც სახალხო, ისე ამხანაგურ სასამართლოებში. უნდა ითქვას, რომ ამ მხრივაც ბევრგან ყველაფერი რიგზე არ არის. თბილისის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის სხდომაზე ამ საკითხის განხილვამ გვიჩვენა, რომ წვრილმან დატაცებების შესახებ მასალების განხილვისას უხეშად ირღვევა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მიერ დადგენილი წესი. ხშირად მასალები უხარისხოდ ფორმდება. მილიციის ორგანოებში ისინი ბრძანებულებით გათვალისწინებულ სამ დღეზე მეტ ხანს ყოვნდება, ჭიანურდება მათი განხილვა სასამართლოებშიც, მიღებულ გადაწყვეტილებებს კი ყოველთვის არ აცნობენ ბუნა-მოსამსახურეებს და სხვა. ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას და ბრძანებულებით გათვალისწინებული ნორმების ზუსტ დაცვას მომავალში მეტი ყურადღება უნდა მიექცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის დარგში არსებული მდგომარეობა გამოწვეულია აგრეთვე შინაგან საქმეთა ორგანოების არასაუწყებო დაცვის სამსახურის არაღამაკმაყოფილებელი საქმიანობითაც. ჩვენი მუშაობის ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ბევრი სერიოზული ნაკლოვანებებია. მთავარი ის არის, რომ არასაუწყებო დაცვის ზოგიერთი მუშაკი ჯერ კიდევ არ დგას მოწოდების სიმაღლეზე, აქტიურად არ იბრძვის იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებიც ხელყოფენ სოციალისტურ საკუთრებას. მთლიანად და სრულყოფილად არ არის გამოყენებული ტექნიკური საშუალებები.

დაცვის მუშაკების ხარისხობრივი შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით უკანასკნელ წლებში სამუშაოდან განთავისუფლებულია 300-ზე მეტი მუშაკი, რომლებიც სხვადასხვა დანაშაულის ჩადენისათვის წარსულში გასამართლებული იყვნენ, ან არ იმსახურებდნენ ნდობას.

სხვა რესპუბლიკების გამოცდილების გათვალისწინებით არასაუწყებო დაცვის ზოგიერთ დანაყოფში ბრიგადირებს ვცვლით მილიციის მუშაკებით. პირველი ნაბიჯი ამ მხრივ გადადგმულია ქ. თბილისის კიროვის რაიონის, ქ. ქუთაისის, ქ. ბათუმის არასაუწყებო დაცვის განყოფილებების მიერ, რამაც უკვე მოგვცა დადებითი შედეგი. ვფიქრობთ, მომავალში ეს სიახლე სხვაგანაც დავნერგოთ.

ზოგიერთი საქალაქო და რაიონული არასაუწყებო დაცვის განყოფილება არ აანალიზებს წვრილმანი დატაცების წინააღმდეგ ბრძოლის შედეგებს, არ შედიან პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში წარდგინებით იმ სამეურნეო ორგანიზაციათა ხელმძღვანელების შესახებ, რომელთა ობიექტებზეც ხშირია წვრილმანი დატაცებები. ასეთ განყოფილებებს განეკუთვნებიან თბილისის 26 კომისრის, პირველი მაისის, ოქტომბრის რაიონების, ქ. ქუთაისის და სხვა არასაუწყებო დაცვის განყოფილებები. ახალქალაქის, ახმეტის, წალკის, ზუგდიდის, ონის, საჩხერის და თერჯოლის არასაუწყებო დაცვის ქვეგანყოფილებები ოთქმის არავითარ მუშაობას არ ეწევიან წვრილმანი დატაცებების თავიდან აცილებისათვის.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და არასაუწყებო დაცვის სამმართველო იღებს გადამწყვეტ ზომებს ყველა ამ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ახორციელებს სპეციალურ ღონისძიებებს, რომლებმაც უახლოეს ხანში დადებითი შედეგი უნდა მოგვცეს.

სოციალისტური საკუთრების წვრილმან დამტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საჭიროა:

1. ამკვეთრად ამაღლდეს საწარმოთა, დაწესებულებათა და სამეურნეო ორგანიზაციების პერსონალურ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლაში. მათ ყველაფერი უნდა იღონონ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების მოთხოვნათა სრულად შესრულებისათვის; განმტკიცდეს მათი კონტაქტი შინაგან საქმეთა ადგილობრივ ორგანოებთან, არასაუწყებო დაცვის სამსახურთან; მეტი ყურადღება მიექცეს პროფილაქტიკურ-გამაფრთხილებელ ღონისძიებათა განხორციელებას; ხორცისა და რძის, კვების, მსუბუქი და ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, აგრეთვე „ცეკავშირის" სამრეწველო ობიექტებში ამაღლდეს ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობა. შიდასაობიექტო რეჟიმის მდგო-

მარეობისადში შემუშავდეს ნედლეულისა და მზა პროდუქციის მკაცრი აღრიცხვისა და კონტროლის მოქნილი სისტემა;

საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა განახორციელონ კონკრეტული ღონისძიებანი წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლაში ფართო მასების ჩასაბმელად. ამისათვის გააქტიურონ სახალხო კონტროლის ჯგუფების, ამხანაგური სასამართლოების, კომკავშირული პროუექტორის, ნებაყოფლობითი სახალხო რაზმეულების, სოციალისტური საკუთრების დაცვის ხელშემწყობი საბჭოების და საზოგადოებრივი ზემოქმედების სხვა ძალების მუშაობა. საწარმოთა ხელმძღვანელებთან ერთად იზრუნონ სახალხო მეურნეობის ობიექტების ტექნიკური გამაგრებისათვის, საკონტროლო-გასაშვები პუნქტების მოწყობისა და მათი დაცვის ტექნიკური საშუალებებით აღჭურვისათვის;

პრესამ, რადიომ და ტელევიზიამ მეტი ყურადღება დაუთმონ წვრილმან დატაცებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებს. შეიქმნას საზოგადოებრიობის შეურიგებლობის ატმოსფერო ამ დანაშაულის წინააღმდეგ;

სასალხო მეურნეობის იმ ობიექტების ხელმძღვანელებმა, სადაც გავრცელებულია წვრილმანი გატაცება, იფიქრონ მუშა-მოსამსახურეთა მატერიალური სტიმულირების ღონისძიებათა შემუშავებაზე.

ჯერ ისევ დაძაბული სიტუაციაა რესპუბლიკაში წვრილ-წვრილ დატაცებებთან, შრომისა და საზოგადოებრივი დისციპლინის დარღვევებთან... დაკავშირებით. დღეს ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლამ უნდა შეიძინოს კიდევ უფრო მწვავე, კიდევ უფრო მიზანმიმართული ხასიათი, ვიდრე ჰქონია ოდესმე.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილიდან საბჭოთა საქართველოს კომუნისტებს, ყველა მშრომელს პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მეათე წლისთავთან დაკავშირებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრო-სამრეწველო კომპლექსი — ყველას საზრუნავი

1982 წლის 1 მარტისათვის რესპუბლიკაში დამთავრდა აგრარულ სამრეწველო გაერთიანებათა შექმნა. დიდი ძიების შემდეგ გამონახულია სოფლის მეურნეობის მართვის თვისებრივად ახალი, პროგრესული ფორმა. მან თავისი როლი უნდა შეასრულოს სოფლის მეურნეობის საწარმოთა ეკონომიკის შემდგომ განმტკიცებაში, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესებაში, მრეწველობის სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით უზრუნველყოფაში.

ახალი გაერთიანების წინაშე მდგომი ამოცანების გადაწყვეტაში აუცილებელია აქტიურად ჩაებას იურიდიული სამსახური, რომელიც სოფლის მეურნეობას ემსახურება. მხოლოდ კანონის განუხრელად დაცვის, სამართლებრივი საშუალებების ფართოდ გამოყენების პირობებშია შესაძლებელი ამ ვაერთიანებათა წარმატებული საქმიანობა.

„საბჭოთა სამართალი" აქვეყნებს ქართველი იურისტების პირველ წერილებს ამის თაობაზე და თავის ფურცლებზე სასაუბროდ იწვევს სწავლულ იურისტებს, სოფლის მეურნეობის გაერთიანებათა იურიდიული ჯგუფის უფროსებს, იურისკონსულტებს, სოფლის მეურნეობის გაერთიანებათა ხელმძღვანელ მუშაკებს.

ველით თქვენს წერილებს, ძვირფასო მეგობრებო!

სოფლის მეურნეობის ახლებურად მართვის სამართლებრივი ასპექტები

ა. აბესაძე,
საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე

განვითარებული სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია ობიექტური პროცესია, რომელსაც ტექნიკური პროგრესის ბაზაზე თან სდევს საწარმოო ძალების მკვეთრი განვითარება. ეს მოითხოვს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მართვის შემდგომ დახვეწას, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფას, რაც საბოლოო ანგარიშით ემსახურება ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, პარტიის მიერ დასახული სასურსათო პროგრამის შესრულებას, ქვეყნის საიმედო მომარაგებას სურსათით, ხოლო მრეწველობისა — სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით. სოფლის მეურნეობის ორგანოების საქმიანობისადმი სახელმწიფო ხელმძღვანელობის გაუმჯობესება ყოველთვის იყო პარტიის სისტემატური ზრუნვის საგანი. ასეა დღესაც.

სამეურნეობათაშორისო კოოპერირების საფუძველზე მეურნეობის სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის ახალმა ეტაპმა მოითხოვა სოფლის მეურნეობის მართვის შესაბამისი ოპტიმალური ფორმების შემუშავება. „ყოველი-

ვე ამისათვის, — აღნიშნა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXVI ყრილობაზე, — უნდა შევქმნათ სათანადო ეკონომიკური ვითარება, ორგანიზაციული და მმართველობითი ურთიერთობა, არ შეიძლება, რომ მეურნეობის მართვის ცოცხალი განვითარებადი ორგანიზმი დავუქვემდებაროთ დამყაყებულ, ჩვეულებრივ ფორმებს. პირიქით, ფორმები უნდა შევუსატყვისოთ ცვალებად სამეურნეო ამოცანებს. სწორედ ასე შეიძლება საკითხის დაყენება"[1].

ამ მითითებათა შესრულების დადასტურებაა ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში განხორციელებული რეფორმა — სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების ჩამოყალიბება, რომლებსაც მუშაობის ახალ პირობებში უაღრესად პასუხსაგები ამოცანები აქვთ დაკისრებული.

თავისი იურიდიული ბუნებით აგროსამრეწველო გაერთიანება სამეურნეო მართვის სრულიად ახალი ორგანოა, რომელიც რაიონის ტერიტორიაზე მოქმედი ყველა სოფლის მეურნეობის საწარმოს და მასთან დაკავშირებული ორგანიზაციის ერთიან ხელმძღვანელობას ახორციელებს წარმოების სპეციალიზაციის, კონცენტრაციისა და კოოპერირების, მთელი რიგი საწარმოო-სამეურნეო ფუნქციებისა და რესურსების ცენტრალიზაციის საფუძველზე.

გაერთიანებას ევალება გაადიდოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა. სოფლის მეურნეობის დარგში სახელმწიფო გეგმებისა და საკონტრაქტაციო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფა, პროდუქციის ხარისხის მკვეთრად ამაღლება და დანაკარგების თავიდან აცილება, მისი შენახვისა და ტრანსპორტირების გაუმჯობესება, ადგილობრივი შრომითი, ენერგეტიკული და ნედლეულის რესურსების ეკონომიური ხარჯვა და ა. შ.

სოფლის მეურნეობის მართვის, მისი სპეციალიზაციის ახალი გზებისა და ფორმების ძიება სხვა რესპუბლიკებშიც მიმდინარეობს. მაგალითად, 1980 წლის მონაცემებით, საბჭოთა კავშირში იყო 140 აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება და 604 აგრარულ-სამრეწველო საწარმო, მათ შორის 8 აგრარულ-სამრეწველო გაერთიანება და 398 აგრარულ-სამრეწველო საწარმო შედიოდა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში, დანარჩენი კი სსრ კავშირის კვების მრეწველობის სისტემაში"[2].

ჩვენს რესპუბლიკაში სოფლის მეურნეობის ახლებურად მართვა ერთბაშად არ განხორციელებულა. მართვის ახალი ფორმების ძიება და გამოცდა საქართველოში ეტაპობრივად ხდებოდა, იმგვარად, რომ არ გართულებულიყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოება. წლების განმავლობაში სპეციალისტები, რესპუბლიკის ხელმძღვანელები გულდასმით, ყურადღებით სწავლობდნენ უკრაინის, მოლდავეთის, ბალტიისპირეთის, სხვა მოძმე რესპუბლიკების, აგრეთვე უნგრეთის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. 1974 წელს სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანება ექსპერიმენტის სახით შეიქმნა აბაშის

---

[1] ლ. ი. ბრეჟნევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობას, თბილისი, 1981, გვ. 84-85.

[2] П. Ермаков, Проблемы аграрно-промышленных объединений, жур. «Хозяйство и право», 1981 г., № 6, ст. 13.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონში. აქედან იწერება ამ გაერთიანების მექანიზმის დახვეწა, მისი მუშაობის ხარისხისა და ეფექტიანობის შემოწმება. სოფლის მეურნეობის მართვის აბაშურმა სისტემამ შემდეგ გამოცდა გაიარა მახარაძის, ქობულეთისა და რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა ეკონომიკურად მძლავრ რაიონში. პრაქტიკამ სულ მალე გვიჩვენა მათი დიდი უპირატესობა. მაგალითად, ერთ დროს რესპუბლიკის ყველაზე ჩამორჩენილმა აბაშის რაიონმა მეათე ხუთწლედის ბოლოს ორმაგად გაზარდა პროდუქციის წარმოება. ამ პერიოდში რაიონის წამყვანი კულტურის — სიმინდის მოსავლიანობა ხუთჯერ, ხოლო ბოსტნეულისა — რვაჯერ გაიზარდა. მოკლე დროში მნიშვნელოვანი წარმატებებია მიღწეული მეცხოველეობაშიც. მეათე ხუთწლედის ბოლოს აბაშელებმა შეძლეს ხორცის წარმოება გაეზარდათ ოთხჯერ, რძისა კი —ორჯერ[3]. მოკლე ხნის მანძილზე სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოებაში დიდ წარმატებებს მიაღწია მახარაძის რაიონმაც.

აბაშის, მახარაძის და ზოგიერთი სხვა რაიონის აგრარულ-სამრეწველო კომპლექსის მართვის ცალკეული ელემენტების დახვეწის, გაანალიზებისა და მეცნიერული შემოწმების შემდეგ დღის წესრიგში დადგა სოფლის მეურნეობის გაერთიანებების შექმნა მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

ანგარიშგასაწევი აღმოჩნდა სხვა ფაქტორებიც.

ცხოვრებამ დაგვანახვა, რომ სასოფლო-სამეურნეო და მასთან დაკავშირებული საწარმოების ვიწრო დარგობრივი და უწყებრივი პრინციპით მართვა ხშირად ეწინააღმდეგებოდა საწარმოო რესურსების, მათ შორის, მიწის ფონდების სრულყოფილად გამოყენებას. მეურნეობის დარგობრივი პრინციპით ხელმძღვანელობის პირობებში ყურადღება ძირითადად ეთმობოდა სპეციალიზებულ დარგებს. მეურნეობისათვის არა სპეციალიზებული დარგების მართვა კი დაქსაქსული იყო სხვადასხვა უწყებების ხელში, რის გამოც ხდებოდა მართვის ერთი და იგივე ფუნქციის დუბლირება, ადმინისტრაციული სამმართველო აპარატის გაბერვა და მისი შესანახი ხარჯების გაუმართლებელი გადიდება. სოფლის მეურნეობის ორგანოების უწყებრივ დაქსაქსულობას სხვა უარყოფითი შედეგებიც მოსდევდა.

საუწყებო დაქვემდებარების საწარმოები, როგორც წესი, დაინტერესებული იყვნენ საკუთარი სამეურნეო წარმატებებით და ნაკლებად აწუხებდათ პარტნიორების ბედი. მაგალითად, რაიონული რგოლის ფარგლებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებთან ურთიერთობაში ზოგჯერ გარკვეული უპირატესობით სარგებლობდნენ გადამმუშავებელი საწარმოები და სავაჭრო ორგანიზაციები. ისინი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის ინტერესების საზიანოდ პარტნიორებს კარნახობდნენ თუ სად, როდის და რამდენი პროდუქტი უნდა ყოფილიყო შეზღუდული, ერთპიროვნულად განსაზღვრავდნენ პროდუქციის ხარისხს, მიღების წესს და სხვ.

ამის გამო ზოგჯერ სოფლის მეურნეობის ცალკეული დამხმარე საწარმოები და ორგანიზაციები უფრო მეტ შემოსავალს იღებდნენ, ვიდრე კოლმეურ-

[3] Г. Д. Мгеладзе. Агропромышленный комплекс: прогрессивные формы и методы управления. кн.: «Актуальные вопросы партийного руководства». Тб., 1981 г., стр. 358.

ნეობები და საბჭოთა მეურნეობები, სხვა ფაქტორებთან ერთად ამანაც გამოიწვია ის, რომ დღეისათვის რესპუბლიკაში არსებული 1500 სასოფლო-სამეურნეო საწარმოდან 500-ზე მეტი ზარალიანი და მცირერენტაბელურია"[4].

მართვის ძველ პირობებში სრულად არ იყო გამოყენებული აგრეთვე ადგილობრივი რესურსები, საზოგადოებრივი და დამხმარე მეურნეობათა კოოპერირების შესაძლებლობები. უწყებრივი დაქსაქსულობის გამო რაიონში ვერ იცავდნენ საწარმოო რესურსების მომჭირნეობის უმკაცრეს რეჟიმს. ასეთ დროს ბუნებრივია დიდი იყო უყაირათობით მიყენებული მორალური და მატერიალური ზიანი, რაც ართულებდა სოფლად ნეგატიური მოვლენების, კუთხურობისა და კერძო მესაკუთრული ტენდენციების წინააღმდეგ ბრძოლას.

ამ ფაქტორებმა განსაზღვრა აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების, შემდგომ კი აგრარულ-სამრეწველო სავაჭრო გაერთიანების შექმნა. ამ ორგანოთა მართვის ორგანიზაციული ფორმების სრულყოფის საკითხებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმზე, რომელიც 1978 წელს გაიმართა.

პლენუმმა განიხილა სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე სასოფლო-სამეურნეო წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის შემდგომი განვითარების საკითხები. მაშინვე განისაზღვრა დარგობრივი მართვის საშუალო რგოლის განვითარების ტენდენციები. საკავშირო ორგანოების მითითების თანახმად რესპუბლიკამ კურსი აიღო სოფლის მეურნეობის მაპროფილებელი დარგების მიხედვით საშუალო რგოლის გაერთიანების შექმნაზე. იმ წლებში ჩამოყალიბდა რესპუბლიკაში საშუალო რგოლის ისეთი დარგობრივი გაერთიანებები, როგორიცაა „საქფრინმრეწვი", „საქცხოველმრეწვი", „საქეთერზეთმრეწვი", „საქკოლმშენის", „საქთესლმრეწვი", „საქსათბური" და ა. შ.

პლენუმზე აღინიშნა ის ნაკლოვანებებიც, რომლებიც ახასიათებდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს ჩაის, მევენახეობისა და მებაღეობის საბჭოთა მეურნეობის ტრესტების საქმიანობას. ტრესტი, რომელმაც გარკვეულ ეტაპზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, განვითარების იმდროინდელ ეტაპზე, მოძველდა, შემოიზღუდა საუწყებო ხელმძღვანელობის ორგანოს ფუნქციებით და ვერ შესძლო გაეთვალისწინებინა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა საქმიანობის ყველა ეკონომიკური და სოციალური ასპექტი. ვიწრო სპეციალიზაციამ გააუარესა სამეურნეო საფინანსო საქმიანობა, გაართულა სამეურნეო კავშირები და დააქვეითა არასპეციალიზებული დარგების მოსავლიანობა. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში ხშირად ირღვეოდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის დარგობრივი და ტერიტორიული პრინციპი, ერთმანეთთან არ იყო შეხამებული აგრეთვე ხელმძღვანელობის ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდები.

რაიონული რგოლის (სოფლის მეურნეობის სამმართველოების) ორგანიზაციული სტრუქტურის არასრულყოფილებისა და ფუნქციების შეზღუდვის პირობებში მდგომარეობა უაღრესად ნელა სწორდებოდა. სუსტი კოორდინაციის გამო ვერ ხერხდებოდა რაიონში განლაგებული კოლმეურნეობებ[illegible] და

---

[4] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1982 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მატერიალური, ფინანსური და შრომითი რესურსების მიზანდასახულად და ეფექტიანად გამოყენება. სოფლის მეურნეობის სამმართველოს ცოტა ჰქონდა სახსრები. მას არსებითად არ ექვემდებარებოდა საბჭოთა მეურნეობები. თავიანთი „ავტონომია" ჰქონდათ აგრეთვე „საქსახსოფლტექნიკის" მუშაკებს, მელიორატორებს, მშენებლებსა და სხვა. მუშაობის ასეთ პირობებში ხშირად ადამიანები წვრილმანი სამეურნეო საკითხების გადაწყვეტის დროსაც კი იძულებულნი იყვნენ მიემართათ ხელმძღვანელი პარტიული ორგანოებისათვის[5].

იმის გამო, რომ სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები არსებითად ვეღარ ასრულებდნენ დაკისრებულ ფუნქციებს, აუცილებელი გახდა მათი რაიონულ საწარმოო გაერთიანებად გარდაქმნა. საწარმოო გაერთიანება გადაყვანილ იქნა სამეურნეო ანგარიშზე და რაიონში შეიქმნა სოფლის მეურნეობის მართვის ერთიანი ორგანო.

„ერინციპულად ახალმა, კომპლექსურმა, მიდგომამ სოფლის მეურნეობის მართვის პრობლემათა გადაწყვეტაში საშუალება მოგვცა არ მარტო ვაგვეზარდა სოფლის მეურნეობის პროდუქციის რაოდენობა, არამედ დაგვეძლია პროდუქციის წარმოების, დამზადებისა და გადამუშავების საუწყებათაშორისო გათიშულობა, გაგვეუმჯობესებინა კოორდინაცია. როგორც აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი, ისე სხვა სამეურნეო რგოლების საქმიანობაში.

„ცხოვრებამ ცხადყო, — თქვა ე. შევარდნაძემ საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე, — რომ სოფლის მეურნეობის მართვის საორგანიზაციო ფორმების სრულყოფის ხაზი, რომელსაც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ახორციელებს, სწორია.

სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევუხამოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სხვადასხვა დარგის ინტერესები, ხელს უწყობს ახალი ინიციატივების წარმოშობას, რომლებსაც, მე ვიტყოდი, საერთო-სახელმწიფო, საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს"[6].

მთავარი აქ ის არის, რომ აბაშის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებამ, ამბობს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ჯ. პატიაშვილი, — ერთმანეთს შეუხამა მართვის ადმინისტრაციული და ეკონომიკური მეთოდები დაგეგმვის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების და კაპიტალური დაბანდების სფეროში. აქ საბოლოოდ საწარმოო შედეგების მიხედვით ახდენენ მუშაკთა მატერიალურ სტიმულირებას, სრულყოფენ მართვის სტრუქტურას. გაერთიანებამ, რომელიც ეფექტიანად მართავს თავის საწარმოო-ორგანიზაციებს, ხელი შეუწყო უწყებრივი ბარიერების დაძლევას, სამეურნეობათაშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე წარმოების სპეციალიზაციისა და კონცენტრაციის გაღრმავებას, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და შრომითი რესურსების უფრო რაციონალურ გამოყენებას, მიწათმოქმედების კულტურის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებას"[7].

---

[5] იხ. გაზ. „Правда", 1982 წლის 20 იანვარი.

[6] ე. ა. შევარდნაძე, საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიში საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობას. თბილისი, 1981, გვ. 36.

[7] იხ. გაზ. „კომუნისტი", 1982 წლის 16 იანვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბაშელთა შემდეგ მუშაობა დაიწყო მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებამ, რომლის დებულებაზე დაყრდნობითაც დღეისათვის რესპუბლიკის ყველა რაიონში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებები.

სამეურნეო პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ხელმძღვანელი აპარატის აკურატული, მოქნილი და სწორი მუშაობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო-სამართლებრივი ადმინისტრაციული, სამოქალაქო, შრომის, საფინანსო და სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობის ნორმების განუხრელად დაცვას. ეს ნორმები, რომლებიც სათავეს იღებენ საბჭოთა კონსტიტუციიდან, თავისი შინაარსით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვინაიდან სხვადასხვა სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროს აწესრიგებენ. საწარმოო გაერთიანებები კი ამ ურთიერთობებს ემყარებიან.

საწარმოო გაერთიანებები თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობდნენ სსრ კავშირის კონსტიტუციით და საქართველოს სსრ კონსტიტუციით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ სხვა კანონებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დადგენილებებითა და სხვა აქტებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებით და დადგენილებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, რაიონული (საქალაქო) სახალხო დეპუტატთა საბჭოების და მათი აღმასრულებელი კომიტეტების სათანადო გადაწყვეტილებებით, რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სხვა შესაბამისი უწყებების ბრძანებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე თავისი დებულებით.

საკანონმდებლო აქტების სიმრავლე იმით არის გამოწვეული, რომ გაერთიანებაში შემავალი საწარმოები და ორგანიზაციები თავისი ორგანიზაციული წყობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. თავისებურია მათი კონკრეტული საქმიანობის მიზნები და ხასიათი. სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების შექმნამ, უპირველეს ყოვლისა, დღის წესრიგში დააყენა ძირეული განახლება სასოფლო-სამეურნეო კანონმდებლობისა, რომელიც ერთნაირად სავალდებულოა სასოფლო-სამეურნეო მმართველობის ყველა ორგანოს სამართლებრივი სტატუსის დადგენისათვის. მდგომარეობას ართულებს ისიც, რომ დღეისათვის ჯერ კიდევ არა გვაქვს სათანადო წესით დამტკიცებული დებულება სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესახებ. ანალოგიური დებულება არა აქვთ მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროებსაც ასეთ სიტუაციაში ერთიანი ნორმატიული აქტით სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების ყველა თავისებურების გათვალისწინება ძნელია. ბევრ კითხვას ალბათ პასუხს გასცემს საწარმოო გაერთიანებების პრაქტიკა.

ძირითადი აქტი, რომელიც ადგენს სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების სამართლებრივ სტატუსს, არის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1979 წლის 7 დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული დებულება — სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შესახებ. იგი დაედო საფუძვლად მახარაძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულებას, რომელიც შემდეგ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებული იქნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 8 იანვრის დადგენილებით.

უახლესი აქტებიდან, რომლებიც საწარმოო გაერთიანების საქმიანობას შეეხება, დავასახელებთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1981 წლის 22 დეკემბრის № 893 დადგენილებას საქართველოს სსრ სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და მთლიანად აგროსამრეწველო კომპლექსის მართვის შემდგომი სრულყოფის შესახებ". დადგენილებით მახარაძის რაიონის სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანების დებულება რეკომენდებულია როგორც დროებითი სანიმუშო აქტი. იგი საფუძვლად დაედო რესპუბლიკის ყველა საწარმოო გაერთიანების საქმიანობას, რომელთა შექმნა დამთავრდა 1982 წლის 1 მარტისათვის.

როგორც აბაშის, მახარაძის და ზოგიერთი სხვა რაიონების პრაქტიკა ცხადყოფს, სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გადამწყვეტი — რაიონულ რგოლში ჩამოყალიბდა კარგად მოგვარებული მექანიზმი, რომლის მეშვეობითაც უკეთ შეგვიძლია ვმართოთ სოფლის მეურნეობა და რეალური გავლენა მოვახდინოთ საქმის მდგომარეობაზე. ეს არის რესპუბლიკის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მეცნიერების დაუღალავი შემოქმედებითი ძიების თვალსაჩინო დაგვირგვინება, რასაც მხურვალედ უჭერს მხარს სოფლის ყველა მშრომელი.

სოფლის მეურნეობის საწარმოო გაერთიანებების შექმნით რესპუბლიკის სამეურნეო ცხოვრებაში დაიწყო ახალი გადამწყვეტი ეტაპი მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესასრულებლად. ეჭვი არ არის, რომ რესპუბლიკის მშრომელებს ამ პასუხსაგები ამოცანების შესრულებაში მხარში ამოუდგებიან ადმინისტრაციული ორგანოების მუშაკები, რომლებიც აქტიურად დაეხმარებიან სოფლის მეურნეობის მართვის ახალ ორგანოებს მათ წინაშე დასახული პასუხსაგები ამოცანების განხორციელებაში.

სოფლის მეურნეობის მართვის ახალი ფორმა, რომელიც საშუალებას გვაძლევს ერთმანეთს შევუხამოთ აგროსამრეწველო კომპლექსში შემავალი სხვადასხვა დარგის ინტერესები, ხელს უწყობს ახალი ინიციატივების წარმოშობას, რომლებსაც, მე ვიტყოდი, საერთო სახელმწიფო, საერთო-სახალხო მნიშვნელობა აქვს.

ე. შევარდნაძე

მოსაწესრიგებელი საკითხები

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო დღენიადაგ ზრუნავენ საბჭოთა ადამიანების მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის.

ხორციელდება ღონისძიებანი, რომელთა წყალობითაც სისტემატურად უმჯობესდება ცხოვრების პირობები. წინა ხუთწლედში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში დასაქმებულ მცირე და საშუალობელფასიან მუშაკებს მოემატათ სარგოები.

პარტიის დირექტივების შესასრულებლად სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 1979 წლის დეკემბრიდან სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოების მთავარ სპეციალისტებს მოუმატა ხელფასები. რატომღაც ეს არ გავრცელდა სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოსთან არსებულ სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსზე, მას კი ფაქტობრივად მთავარი სპეციალისტის თანამდებობა უკავია, ვინაიდან ჯგუფში შედის უფროსი იურისკონსულტი და ამ ჯგუფის უფროსის მუშაობას აწესრიგებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოლეგიის მიერ დამტკიცებული დებულება.

სახალხო მეურნეობის ყველა დარგში იურისკონსულტს ეკონომისტისა და ინჟინრის თანაბარი ხელფასი უნდა ეძლეოდეს[1].

რა მდგომარეობა იყო ხელფასების მომატებამდე, მაგალითად, ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში? მთავარ სპეციალისტებს — ეკონომისტს, ბუღალტერს, ინჟინერს ეძლეოდათ თვეში 150 მანეთი, ხოლო იურიდიული ჯგუფის უფროსს — 165 მანეთი. ხელფასის მომატების შემდეგ მათი ხელფასია 185 მანეთი, ხოლო იურიდიული ჯგუფის უფროსს ხელფასი არ მომატებია. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების სამმართველომ სათანადოდ ვერ დაამუშავა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის 1977 წლის 13 იანვრის № 9 ბრძანების მე-8 მუხლი, რის გამოც საქართველოში სოფლის მეურნეობის სამმართველოს სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსს ეძლევა ოცი მანეთით ნაკლები ხელფასი. ამ ბრძანების № 4 დანართში, მართალია, მთავარი იურისკონსულტისა და იურისკონსულტის თანამდებობა მოხსენიებული არ არის, მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ ეს ნუსხა არ არის ამომწურავი. იმავე ბრძანების მე-8 მუხლში ნათქვამია, რომ სამინისტროს შესაბამისმა სამსახურმა „...განსაზღვროს თანამდებობრივი მოვალეობანი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები ხელმძღვანელი მუშაკების, სპეციალისტებისა და ტექნიკური აღმსრულებლებისა მოსამსახურეთა საკვალიფიკაციო ცნობარების შესაბამისად და დაადგინოს ამ მუშაკებისათვის კონკრეტული განაკვეთები მათი კვალიფიკაციის და შრომის ხარისხის გათვალისწინებით მინიმალური და მაქსიმალური განაკვეთების ფარგლებში, რაც გათვალისწინებულია ამ დადგენილებით შესაბამის თანამდებობებზე“. როგორც ვხედავთ, ამ მუხლით აუცილებელი იყო დაედგინათ პირთა წრე, რომელიც არ არის შეტანილი № 4 დანართში. ამ პირთა წრეში უნდა შეეყვანათ სამმართველოებთან არსებული იურიდი-

[1] «Экономическая газета», № 9, 1974 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული ჯგუფის უფროსებიც და მათი ხელფასი განსაზღვრულიყო მთავარი სპეციალისტების თანაბრად, ჯგუფების მიხედვით — 180-190 მანეთი, 160-170 მანეთი.

ასეთივე მდგომარეობაა მახარაძის რაიონშიც, სადაც სოფლის მეურნეობის სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1980 წლის 22 აპრილის დადგენილებით გარდაქმნილია საწარმოო გაერთიანებად. ამის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა სამმართველოს ფუნქციები და 30-40 პროცენტით გაიზარდა მათი მთავარი სპეციალისტების ხელფასები. იურიდიული ჯგუფის უფროსს კი აქაც არ მოემატა ხელფასი. სოფლის მეურნეობაში საწარმოო გაერთიანების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის დეკემბრის № 1009 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-18 მუხლში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ასეთ გაერთიანებაში ჩამოყალიბებული უნდა იყოს იურიდიული განყოფილება. ამის გამო მახარაძის საწარმოო გაერთიანებაში, მაგალითად, მთავარ ეკონომისტს 250 მანეთი აქვს (დამსახურების დანამატის გამოკლებით) ხოლო იურიდიული ჯგუფის უფროსს, ისევე როგორც სხვა რაიონებში, — 165 მანეთი. საკითხის ასეთი გადაჭრა არ შეესაბამება სოფლის მეურნეობის საკავშირო სამინისტროს № 9 ბრძანებას. იურიდიული ჯგუფის უფროსი სხვა მთავარ სპეციალისტებზე ნაკლებ სამუშაოს არ ასრულებს და სარგებლობაც დიდი მოაქვს.

გადახედვას საჭიროებს იურიდიული ჯგუფების იურისკონსულტების პრემირების წესიც. შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის 1979 წლის 2 ივლისის № 2131 წერილით, იურისკონსულტებს შეიძლება მიეცეს პრემია სამმართველოს სხვა სპეციალისტებზე 20 პროცენტით ნაკლები. საინტერესოა რა უძევს ამას საფუძვლად?

ახლა გავარკვიოთ, რა სამუშაო აკისრიათ მთავარ იურისკონსულტს და იურიდიული ჯგუფის უფროსს. მთავარი იურისკონსულტის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, სამწუხაროდ, არ არის დადგენილი მოსამსახურეთა ერთიანი ნომენკლატურით, რომელიც დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის სახელმწიფო კომიტეტის 1967 წლის 9 სექტემბრის № 443 დადგენილებით. არც მისი 1973 წლის 5 ნოემბრის № 289 დადგენილებით დამტკიცებულ დამატებებში არის მონაცემები მთავარი იურისკონსულტის შესახებ. მასში საუბარია მხოლოდ იურისკონსულტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებზე[2].

ცნობილია, რომ 1981 წლის 1 მარტისათვის საქართველოში დამთავრდა აგრარულ-სამრეწველო გაერთიანებების შექმნა. ისინი უკვე შეუდგნენ მუშაობას და ახორციელებენ ორგანიზაციულ და სხვა ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის გაუმჯობესება. მოსაწესრიგებელია ბევრი პრობლემა, რომლებსაც, ჩვენი აზრით, განეკუთვნება ამ წერილში ჩვენს მიერ წამოჭრილი საკითხიც.

ტ. ლემონჯავა,
სამეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი

---

[2] См. «Справочник по оплате труда в совхозах», Москва, «Колос», 1976 г. стр. 331

ყურადღება – გამოცდილება!

უპირველესი საზრუნავი

I რესპუბლიკის პროკურატურამ, ამას წინათ, მოიწონა თელავის რაიონის პროკურატურის მუშაობა სახელმწიფოსათვის მიყენებული მატერიალური ზარალის ანაზღაურების საქმეში.

თელაველთა გამოცდილების დანერგვა რესპუბლიკის საქალაქო და რაიონული პროკურატურის ორგანოების საქმიანობაში ხელს შეუწყობს ამ ხაზით საპროკურორო ზედამხედველობის გაძლიერებას.

თელავის რაიონის პროკურატურა გეგმაზომიერ და მიზანდასახულ მუშაობას ეწევა სსრ კავშირის გენერალური პროკურორის იმ ბრძანების შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებს საწარმოებისა და დაწესებულებებისათვის მიყენებული ზარალის მთლიანად ანაზღაურებას.

შარშან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 41-ე მუხლის შესაბამისად, რაიონის პროკურატურამ სასამართლოში წარადგინა 76 სარჩელი, რომელთა საერთო თანხაა 36.476 მანეთი. მათ შორის საწელმწიფო ორგანიზაციებისათვის გაფლანგვა-დატაცებით მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად შეტანილია ერთი სარჩელი, რომელიც ფულადი გამოხატულებით შეადგენს 1.230 მანეთს; წამატებებისა და ანგარიშგებაში სხვა დამახინჯებით მიყენებული ზარალის დასაფარავად ათი თანამდებობის პირის მიმართ 2.250 მანეთის შვიდი სარჩელი; უხარისხო პროდუქციის გამოშვებისათვის მიყენებული ზარალის ნაწილობრივი ანაზღაურების გამო 1.590 მანეთის ათი სარჩელი; რკინიგზის ვაგონების მოცდენისათვის გადახდილი ჯარიმის ასანაზღაურებლად 327 მანეთის ორი სარჩელი; ბუნების დაცვის შესახებ კანონმდებლობის დარღვევისათვის 1.830 მანეთის ორი სარჩელი; პირუტყვის გაწყდომით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად 15.341 მანეთის ხუთი სარჩელი 30 პირის მიმართ; სახელმწიფო ორგანიზაციების ინტერესების დასაცავად 11.380 მანეთის სხვა სახის 41 სასარჩელო მოთხოვნა; დანაშაულებრივი გზით მოქალაქეთა მკურნალობისათვის გაწეული ხარჯების ასანაზღაურებლად 2.528 მანეთის რვა სარჩელი.

საერთო ზედამხედველობის ხაზით შემოწმდა ფშავლის კოლმეურნეობის მეღორეობის ფერმაში ღორის გაწყდომის მდგომარეობა. აქ იყო დიდი ოდენობის, განსაკუთრებით მოზარდეულის გაწყდომის შემთხვევები. გამოვლინდა, რომ ეს გამოწვეული იყო ფერმაში შექმნილი არახელსაყრელი პირობებით, კერძოდ, სადგომების უსუფთაობით, ღორების მოუვლელობით, მათთვის საკვების არადროულად და არარაციონალურად მიცემის და დაავადებათა წი-

ნაალმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების გაუტარებლობის გამო. დაავადებულ პირუტყვს არადროულად და არასათანადოდ მკურნალობდნენ. პირუტყვის მოვლა-პატრონობისათვის პასუხისმგებელ პირთა საქმიანობას არ აკონტროლებდა კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა. ამ დანაშაულებრივი, დაუდევარი მოქმედების გამო მიყენებულმა ზარალმა შეადგინა 7.051 მანეთი. სოლიდარული წესით ზარალის ანაზღაურებისათვის სარჩელი წარვადგინეთ სასამართლოში კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, უფროსი ზოოვეტ-სპეციალისტებისა და მეღორეობის ფერმის მუშაკთა მიმართ. სულ მატერიალური ზარალის ანაზღაურება დაეკისრა ოც კაცს.

უხარისხო და არასტანდარტული საქონლის გამოშვებისათვის შრომის კანონთა კოდექსის 120-ე მუხლის მეორე პუნქტის საფუძველზე სარჩელები აღვძარით თელავის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის, წინდის საქსოვის ფაბრიკის, სამკერვალო ფაბრიკის დირექტორების და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მიმართ.

პროდუქციის მიუწოდებლობისათვის გადახდილი ჯარიმების ნაწილობრივი ანაზღაურება ჩვენი სარჩელების საფუძველზე დაეკისრათ ღვინის საწარმოო გაერთიანების გენერალურ დირექტორს, სარაიონთაშორისო გაერთიანების „საქსოფლქიმიის“ დირექტორს და სხვა ხელმძღვანელ მუშაკებს.

ელექტროენერგიის მომჭირნედ ხარჯვის საქმეში კანონიერების დარღვევების გამო აღძრული გვაქვს 35 სარჩელი, რომლებიც განვიხილეთ სოფლებში გამსვლელ სესიაზე. ყველა სარჩელი დაკმაყოფილებულია.

შარშან სახალხო სასამართლომ სულ განიხილა ჩვენს მიერ წარდგენილი 59 სარჩელი. გარდა ორი შემთხვევისა, ყველა სარჩელი დაკმაყოფილდა. ყველა საქმე განხილულია პროკურორის მონაწილეობით. დანარჩენი საქმეები განხილულია წელს. მაგრამ ამ საქმეში გვაქვს ნაკლოვანებებიც, რომლებიც ძირითადად იმით გამოიხატება, რომ დროულად არ ხდება სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებისათვის მიქცევა. არის ცალკეული საქმეები, რომლებზეც ამოწერილი აღმასრულებელი ფურცლები აღმასრულებლებს უმოქმედოდ ჰქონდათ გაჩერებული მთელი თვის განმავლობაში. ამ ხარვეზების გამოსწორების მიზნით ჩვენ შევისწავლეთ პროკურატურის სარჩელით წარდგენილ საქმეებზე სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების კანონიერება. შედეგები განხილულ იქნა საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე. სათანადო წარდგინება გაეგზავნა სასამართლოს, რომელსაც მოვთხოვეთ სააღმსრულებლო წარმოების გაუმჯობესება. წარდგინება განხილულ იქნა სასამართლოს მუშაკთა ოპერატიულ თათბირზე ჩვენი მონაწილეობით. სასამართლოს აღმასრულებლები მკაცრად იქნენ გაფრთხილებული, რათა გააუმჯობესონ ამ დარგში თავიანთი საქმიანობა.

გადაწყვეტილი გვაქვს მიმდინარე კვარტალში ერთხელ კიდევ დავუბრუნდეთ ამ საკითხის შესწავლას. ყველაფერს ვიღონებთ ამ ხაზით საპროკურორო ზედამხედველობის გაუმჯობესებისათვის.

ტ. მეტრეველი,

თელავის რაიონის პროკურორი, იუსტიციაის ჭრჩეველი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოქალაქეთა მიღების და საჩივრების განხილვის მაღალი კულტურისათვის

საქართველოს სსრ პროკურატურის კოლეგიამ განიხილა მოქალაქეთა მიღების, საჩივრების, განცხადებების, წინადადებების განხილვა-გადაწყვეტის საქმეში გეგეჭკორის რაიონის პროკურატურის მუშაობა და ადგილობრივად შეაფასა მისი გამოცდილება.

პროკურატურაში შეიმჩნევა საჩივრების შემცირების ტენდენცია. საჩივრები, ძირითადად, განხილული და გადაწყვეტილია სწორად, კანონით დაწესებულ ვადებში, მომჩივნებს დროულად ეგზავნებათ პასუხი.

რედაქცია მკითხველს სთავაზობს გეგეჭკორის რაიონის პროკურორის ი. ჩიქოვანის სტატიას ამ საკითხზე.

სსრ კავშირის კონსტიტუციის 58-ე მუხლის მიხედვით, ჩვენი ქვეყნის მოქალაქეებს უფლება აქვთ გაასაჩივრონ ყველა თანამდებობის პირის, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანოს მოქმედება. საჩივრები განხილულ უნდა იქნეს კანონით დადგენილი წესით და განსაზღვრულ ვადებში.

თანამდებობის პირის მოქმედება, რომელიც არღვევს კანონს, ამეტებს უფლებამოსილებას, ლახავს მოქალაქეთა უფლებას, შეიძლება კანონით დადგენილი წესით გასაჩივრდეს სასამართლოში.

მშრომელი კაცის მიღება და მშვიდად მოსმენა, მისი განცხადების დროულად განხილვა და კანონიერად გადაწყვეტა ამაღლებს ხელისუფლების ავტორიტეტს, ხელს უწყობს ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ ბრძოლას, მასებთან კავშირის განმტკიცებას.

საჭიროა მთხოვნელს დინჯად, გულმოდგინედ მოვუსმინოთ, დავაწყნაროთ, მივცეთ საშუალება აუჩქარებლად გვიამბოს თუ რა აწუხებს, რა არის მისი გულისტკივილის მიზეზი, საწარმოში, დაწესებულებაში შექმნილი ცუდი ვითარება თუ რაიმე წმინდა პირადი საკითხი. და უკლებლივ ყველა ვითარებაში აუცილებელია ღრმად ჩავწვდეთ თხოვნის არსს, გულთან მივიტანოთ ნაამბობი და იქვე დაუფარავად ვუთხრათ მას, არსებობს თუ არა დასმული საკითხის სწრაფად, მცირე ხანში გადაწყვეტის საშუალება. თუკი არის თხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი, მაშინ ოპერატიულად უნდა განვახორციელოთ ღონისძიებანი მის გადასაწყვეტად. ეს არის არა მარტო ხელმძღვანელის ღირსებისა და ავტორიტეტის საქმე, არამედ იმ დაწესებულების კულტურის დონის მაჩვენებელიც, რომელსაც მთხოვნელმა მიმართა.

დაწესებულების სახელი და ღირსება თავისით როდი მოდის, მის კეთილ სახელს ადამიანები, თანამდებობის პირები ქმნიან და მას კოლექტივი თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდეს.

გეგეჭკორის რაიონის პროკურატურა მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა მოქალაქეთა მიღების, მათი განცხადებების და საჩივრების, აგრეთვე წინადადე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბების განხილვის დარგში სსრ კავშირის გენერალური პროკურორის ბრძანებისა და სახელმძღვანელო მითითებათა შესასრულებლად.

1981 წელს განცხადებები და საჩივრები, ძირითადად, განხილული და გადაწყვეტილია სწორად, კანონით დაწესებულ ვადებში. მომჩივნებს დაეგზავნათ ვრცელი, დასაბუთებული პასუხი.

პროკურატურას პრაქტიკაში აქვს შემოღებული საჩივრების ადგილზე შემოწმება, რომლის შედეგები განიხილება შრომითი კოლექტივის კრებებზე. ამგვარად გადავწყვიტეთ მოქალაქეების ნ. კუპრეიშვილის, ფ. ბჟალავას, გ. კანკიას და სხვების საჩივრები ხელფასის და მეზობლური დავის თაობაზე.

მოქალაქეთა მიღება წარმოებს როგორც პროკურატურაში, ასევე საწარმოებში, კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, ამასთან ამ ღონისძიებას ვიყენებთ მოსახლეობაში საბჭოთა კანონების პროპაგანდისათვის. მიღების დამთავრების შემდეგ განვუმარტავთ მათ შრომის, საპენსიო, საოჯახო სამართლისა და სხვა საკითხებს.

საათანადო წესრიგია დამყარებული საჩივრების საქმის წარმოებაში. დროულად ივსება საჩივრების სტატისტიკური ბარათები. ოპერატიულ თათბირზე განვიხილავთ ამ დარგში გაწეულ მუშაობას, ვისმენთ პროკურორის თანაშემწის, პროკურატურის გამომძიებლის, კანცელარიის გამგის ინფორმაციებს, ვსახავთ ღონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

რაიონის პროკურატურა ამოწმებს, თუ როგორ ასრულებენ ორგანიზაციები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1968 წლის 12 აპრილის ბრძანებულებას „მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესის შესახებ". ეს ნორმატიული აქტი აწესრიგებს, თუ როგორ უნდა მოხდეს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების რეგისტრაცია, პასუხის გაცემა, განსაზღვრავს განცხადებებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემის ვადებს, ითვალისწინებს მკაცრ პასუხისმგებლობას თანამდებობის იმ პირთა მიმართ, რომლებიც გულგრილობას იჩენენ და ბიუროკრატიულად უდგებიან მშრომელთა სიგნალების განხილვას.

ასეთი შემოწმებები მოეწყო რაიონის სამრეწველო კომბინატში, საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოში, გეგეჭკორის სამომხმარებლო საზოგადოებაში, კომუნალურ საწარმოთა კომბინატში, სხვა საწარმოებსა და დაწესებულებებში.

შემოწმებამ გვიჩვენა, რომ ბევრგან ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ფორმალურ-ბიუროკრატიული დამოკიდებულება მოქალაქეთა მიღებასა და საჩივრების განხილვაში.

მოქალაქეთა განცხადებას ზოგან ისე ჩამოიწერენ ხოლმე, რომ საქმე ბოლომდე არ არის მიყვანილი. საჩივრების ავტორები გულისტკივილით გამოთქვამენ საყვედურს თანამდებობის პირთა უყურადღებობის, დაპირების შეუსრულებლობის გამო, ეს კი იწვევს ზედმეტ მიმოწერას, აჭიანურებს საქმეს, ამას თანამიმდევრულად და ეფექტიანად უნდა ვებრძოლოთ. თანამდებობის რვა პირის მიმართ აღიძრა დისციპლინური დევნა. გამოვლენილი დარღვევების გამო შეტანილია რამდენიმე წარდგინება, რომლებიც უკვე განიხილეს და შედეგები აცნობეს პროკურატურას.

განხორციელებული ღონისძიებების შედეგად 1981 წელს წინა წელთან შედარებით პროკურატურაში შემოსული საჩივრების რიცხვი შემცირდა 3

პროცენტით, შესაბამისად 11.6 პროცენტით შემცირდა ადგილზე გადაწყვეტილი საჩივრების რაოდენობა, ხოლო 1 პროცენტით — განმეორებით შემოსული საჩივრების რიცხვი.

ამ წარმატებათა მიღწევაში დიდი დახმარება გაგვიწია საქართველოს კომპარტიის გეგეჭკორის რაიკომთან არსებულმა ნეგატიური მოვლენებისა და სახელმწიფო დისციპლინის დარღვევა-დამახინჯებათა წინააღმდეგ ბრძოლის საკოორდინაციო კომისიამ (კომისიის თავმჯდომარე — რაიკომის პირველი მდივანი ი. მოწერელია). სხვა საკითხებთან ერთად კომისია ორშაბათობით ისმენს ხოლმე ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელ მუშაკთა ინფორმაციებს მთხოვნელთა მიღების, მოქალაქეთა წინადადებების, საჩივრებისა და განცხადებების განხილვა-გადაწყვეტის მდგომარეობის შესახებ. საჭიროების მიხედვით სხდომას ესწრებიან იმ სასოფლო საბჭოს ხელმძღვანელები, სადაც შეიმჩნევა ოჯახური და მეზობლური დავა, აგრეთვე საჩივრების ზრდის ტენდენცია. ამ ღონისძიებებს დადებითი შედეგიც მოჰყვა. საგრძნობლად შემცირდა საჩივრების რიცხვი დიდიჭყონის, გაჭედილის, ლეხაინდრაოს და სხვა სასოფლო საბჭოებიდან, ამაღლდა ადმინისტრაციული ორგანოების ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა.

მთხოვნელთა მიღების, მოქალაქეთა საჩივრების, განცხადებების და წინადადებების განხილვა-გადაწყვეტაში გვაქვს ნაკლოვანებებიც. ზოგიერთი საჩივარი გადაწყვეტილია ვადის დარღვევით, უფრო კვალიფიციურად უნდა მოხდეს შემოსული განცხადებებისა და საჩივრების გაანალიზება, ამ დარგში გაწეული მუშაობის განზოგადება.

მოქალაქეებს უნდა განვუმარტოთ, რომ მათ მოქმედი კანონმდებლობით ეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ განცხადება ან საჩივარი შეტანილია ცილისწამების მიზნით. ეს თავიდან აგვაცილებს უსაფუძვლო საჩივრების წერას.

გეგეჭკორის რაიონის პროკურატურა ყოველ ღონეს იხმარს, რათა ამ საქმეში სანიმუშო წესრიგი დაამყაროს.

ი. ჩიქოვანი,
გეგეჭკორის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი.

საჩივრების თავიდან აცილების საუკეთესო საშუალებაა ზუსტი პასუხი ან მყისვე შესრულება.

ვ. ი. ლენინი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისევ სასამართლო განაჩენებში დაშვებული უხეში შეცდომების შესახებ

მსჯავრდადებულთა პირადი საქმეების მასალების შესწავლა გვიჩვენებს, რომ სასამართლო ორგანოები განაჩენების გამოტანისას ძალიან ხშირად უშვებენ შეცდომებს, რომელთა შეუსწორებლად შეუძლებელია განაჩენებისა და სასამართლო დადგენილებათა აღსრულება.

შეცდომები ძირითადად დაშვებულია შრომა-გასწორების დაწესებულების სახეობის (რეჟიმის) განსაზღვრაში და სახალხო მეურნეობის ობიექტებიდან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, შრომა-გასწორების დაწებულებებში შემობრუნებულ პირთათვის დარჩენილი სასჯელის ოდენობის დადგენაში. განაჩენებში დაუზუსტებელია აგრეთვე მსჯავრდადებულთა დემოგრაფიული მონაცემები (სახელი, გვარი, დაბადების წელი), რაც ხელს უშლის შრომა-გასწორების დაწესებულებათა ნორმალურ საქმიანობას.

მაგალითად, სოხუმისა და ფოთის საქალაქო სასამართლოებმა (მოსამართლენი შესაბამისად ა. ავიძბა და გ. ვეკუა) 1980 წლის 13 ნოემბრის და 1981 წლის 24 ივლისის განაჩენებით მსჯავრდადებულებს დ. ახბასა და ე. ბუდუროვს სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით, აგრეთვე 236-ე მუხლით მიუსაჯეს თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული სახის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით, მაშინ როდესაც სისხლის სამართლის კოდექსის 25[1] მუხლით, მათ სასჯელის მოხდის ადგილად უნდა განსაზღვროდათ საერთო სახის შრომა-გასწორების დაწესებულება.

ცაგერის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე გ. ჭაბუკიანი) 1980 წლის 20 მაისს ვ. კოპალიანს სისხლის სამართლის კოდექსის 91- მუხლის მეორე ნაწილით სასჯელის მოხდის ადგილად განუსაზღვრა ნაცვლად საერთო სახისა, გაძლიერებული სახის შრომა-გასწორების დაწესებულება.

ხობის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე გ. ვეკუა) 1980 წლის 2 ოქტომბრის განაჩენით, მსჯავრდადებულ დ. წულაიას, რომელიც განსაკუთრებით საშიშ რეციდივისტად იქნა ცნობილი, თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილად განუსაზღვრა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულება, ნაცვლად განსაკუთრებულისა.

ქ. თბილისის პირველი მაისის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე თ. ბურდულაძე) 1980 წლის 18 აპრილის განაჩენით მსჯავრდადებულ ვ. ჭუმბურიძეს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებაში მოხდით, მაშინ როდესაც იგი წინათ სამართალში არ ყოფილა მიცემული და სასჯელის მოხდის ადგილად საერთო რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულება უნდა განსაზღვროდა.

გაძლიერებული სახის შრომა-გასწორების დაწესებულებაში ბევრია მსჯავრდადებული, რომელიც წინათ სასჯელს იხდიდა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. მათი უმრავლესობა უარყოფითს გავლენას ახდენს პირველად გასამართლებულ პირთა აღზრდა-გამოსწორებაზე. მკაცრი რეჟიმის შრომა-გასწორების დაწესებულებებში კი, რომლებიც განკუთვნილია მხოლოდ ორჯერ და მეტად ნასამართლევ პირთათვის, იმყოფებოდა 200-ზე მეტი პირი, რომელიც წინათ სამართალში არ ყოფილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რესპუბლიკის თითქმის არც ერთი სასამართლო არ იცავს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 325-ე მუხლის მოთხოვნებს, მსჯავრდადებულების შესახებ განაჩენის პირების სამი დღის ვადაში ვადაგზავნის შესახებ. ხშირად საგამოძიებო იზოლატორებში განაჩენები მოდის ორი-სამი თვის დაგვიანებით, ამით ირღვევა გაასამართლებულ მსჯავრდადებულთა საგამოძიებო იზოლატორიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში გაყვანისათვის დადგენილი 10-დღიანი ვადა.

მაგალითად, ქარელის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დ. მამესწარაშვილი) 1980 წლის 17 იანვარს გაასამართლა ი. გაზაშვილი, რომლის მიმართ განაჩენის პირი საგამოძიებო იზოლატორში გამოიგზავნა 1980 წლის 4 მარტს, ანუ 47 დღის დაგვიანებით, ამასთან განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის თარიღის დაუზუსტებლად, ხოლო მსჯავრდადებულ ვ. გუბელაძისა და დ. ყიფშიძის მიმართ განაჩენები გამოიგზავნა სამი თვის დაგვიანებით (გასამართლებულ იქნენ 1981 წლის 20 ივლისს, განაჩენი გაიგზავნა 1981 წლის 15 ოქტომბერს).

დმანისის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დ. ციხელაშვილი) 1981 წლის 10 ნოემბრამდე არ გამოგზავნა განაჩენის პირი მსჯავრდადებულ ვ. დაუშვილის მიმართ, რომელიც გასამართლებული იყო 1981 წლის 10 სექტემბერს.

კვლავინდებურად ბევრ შეცდომას უშვებენ სააამართლოები, სახალხო მეურნეობის ობიექტებიდან შრომის დისციპლინის დარღვევის გამო შრომა-გასწორების დაწესებულებაში შემობრუნებულ პირებისათვის დარჩენილი სასჯელის ოდენობის განსზღვრაში და სასჯელის დაწყებია დანიშვნაში.

მაგალითად, სისხლის სამართლის კოდექსის 54² მუხლის შესაბამისად, პირობით სახალხო მეურნეობის ობიექტებზე ვადით 1 წლით, 1 თვითა და 22 დღით 1980 წლის 17 სექტემბერს შრომა-გასწორების დაწეაებულებიდან გაიგზავნა ნ. აივაზოვი. მუშაობდა რა სახალხო მეურნეობის ობიექტზე, იგი სისტემატიურად არღვევდა შრომის დისციპლინას. ამის გამო მარნეულის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე ნ. მუსტაფაევი) 1981 წლის 15 ოქტომბრის განჩინებით შემოსახლებულ იქნა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. სასამართლომ, შემოსახლების ვადის განსაზღვრის დროს დაუშვა შეცდომა: ნ. აივაზოვს მოსახდელად განუსაზღვრა 1 წელი, 1 თვე და 28 დღე, მაშინ როდესაც მის მიერ მოსახდელი სასჯელის ოდენობა შეადგენდა 1 წელსა და 22 დღეს.

ასეთივე შეცდომა იქნა დაშვებული მსჯავრდადებულ ქ. ზავალიევის მიმართ, რომელიც შრომა-გასწორების დაწესებულებიდან იყო განთავისუფლებული პირობით სახალხო მეურნეობის ობიექტზე გაგზავნით. შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ნ. ნამორაძე) 1981 წლის 11 აპრილის განჩინებით იგი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შემოასახლა 3 თვითა და 7 დღით, ნაცვლად 5 თვისა და 2 დღისა.

ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ჟ. გურგენიძე) 1980 წლის 8 აგვისტოს მოქალაქე ი. სტანისლავჩუკს ორი წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რასაც საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 41-42 მუხლების თანახმად დაუმატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი 9

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოვე და 22 დღე, მაშინ როდესაც წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი შეადგენდა 8 თვესა და 22 დღეს.

ქ. თბილისის გლდანის რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დ. მატკავა) 1980 წლის 9 დეკემბერს კ. ირემაშვილს 5 წლის თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რასაც სისხლის სამართლის კოდექსის 41-42 მუხლების თანახმად დაუმატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი 1 წელი და 4 თვე, მაშინ როდესაც კ. ირემაშვილის მიმართ გავრცელდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1979 წლის 19 ოქტომბრის ბრძანებულება და მას მოსახდელი დარჩა 1 წელი და 12 დღე.

ქ. ბათუმის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ნ. ჩამბა) 1981 წლის 10 აგვისტოს განაჩენით მსჯავრდადებულ მ. ცეცხლაძეს წინასწარ პატიმრობაში ჩაუთვალა 7 თვე და 15 დღე, ნაცვლად 6 თვისა და 15 დღისა.

ქ. ცხინვალის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ზ. ლოლიევი) 1981 წლის 27 მარტის განჩინებით მსჯავრდადებული გ. დუნიაევი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის სახალხო მშენებლობის ობიექტებიდან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში ნაცვლად 2 წლის, 1 თვისა და 10 დღისა, შემოასახლა 1 წლით, 9 თვით და 29 დღით (განსხვავება შეადგენს 3 თვეს და 11 დღეს მსჯავრადებულის სასარგებლოდ). იმავე ქალაქის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე დ. ხუდაევი) 1980 წლის 11 დეკემბრის განჩინებით მსჯავრდადებული გ. ხიბალოვი შრომის დისციპლინის დარღვევისათვის თავისუფლების აღკვეთის ადგილებში შემოასახლა 2 წლით, 2 თვითა და 17 დღით, მაშინ როდესაც გ. ხიბალოვის მიმართ განაჩენით განსაზღვრული სასჯელის ოდენობა შეადგენდა 2 წელს, 1 თვესა და 25 დღეს.

წყალტუბოს რაიონის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ე. ირემაძე) 1977 წლის 31 იანვრის განაჩენით მსჯავრდადებულ ნუცუბიძეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 150-ე მუხლის მეორე ნაწილით მიუსაჯა 3 წლის და 10 თვის თავისუფლების აღკვეთა, რასაც დაუმატა წინა განაჩენით მოუხდელი სასჯელი 1 წელი, 4 თვე და 16 დღე, მაშინ როდესაც გ. ნუცუბიძეს წინა განაჩენით მოუხდელი ჰქონდა 1 წელი, 2 თვე და 15 დღე.

ბევრჯერ სასამართლოების განაჩენებში მითითებული არ არის სასჯელის დაწყების თვე და რიცხვი ან დიდი განსხვავებაა მსჯავრდადებულთა დაპატიმრებისა და განაჩენით განსაზღვრული სასჯელის დაწყების თარიღებს შორის.

მაგალითად, ქ. ბათუმის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე რ. თენეიშვილი) 1989 წლის 9 დეკემბერს ა. ქურდაძის მიმართ გამოტანილ განაჩენში არ არის მითითებული თარიღი, საიდანაც უნდა გამოითვალოს სასჯელის დაწყება.

ქ. თბილისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე ი. აბაკელია) 1980 წლის 2 ოქტომბერს გამოტანილ განაჩენში არ არის მითითებული თარიღი საიდანაც უნდა დაეწყო სასჯელის გამოთვლა მსჯავრდადებულ ი. ბერუაშვილს.

ქ. სოხუმის სახალხო სასამართლოს (მოსამართლე რ. არაქელიანი) 1981 წლის 13 ივლისის განაჩენში მსჯავრდადებულ კ. ფადეევის მიმართ სასჯელის დაწყების თარიღად მითითებულია 1981 წლის 23 მაისი, მაშინ როდესაც კ. ფადეევი დანაშაულის ჩადენის გამო დაპატიმრებულ იქნა 1981 წლის 13 ივლისს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა ეს შეცდომა გასწორებულია კანონით დადგენილი წესით.

შრომა-გასწორების დაწესებულებათა თანამშრომლები ცდილობენ თავის დროზე აღმოაჩინონ განაჩენებსა და განჩინებებში სასამართლოების მიერ დაშვებული ეს შეცდომები, რომლებიც კანონიერების უხეშ დარღვევას წარმოადგენენ. ისინი საკითხების დასაზუსტებლად სისტემატურად გზავნიან შეკითხვებსა და წერილებს სასამართლო ორგანოებში. სამწუხაროდ, ყველა სასამართლო დროულად არ იძლევა პასუხს, ან უპასუხოდ სტოვებს ჩვენს მიმართვებს.

იშვიათი როდია შემთხვევა, როდესაც მოსამართლე ვერ განასხვავებს ერთმანეთისაგან პირობით განთავისუფლებისა (საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54² მუხლი) და პირობით — ვადამდე (54 მუხლი) განთავისუფლების ინსტიტუტებს.

მაგალითად, ქ. რუსთავის სახალხო სასამართლომ (მოსამართლე ო. კორინთელი) 1981 წლის 21 ივლისის განჩინებით უარი უთხრა მსჯავრდადებულებს ვ. იჩუკაიძეს, დ. რთველიაშვილს, ნ. ნარჩემაშვილს და სხვებს ვადამდე — პირობით განთავისუფლებაზე საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის 54-ე მუხლის თანახმად, მაშინ როდესაც ეს მსჯავრდადებულები შრომა-გასწორების დაწესებულებისა და ქალაქის საბჭოს აღმასკომთან არსებული სამეთვალყურეო კომისიის მიერ წარდგენილნი იყვნენ, რათა სისხლის სამართლის კოდექსის 54² მუხლით მათზე გავრცელებულიყო პირობითი განთავისუფლება შრომაში სავალდებულო ჩაბმით.

ძალიან ბევრი შეცდომაა მსჯავრდადებულთა დემოგრაფიულ ცნობებში. დამახინჯებულია სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, საცხოვრებელი ადგილი, ოჯახური მდგომარეობა, მონაცემები კმაყოფაზე მყოფთა შესახებ და სხვა, რომლებიც აუცილებელია არ ამარტო განაჩენების ზუსტად აღსრულებისათვის, არამედ მსჯავრდადებულთა მიმართ მრავალი სხვა საკითხის სწორად გადაწყვეტისათვის (შელავათების გამოყენება, უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმში შეწყალების მასალების გაფორმება, ამნისტიის თაობაზე ბრძანებულებათა გავრცელება და სხვა).

ჯ. მიქელაძე,

შინაგანი სამსახურის მაიორი

რედაქციისაგან: ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე პირველად არ იბეჭდება ამ სახის წერილი. სამწუხაროა, რომ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში დაშვებულია კანონის დარღვევა. ასეთი უხეში შეცდომები არ სწორდება საქმეების სააპელაციო წესით განხილვის დროს. ეტყობა, მოისუსტებს საპროკურორო ზედამხედველობაც. შინაგან საქმეთა ორგანოების შესაბამის სამსახურს, და შრომა-გასწორების დაწესებულებათა ადმინისტრაციას ისედაც დიდი ჯაფა ადგათ მსჯავრდებულთა ხელახალი აღზრდისა და გამოსწორების საქმეში. ამიტომ ისინი ზედმეტად არ უნდა დავტვირთოთ მათთვის უჩვეულო ფუნქციებით.

რედაქცია იმედოვნებს, რომ ამის თაობაზე იმსჯელებენ საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროც და რესპუბლიკის პროკურატურაც, რათა ასეთი ფაქტები აღარ განმეორდეს.

ერთი გაჭიანურებული სამოქალაქო საქმის გამო

სამოქალაქო დავა თავისი შინაარსით მეტად მრავალფეროვანია. მის დროულ და სწორ გადაწყვეტას დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან იგი აწესრიგებს მოქალაქეთა პოლიტიკურ, შრომითსა თუ სხვა პირად და ქონებრივ უფლებებს, — იცავს სახელმწიფოსა და მოქალაქის კანონიერ ინტერესებს. ამიტომ სადავო არ არის, რომ სასამართლოების სოციალურ-სამართლებრივ ღირებულებას ისიც განსაზღვრავს, არის თუ არა დაცული საქმის განხილვის პროცესუალური ვადები, რაც ეშირად კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილების უპირველესი პირობაა.

რედაქციაში მიღებულმა ერთმა წერილმა თბილისის კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოში მიგვიყვანა, სადაც ექვს თვეზე მეტია უსაფუძვლოდ ჭიანურდება ერთი უბრალო სამოქალაქო დავის გადაწყვეტა.

1981 წლის 12 ოქტომბერს კალინინის რაიონის სახალხო სასამართლომ მიიღო ქ. თბილისში მიხაილ ზიჩის ქ. № 1-ში მცხოვრებ ი. შ. მირიანაშვილის სასარჩელო განცხადება. იგი განსახილველად მოსამართლე ს. დადიანს დაეწერა.

საქმეში არც თუ ბევრი რამ იყო რთული გადასაწყვეტი. ი. შ. მირიანაშვილი უჩიოდა მეზობელს — ს. ი. კოჟიაშვილს, რომელთანაც აქვს საერთო სარგებლობის დერეფანი, სარეცხის გასაფენი ადგილი და ტუალეტი. მეზობლებს შორის ატეხილი გაუთავებელი დავა იმითაც არის გამოწვეული, რომ ს. კოჟიაშვილი თვითნებურად ისაკუთრებს საერთო სარგებლობის დერეფანს და ცდილობს ტიხარით გამოყოს იგი. ი. მირიანაშვილი მოითხოვს თავისი კანონიერი უფლებების დაცვას და დერეფნის საერთო სარგებლობაში დატოვებას.

პირველი სასამართლო სხდომა ამ საქმის გამო 1981 წლის 22 ოქტომბერს გაიმართა, მაგრამ იგი წარმოებით შეჩერდა, რადგან არ იყო ცნობილი, თუ ვის სახელზე ირიცხებოდა სადავო დერეფანი. ამის დადგენას თითქმის ერთი თვე დასჭირდა და იმავე წლის 20 ნოემბერს მეორედ გაიმართა სასამართლო. ამჯერად მოპასუხე ს. კოჟიაშვილმა სასამართლოს წინაშე ასეთი განცხადება გააკეთა: ჩვენი სადავო საკითხი კალინინის რაიონის აღმასკომში მაქვს გასაჩივრებული და იქიდან ჯერ პასუხი არ მიმიღიაო. ამ მოტივით სასამართლომ კვლავ შეაჩერა საქმე და სათანადო მიმართვაც გაუგზავნა რაიონულ აღმასკომს.

თბილისის კალინინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა 1981 წლის 2 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება № 2449 და სასამართლოს გადაუგზავნა. ამ გადაწყვეტილებას აღმასკომმა დაურთო აღმასკომთან არსებული საყოფაცხოვრებო კონფლიქტების ნიადაგზე წარმოშობილი სამართალდარღვევების თავიდან აცილების რაიონული კომისიის 1981 წლის 24 მარტის სხდომის ოქმის ამონაწერი და ამავე რაიონის 65-ე საბინაო და კომუნალური მომსახურების საექსპლუატაციო კანტორასთან არსებული ამხანაგური სასამართლოს 1979 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების ასლი.

ამ მასალებით დადგენილია, რომ მირიანაშვილისა და კოჟიაშვილის საერთო სარგებლობის დერეფანი უნდა განთავისუფლდეს ყოველგვარი ნივთებისაგან და დარჩეს მხოლოდ საერთო გასასვლელი.

მაგრამ რადგან ამხანაგური სასამართლოს ამ გადაწყვეტილების აღსრულება ვერ მოხერხდა, საქმე არსებითად განსახილველად გადაეცა კალინინის რაიონის სახალხო სასამართლოს.

ეს საქმე კვლავ უმოქმედოდ იდო 1982 წლის 12 თებერვლამდე. 12 თებერვალს კი, როდესაც სხდომა გაიმართა, მოპასუხე ს. კოჟიაშვილმა მოითხოვა ი. მირიანაშვილის ერთი ოთახისა და აბაზანის დანგრევა, რომელიც, მისი განცხადებით, უნებართვოდ იყო აშენებული.

ს. კოჟიაშვილის ამ განცხადებას მოსამართლე ს. დადიანმა შემხვედრი სარჩელი უწოდა და საქმე კვლავ შეაჩერა. ამავე დროს მან წერილი გაუგზავნა კალინინის რაიონის კეთილმოწყობის განყოფილებას, რომლითაც მოითხოვა სადავო ოთახისა და აბაზანის მიშენების კანონიერების გარკვევა.

მას შემდეგ უკვე ორ თვეზე მეტი გავიდა, საქმე კი დღესაც განუხილველია.

აქ გვინდა გავარკვიოთ ერთი საკითხი: შეიძლება თუ არა ჩათვალოს შემხვედრ სარჩელად მოპასუხე ს. კოჟიაშვილის ზემოთ დასახელებული განცხადება?

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის მეცამეტე თავი მთლიანად ეთმობა შეგებებულ სარჩელს (რომელსაც მოსამართლე ს. დადიანი შემხვედრ სარჩელს უწოდებს). კანონმდებელი ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავს შეგებებულ სარჩელს ამ კოდექსის 139-ე მუხლში:

1. თუ შეგებებული მოთხოვნა მიმართულია პირველადი მოთხოვნის ჩასათვლელად;

2. თუ შეგებებული სარჩელის დაკმაყოფილება მთლიანად ან ნაწილობრივ გამორიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას;

3. თუ შეგებებულ სარჩელსა და პირვანდელ სარჩელს შორის არის ურთიერთკავშირი და მათი ერთად განხილვის შედეგად აღძრული დავა უფრო სწრაფად და სწორად გადაწყდება.

კონკრეტული საქმის მიხედვით კი ს. კოჟიაშვილის განცხადება ვერ ჩაითვლება შეგებებულ სარჩელად, რადგან მას არავითარი კავშირი არა აქვს გადასაწყვეტ საკითხთან. დავა, რომელიც სასამართლოს მსჯელობის საგნად იქცა, წარმოიშვა მეზობლებს შორის საერთო სარგებლობის დერეფნის გამოყენებასთან დაკავშირებით, ხოლო ეჭვქვეშ დაყენებულ ოთახს და აბაზანას ამ დერეფანთან არავითარი კავშირი არა აქვს. რა თქმა უნდა, სასამართლოს შეეძლო მიეღო და გადაეწყვიტა კიდეც მოპასუხის მიერ წამოყენებული მოთხოვნა. მაგრამ პირველი და ძირითადი საკითხი, რომელიც საერთო სარგებლობის დერეფანს უკავშირდება, სრულიად ცალკე მსჯელობის საგანია და საქმე ამ მოტივით აღარ უნდა შეჩერებულიყო.

ამ მარტივი საკითხების გამო კი ეს სამოქალაქო დავა ექვს თვეზე მეტია გრძელდება და კიდევ არავინ იცის, როდის მოეღება ბოლო საქმის უთავბოლო გაჭიანურებას.

ა. არსენაშვილი.

P.S. ბოლოს და ბოლოს, 1982 წლის 19 აპრილს, სასამართლომ განიხილა ეს გაჭიანურებული საქმე, მას შემდეგ როდესაც ჟურნალი უკვე მზად იყო დასაბეჭდად. აქ არაფერს ვამბობთ გადაწყვეტილების კანონიერებაზე, ეს ზემდგომი სასამართლოს კომპეტენციას შეადგენს. მაგრამ არ შეიძლება გვერდი ავუაროთ აშკარა უკანონობის ფაქტს. სასამართლო სხდომის დამთავრების შემდეგ გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა (დაირღვა საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 210-ე მუხლი). უფრო მეტიც, მხარეებს არც უთხრეს, თუ რა დაადგინა სასამართლომ, რადგან გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილიც არ გამოქვეყნებულა (ამჯერად საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლი დაირღვა).

კანონის ასე აბუჩად აგდება არავის ეპატიება.

მოსამართლე ს. დადიანმა რედაქციის წარმომადგენელს 28 აპრილსაც ვერ უჩვენა ეს გადაწყვეტილება (მოიმიზეზა, იგი მემანქანეს აქვს გადასაბეჭდათო) და შეგვპირდა, რომ მას მეორე დღეს, 1982 წლის 29 აპრილს წარმოადგენდა. მაგრამ ეს პირობაც არ შეასრულა.

როგორც იტყვიან, კომენტარები ზედმეტია.

ადმინისტრაციულმა ორგანოებმა სერიოზულად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა. ზოგჯერ წლობით გრძელდება გამოძიება, ჭიანურდება სასამართლო გარჩევა, საქმე გადადის ერთი სასამართლოდან მეორეში, რაიონიდან რაიონში, ინსტანციიდან ინსტანციაში, გადაწყვეტილება კი არ ჩანს.

რესპუბლიკის პარტიული აქტივის კრების მასალებიდან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების რესპუბლიკური დათვალიერების შესახებ

მიღებულ დადგენილებაში ნათქვამია, რომ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების რესპუბლიკურმა დათვალიერებამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მათი საქმიანობის შემდგომ გააქტიურებასა და სრულყოფას, სამართალდარღვევებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის ეფექტურად ჩაბმას, შინაგან საქმეთა და სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, აგრეთვე მოსახლეობასთან მათი ურთიერთმოქმედების გაძლიერებას.

დათვალიერებას უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტები, სახალხო დეპუტატების საბჭოები. მასალები შუქდებოდა ადგილობრივი პრესის ფურცლებზე, შედეგები კი განხილულ იქნა საბჭოების აღმასკომების სხდომებზე.

რესპუბლიკაში სულ არის წესრიგის დაცვის 490 საზოგადოებრივი პუნქტი, რომელთა საბჭოები კოორდინაციას უწევენ შრომითი კოლექტივების პროფილაქტიკის საბჭოების, სახალხო რაზმეულებისა და ამხანაგური სასამართლოების საქმიანობას.

კარგად მუშაობენ ქ. თბილისის საქარხნო რაიონის ვარკეთილის მიკრორაიონის № 99, კალინინის რაიონის № 61, № 62, № 68, ორჯონიკიძის რაიონის № 75, № 80, № 84, პირველი მაისის რაიონის № 29, № 31, ქ. ქუთაისის № 5 საბინაო-საექსპლოატაციო კანტორების, ქ. სოხუმის № 5 მიკრორაიონის ტერიტორიაზე შექმნილი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები. მათ სამოქმედო უბნებში მკვეთრად შეამცირდა ანაზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, ქურდობის, საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ჩადენილი დანაშაულის, რიცხვი.

ამასთან ერთად, დადგენილებაში მითითებულია წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებები.

ასეთი პუნქტები შექმნილი არ იყო ამბროლაურის, მესტიის, ყაზბეგის რაიონებში, ხოლო ხობისა და ცხინვალის რაიონებში ისინი დათვალერების დროს შეიქმნა.

ზოგიერთ ქალაქსა და რაიონში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების შემადგენლობა არ არის დაკომპლექტებული დებულების მოთხოვნათა შესაბამისად. ნაკლოვანებებია წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების ორგანიზაციულ მუშაობაშიც. ხშირად მათი მუშაობა არ იგეგმება, სხდომები რეგულარულად არ იმართება.

ფორმალიზმია საბჭოების უმრავლესობის ინდივიდუალურ აღზრდელობითსა და საშეფო მუშაობაში. საბჭოს წევრები აქტიურად არ მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის განსამტკიცებლად და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულებაში. საბჭოებმა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყვეს საზოგადოებრივ პუნქტებში შემავალი მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოებისა და შრომითი კოლექტივების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციების თანამდებობის პირთა მუდმივი ურთიერთკონტაქტი, მათი ღონისძიებათა გაერთანება საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და სამართალდარღვევათა პროფილაქტიკისათვის. საბჭოები სრულად ვერ იყენებენ შუამდგომლობის აღძვრის უფლებას იმ მოქალაქეთა წასახალისებლად, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში.

გასაუმჯობესებელია საბჭოს წევრების სამართლებრივი სწავლება. წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტები უზრუნველყოფილი არ არიან მატერიალურ-ტექნიკურად. მათ უმრავლესობას ჯერ კიდევ არა აქვს შესაფერისი სადგომი, ავეჯი, ინვენტარი და თვალსაჩინოებანი. ქ. თბილისის კალინინის, აგრეთვე გურჯაანისა და გეგეჭკორის რაიონებში რამდენიმე პუნქტი საერთოდ არ არის უზრუნველყოფილი ოთახებით.

სახალხო დეპუტატთა საბჭოების ზოგიერთი აღმასკომი ნაკლებად არის დაინტერესებული პუნქტების საქმიანობით, იშვიათად ისმენს მუდმივი კომისიებისა და აღმასკომის სხდომებზე მათს ანგარიშებს გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციებს წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოებისათვის გაწეული დახმარების თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა განხილულ საკითხზე მიიღო დადგენილება. საქართველოს სსრ სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ:

სკკპ XXVI ყრილობის, საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად შეიმუშაონ და განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დათვალიერების დროს გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად; უზრუნველყონ ამ პუნქტების შექმნა კანონის მოთხოვნათა მიხედვით; მიაღწიონ მათი მუშაობის დაგეგმვასა და ეფექტიანობის ამაღლებას; განაზოგადონ სამართალდარღვევების წინააღმდეგ ბრძოლაში პუნქტების მონაწილეობის დადებითი გამოცდილება, დამნაშავეობის თავიდან აცილების ღონისძიებათა შემუშავებისას უფრო ფართოდ გამოიყენონ მათი შესაძლებლობანი;

განიხილონ საბჭოების მუდმივი კომისიებისა და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების ანგარიშები გაწეული მუშაობის შესახებ, აგრეთვე საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელთა ინფორმაციები ამ პუნქტების საბჭოების საქმიანობაში მონაწილეობის საკითხებზე;

გააძლიერონ წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების ინდივიდუალური აღმზრდელობითი და საშეფო მუშაობა სამართალდამრღვევებთან და საერთოდ აღრიცხვაზე მყოფ კონტინგენტთან: უზრუნველყონ ამ კონტინგენტის საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში ჩაბმა და მათი შრომითი საქმიანობისადმი კონტროლი;

დანერგონ პუნქტების მუშაობის პრაქტიკაში საბჭოს წევრთა ინფორმაციების მოსმენა საბჭოს მიერ დასახულ ღონისძიებათა შესრულების თაობაზე.

გააერთიანონ პუნქტებში შემავალი მოსახლეობის საზოგადოებრივი თვითმოქმედების ორგანოების და შრომითი კოლექტივების, აგრეთვე სახელმწიფო ორგანიზაციების ღონისძიებანი სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში;

შეიმუშაონ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და სამართალდარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურ მონაწილე პირთა მატერიალური და მორალური წახალისების ფორმები;

მიიღონ საჭირო ზომები წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებისათვის.

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს წინადადება მიეცა:

მოამარაგოს წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოები საინფორმაციო-მეთოდიკური მასალებით და შესაბამისი ნორმატიული აქტებით, აგრეთვე საჭირო ინფორმაციით მათ ტერიტორიაზე ოპერატიული ვითარების შესახებ;

აქტიურად ჩააბას მილიციის უბნის ინსპექტორები წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების საქმიანობაში.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საბჭოების წევრთა სამართლებრივი სწავლება, ხოლო საქართველოს სსრ პროკურატურამ საპროკურორო ზედამხედველობის გაწევა წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების საქმიანობისადმი.

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, რეს-პუბლიკურ და ადგილობრივ პრესას დაევალა მეტი ყურადღება დაუთმონ სოციალისტური კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცების საქმეში წესრიგის დაცვის საზოგადოებრივი პუნქტების დადებითი გამოცდილების პროპაგანდას.

საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს კოლეგიაზე

ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოში სპეკულაციის საქმეთა განხილვისას დაშვებული სერიოზული დარღვევის შესახებ

კოლეგიის დადგენილებაში ნათქვამია, რომ ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოში (სახალხო მოსამართლეები ო. მუღალაშვილი, ლ. მაისაშვილი) სპეკულაციის საქმეთა განხილვის პრაქტიკა არ შეესაბამება რაიონში ამ დანაშაულთან ბრძოლის ამოცანებს, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 2 აგვისტოს დადგენილების მოთხოვნებს.

სასამართლოს უკანასკნელი ორი წლის მანძილზე არ შეუსწავლია და არ განუზოგადებია სპეკულაციის მიზეზები, რაიონის ხელმძღვანელ პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში არ წარუდგენია სათანადო ინფორმაციები.

სერიოზული ხარვეზები და ნაკლოვანებებია სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. შექმნილ ვითარებას არ უპასუხებს დასჯითი პრაქტიკა. საქართველოს სსრ სსკ 165-კ მუხლის I ნაწილით 1980-1981 წ. წ. თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მსჯავრდადებულთა მხოლოდ 11,1 პროცენტს.

არ ხორციელდება ღონისძიებები ამ დანაშაულის მიზეზებისა და პირობების გამოვლენისა და თავიდან აცილებისათვის. სასამართლო არ იღებს ზომებს დამნაშავე პირთა მიერ საქონლის შეძენის წყაროს დასადგენად. 1980-1981 წ. წ. გამსვლელ სესიაზე არ განუხილავთ სპეკულაციის ერთი საქმე. კერძო განჩინება გამოტანილია ერთი საქმის გამო, საზოგადოებრივი ბრალმდებელი მონაწილეობდა მხოლოდ ერთ საქმეზე. სპეკულაციასთან ბრძოლაში გამოყენებული არ არის მსაჯულთა საბჭო.

ორი წლის მანძილზე განხილული 23 საქმიდან საგასაცილო წესით გასაჩივრდა და გაპროტესტდა განაჩენი მხოლოდ ერთი პირის მიმართ.

არის ბრალდების მცდარი გადაკვალიფიცირებისა და ამ საფუძველზე ლმობიერი განაჩენების ღადგენის ფაქტები. ბრალდების კვალიფიკაციის შეცვლა ყოველთვის არ გამომდინარეობს ობიექტური გარემოებიდან, ხოლო გამოყენებული სასჯელი არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმესა და ბრალდებულის პიროვნებას.

მაგალითად, დ. დოლიაშვილმა, რომელიც სამართალში იყო მიცემული საქართველოს სსრ სსკ 165 მუხლის II ნაწილით, ქ. მოსკოვში სპეკულაციის მიზნით შეიძინა დიდი ოდენობის სხვადასხვა დასახელების 750 მანეთისა და 30 კაპიკის სამრეწველო საქონელი. მან 12 მანეთად სამუშაოები, სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით. დ. დოლიაშვილმა თავი დამნაშვედ ცნო. სამსჯავრო გამოძიების პროცესში კი ნაწილობრივ შეცვალა ჩვენება და დაასახელა სამი მოწმე, რომლებმაც უჩვენეს, რომ დ. დოლიაშვილს მოსკოვში გაატანეს ფული და სთხოვეს ჩამოეტანა სხვადასხვა დასახელების სამრეწველო სქონელი. სასამართლომ (მოსამართლე ლ. მაისაშვილი) უარიტიკოდ გაიზიარა მათი ჩვენებები, ნაწილი საქონლისა დაუბრუნა დ. დოლიაშვილს და სასპეკულაციო საქონლის ღირებულება შეუმცირა 499 მანეთამდე. ამის საფუძველზე ბრალდება საქართველოს სსრ 165ე- მუხლის II ნაწილიდან გადააკვალიფიცირა I ნაწილზე და დ. დოლიაშვილს შეუფარად ერთი წლის გამასწორებელი სამუშაოები, სამუშაო ადგილზე მოხდით ხელფასიდან 15 პროცენტის დაკავებით. დ. დოლიაშვილი დღესაც მუშაობს ხაშურის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატში.

სპეკულაციის ჩოვიერთი საქმე ისეა განხილული, რომ აქცენტი გადატანილია მხოლოდ ბრალდების დამადასტურებელ მასალებზე, ხოლო დანაშაულის ყველა მონაწილის მხილება უყურადღებოდ არის დატოვებული. კრიტიკულად არ მოწმდება მოკვლევისა და გამოძიების მასალები. გამოვლენილ ხარვეზებზე სასამართლო სუსტად რეაგირებს.

შეუსაბამო განაჩენები ღადგინდა მ. ასკეროვის (მოსამართლე ო. მუღალაშვილი), უ. გაპაროვის და ი. კეჟნაევის მიმართ (მოსამართლე ლ. მაისაშვილი), რომლებიც სამართალში მიცემული იყვნენ საქართველოს სსრ სსკ17-165-ე მუხლის I ნაწილით. მ. ასკეროვმა ქ. სოჭში შეიძინა 192 მანეთად ღირებული 550 კოლოფი სიგარეტი სპეკულაციისა და მოგების მიზნით. სასამართლომ საქართველოს სსრ სსკ 46-ე მუხლის საფუძველზე მას ორი წლის პირობითი სასჯელი შეუფარდა.

უ. გაპაროვმა სპეკულაციის მიზნით თბილისში შეისყიდა შალის ქსოვილის საწოლის 12 გადასაფარებელი, რომლის ღირებულება შეადგენდა 430 მანეთს, ი. კეჟნაევმა — 14 ცალი 490 მანეთად ღირებული საბნის შალითა. სასამართლომ თითოეულ მათგანს შეუფარდა 6-ბ თვით გამასწორებელი მუშაობა, სამუშაო ადგილზე მოხდით, ხელფასიდან 10 პროცენტის დაქვითვით.

სასამართლო განაჩენის დადგენისას ყოველთვის არ ითვალისწინებს სამართალში მიცემულის პიროვნებას და სასპეკულაციო საქონლის მნიშვნელობას რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ობიექტებისათვის ,ამის გამო უმართებულოდ იყენებს საქართველოს სსრ სსკ 251 მუხლს. მაგალითად. ნ. მოსიძემ ქ. გორში შეიძინა დეფიციტური საშენი მასალა (110 ცალი მოთუთიებული თუნუქი), თითო ცალი 3 მანეთად და 74 კაპიკად. რაც იმავე დღეს მიჰყიდა ხაშურის რაიონის სოფ. ქინძაათში მცხოვრებ გ. ნოზაძეს 1156 მანეთად, ე. ი. მიიღო მოგება 1114 მანეთი. სასამართლომ ნ. მოსიძეს შეუფარდა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა, რაც საქართველოს სსრ სსკ 251 მუხლის საუუქველზე შეუცვალა იმავე ვადით პირობით, შრომაში საკალდებულო ჩაბმით.

ხოლო გ. კარაის (სამართალში მიცემული საქართველოს სსრ სსკ 17-165 მუხლის II ნაწილით), რომელმაც სასპეკულაციოდ შეიძინა ტრიკოტაჟის ნაწარმი, რომელთა გადაყიდვის შედეგად შეიძლება გ. კარაის ღარჩენოდა დაახლოებით 200 მანეთი, სასამართლომ შეუფარდა 3 წლის თავისუფლების აღკვეთა (მოსამართლე ლ. მაისაშვილი).

ასევე ი. გაგულაშვილის საქართველოს სსრ სსკ 165-ე მუხლის II ნაწილი), რ. ხიმშიაშვილის (საქართველოს სსრ სსკ 17, 165 მუხლის I ნაწილი) და ვ. მუქერიშვილის (საქართველოს სსრ სსკ 17-165-ე მუხლის I ნაწილი) მიმართ შეფარდებული სასჯელის ღონისძიებათა განსაზღვრისას გათვალისწინებული არ არის ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე და დამნაშაკის პროვნება.

სპეკულაციის საქმეთა განხილვისათვის მოუმზადებლობის გამო იშვიათი არ არის სასამართლო სხდომების ჩაშლისა და გადადების შემთხვევები. იოდვევა საქართველოს სსრ სსკ 237-ე მუხლის მოთხოვნა სამართალში მიცემულისათვის საბრალდებო დასკვნის ასლის ჩაბარების წესის შესახებ. ჟ. მჭედლიძის საქმის განხილვა მაგალითად ხუთჯერ გადაიდო.

სრული წესრიგი არ არის დაცულ-ული საქმეთა განხილვის შემდეგ კონფისკაციაქმნილი საქონლის ან საგნების ფინგანისათვის დროულად ჩაბარების საქმეში. ამის გამო საქონელი განიცდის არსებით სახეცვლილებას.

დამ. მაყოფილებელი არ არის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელთა საქმიანობა სპეკულაციის საქმეებზე კონფისკაციის აღსრულების დარგში. მაგალითად, ნ. მოსიძის პირადი ქონება კონფისკაციაქმნილი იქნა. მასვე დაეკისრა 1146 მანეთის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასაგებლოდ. სასამართლოს აღმასრულებელი გ. მანაშვილი დაუდევრად და უპასუხისმგებლოდ მოეკიდა დავალების შესრულებას, არ შეადგინა ქონების უქონლობის აქტი და არც ყადაღა დაადო ნ. ჭოსიძის პირად ქონებას. ნ. ლომიძეს განაჩენით შეეფარდა ხუთი წლის თავისუფლების აღკვეთა პირადი ქონების კონფისკაციით. აღმასრულებელ გ. მანაშვილს საქმე შესასრულებლად გადაეცა 2 თვისა და 5 დღის შემდეგ, ხოლო კონფისკაციაქმნილი სახლის ნახევრისა და ნივთების რეალიზაციისათვის რაიფინგანს მასალები შესასრულებლად გადაეგზავნა ექვსი თვის შემდეგ.

სასამართლოში სპეკულაციის საქმეთა განხილვას არ ეწევა სათანადო საპროკურორო ზედამხედველობა, რაც ხელს უშლის ამ დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობას.

კოლეგიამ დაავალა ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს მოსამართლეებს უზრუნველყონ ამ კატეგორიის საქმეთა განხილვის მკვეთრად გაუმჯობესება.

სპეკულაციის საქმეებზე საღსრულებო წარმოებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისათვის ხაშურის რაიონის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელ გ. მანაშვილს მიეკიცა.

სპეკულაციის საქმეთა განხილვისას დაშვებული სერიოზული დარღვევებისათვის ხაშურის რაიონის სახალხო მოსამართლეებს ო. მუღალაშვილსა და ლ. მაისაშვილს მკაცრი გაფრთხილება მიეცათ.

დაღგენილება ცნობად გადაეგზავნა საქართველოს კომპარტიის ხაშურის რაიონულ კომიტეტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ტვირთის მიმღები პასუხს აგებს სპეციკონტეინერის დროზე დაუბრუნებ-

ლობისათვის, თუ მას მიღებული აქვს სერტიფიკატი კონტეინერის დაბრუნების შესახებ.

სუმგაითის მინის ქარხანამ მოძრავ-მექანიზებულ კოლონას სპეციკონტეინერებით მიაწოდა ფანჯრის მინა. კონტეინერების დაბრუნების თაობაზე გამოწერილი იყო სერტიფიკატი № 3598.

სპეციკონტეინერების დროზე დაუბრუნებლობის გამო ქარხანამ მოითხოვა მოძრავ-მექანიზებულ კოლონას ჯარიმის სახით გადაეხადა 10.320 მანეთი

არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდა, ვინაიდან:

ა). სერტიფიკატი № 3598 მოპასუხეს გაეგზავნა ანგარიშთან ერთად და მასში მითითებული იყო კონტეინერების დაბრუნების ვადა.

ბ). ანგარიში, რომელშიც აღნიშნული იყო სერტიფიკატის ნომერი, დროზე გაანაღდა მოპასუხემ.

გ). მოპასუხეს არ უცნობებია მიმწოდებლისათვის, რომ სერტიფიკატი არ მიუღია.

მოძრავ-მექანიზებულმა კოლონამ ვერ დაამტკიცა მიმწოდებლისათვის კონტეინერების დროზე დაბრუნების ფაქტი.

საჩივარი ამ გადაწყვეტილების გამო უშედეგოდ იქნა დატოვებული.

2. ტვირთის გადასაზიდად მიღებისას რკინიგზის წარმომადგენელი სინჯავს

ალბომების რაოდენობას, წესივრულობას, ტვირთის მიღებისათვის ჩაბარებაც

ამავე წესით ხდება.

ოდესის ოლქის სავრანსკის დამამზადებელმა კანტორამ სარკინიგზო გადაზიდვის № 738526 ხელშეკრულების თანახმად, № 2663500 ვაგონით ერევნის სინთეზური ალმასების ქარხანას გაუგზავნა საქონელი.

იმის გამო, რომ მოხდა სადგურიდან ცენტრალიზებული გადაზიდვა, საქონელი დანიშნულების სადგურში გაიცა შემოწმებით. ამის შედეგად დადგინდა 680 მანეთის დანაკლისი.

კომერციულ აქტში აღინიშნა, რომ დანაკლისი აღმოჩნდა ტექნიკურად გამართულ ვაგონში, რომელსაც ორივე მხარეს გამგზავნის წესივრული პლომბები ჰქონდა.

საქმის მასალების შესწავლის შემდეგ პასუხისმგებლობა გადამზიდველს დაეკისრა. ამ შედეგის დადგომა იმან გამოიწვია, რომ სარკინიგზო გადაზიდვის ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ გამგზავნმ. კაგონს სამი პლომბი დაადო, და არა ორი.

საჩივარში რკინიგზის სამმართველო მიუთითებდა, რომ ამ პლომბის არსებობა მიზეზობრივ კავშირში არ არის ტვირთის დანაკლისთან. ამ მოსაზრებას არბიტრაჟი არ დაეთანხმა.

რადგან გადამზიდველმა ვერ დაამტკიცა, რომ ტვირთის დანაკლისი არ იყო მისი ბრალი, სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 148-ე მუხლის თანახმად, პასუხისმგებლობა მას დაეკისრა.

3. თუ დანიშნულების სადგურში ტვირთი გაიცემა არა ტვირთის მიღების

დღეს, მაგრამ საქმის მასალებით დადგინდება წესივრული გადაზიდვის ფაქტი,

დანაკლისისათვის პასუხს აგებს ტვირთის გამგზავნი.

სარატოვის ცხიმკომბინატმა სარკინიგზო გადაზიდვის № 327919 ხელშეკრულებით მომარაგება-გასაღების სამმართველოს გამოუგზავნა პროდუქცია.

მიმღებმა პროდუქციის დანაკლისით მიღების გამო წაუყენა მოთხოვნა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსა და სარატოვის ცხიმკომბინატს 1108 მანეთის გადახდევინების შესახებ.

დანიშნულების სადგურში ამ გადაზიდვასთან დაკავშირებით შედგა კომერციული აქტი, რომლის თანახმადაც დანაკლისი მოხდა წესივრულ გადაზიდვის პირობებში. ეს კი ნიშნავს, რომ ტვირთი მიმღებს გაეცა ტექნიკურად გამართული ვაგონით, გამგზავნის წესივრული პლომბებით.

ეს გარემოება, საქმის სხვა მასალასთან ერთად, საფუძველს იძლეოდა, რათა პასუხისმგებლობა გამგზავნს დაპკისრებოდა.

არბიტრაჟის ასეთი გადაწყვეტილება ორჯერ იყო გასაჩივრებული ზედამხედველობის წესით. ამასთან გამგზავნი ეყრდნობოდა ტვირთის გაცემის წესების დარღვევას და აღნიშნავდა, რომ დანიშნულების სადგურში ტვირთი მოვიდა 9 აპრილს, ხოლო მიმღებს ჩაბარდა 14 აპრილს.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის № 5—1732 დადგენილებით და სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის № 5-266 დადგენილებით საჩივარი უშედეგოდ იქნა დატოვებული, რადგან არბიტრაჟის გადაწყვეტილება გამოტანილი იყო სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 149-ე მუხლის საფუძველზე, ტვირთის წესივრული გადაზიდვის ფაქტთან დაკავშირებით.

4. რკინიგზის მიერ ჯარიმის თანხის უდავო წესით ჩამოწერა ტვირთის მიმღებთა ანგარიშიდან დასაშვებია მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

ერევნის წისქვილქარხანამ არბიტრაჟში მოთხოვნა წამოუყენა ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს 900 მანეთის გადახდევინების შესახებ. ეს თანხა რკინიგზის სამმართველომ ჯარიმის სახით ქარხანას უდავო წესით ჩამოაწერა ამ უკანასკნელის მიერ ვაგონის დაუსუფთავებლობის გამო.

საქართველოს სსრ სახელმწიფო არბიტრაჟის გადაწყვეტილებით მაძიებლის მოთხოვნა დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ კანონმდებლობა არ ითვალიწინებს უდავო წესით ჯარიმის თანხის ჩამოწერას ვაგონის დაუსუფთავებლობისათვის.

ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველო ითხოვდა ამ გადაწყვეტილების გაუქმებას და განცხადებაში მიუთითებდა, რომ ჯარიმა ჩამოწერილია რკინიგზის ტრანსპორტზე შემოსავლის კონტროლის ინსტრუქციის მე-2, მე-6 და მე-7 პუნქტების თანახმად.

გადაწყვეტილების ზედამხედველობითი წესით გადასინჯვისას მოთხოვნა არ გაიზიარეს, ვინაიდან რკინიგზის სამმართველოს მიერ ჯარიმის უდავო წესით ჩამოწერის ყველა სახეობა ამომწურავად არის ჩამოთვლილი სსრ კავშირის რკინიგზების წესდების 160-ე მუხლში.

ტვირთის მიმღებისათვის ამ ჯარიმის გადახდევინებას ითვალისწინებს წესდების 161-ე მუხლი, რომელიც არ შედის 160-ე მუხლის ნორმებში.

ამის საფუძველზე რკინიგზის სამმართველოს განემარტა, რომ საფუძვლიანობის შემთხვევაში მას უფლება აქვს ტვირთის მიმღებს მოსთხოვოს ჯარიმის თანხა საპრეტენზიო და სასარჩელო წესით, და არა უდავო წესით ჩამოწერის გზით.

რეფერატები

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი

1981 წლის 17 დეკემბერს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

მოხსენებით „იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტების დადგენის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის შესახებ" სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1966 წლის 25 თებერვლის № 2 დადგენილების შესრულების მიმდინარეობა გამოვიდა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს წევრი გ. ცირამუა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლამ, — თქვა მომხსენებელმა, — ცხადყო, რომ ამ კატეგორიის საქმეებს რესპუბლიკის სასამართლოები ძირითადად სწორად განიხილავენ, მაგრამ მათი გადაწყვეტის დროს ჯერ კიდევ უშვებენ შეცდომებს.

ზოგჯერ სასამართლოები განიხილავენ საქმეებს, რომლებიც მათ არ ექვემდებარება, რაც იწვევს სახელმწიფოს და მოქალაქეთა კანონით დაცული ინტერესების შელახვას. კერძოდ, სასამართლოები ადგენენ ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობის ფაქტს, რომელიც წარმოიშვა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულების გამოცემის შემდეგ, მოქალაქეთა ასაკს, შრომის სტაჟს, რისი უფლებაც კანონით მათ არა აქვთ. არც თუ ისე იშვიათად ამ კატეგორიის საქმეები განიხილება არა განსაკუთრებული წარმოების, არამედ ჩვეულებრივი სასარჩელო წესით.

ზოგი სასამართლო ფორმალურად უდგება ფურიდიული მნიშვნელობის ფაქტების დადგენის საქმეების განხილვას, გამოაქვს გადაწყვეტილება მხოლოდ განმცხადებლის განმარტების საფუძველზე, სათანადო მტკიცებულებების შეუკრებლად და შეუფასებლად.

ხშირად სასამართლოები არ არკვევენ, თუ რისთვის სჭირდება განმცხადებელს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტის დადგენა, არ სთხოვენ მოქალაქეებს წერილობითს მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ამ ფაქტის დამამტკიცებელი დოკუმენტის მიღება სათანადო ორგანოდან ან, რომ არ ხერხდება მათი აღდგენა.

ზოგიერთი სახალხო სასამართლო შეცდომებს უშვებს უფლების დამდგენი საბუთების მოქალაქისადმი კუთვნილების ფაქტის დადასტურების თაობაზე საქმეთა განხილვისას, კერძოდ, როცა უფლების დამდგენ დოკუმენტში აღნიშნული პირის სახელი, მამის სახელი და გვარი არ ემთხვევა მის პასპორტში ან დაბადების მოწმობაში აღნიშნულ სახელს, მამის სახელს და გვარს. სასამართლოებს გამოაქვს გადაწყვეტილებები არა უფლების დამდგენი დოკუმენტის ამ პირზე კუთვნილების ფაქტის დადასტურების შესახებ, არამედ მოაქვს გადაწყვეტილება სახელის, მამის სახელისა და გვარის იგივეობის თაობაზე. მცდარად დადგენილი იურიდიული მნიშვნელობის ფაქტი ხშირად არამართლზომიერი შეღავათების მიღების და სახელმწიფო ქონების უსაფუძვლოდ დაუფლების საშუალება ხდება.

დამაკმაყოფილებელი არ არის სასამართლოების პროფილაქტიკური მუშაობა, მათ ძალზე იშვიათად გამოაქვთ კერძო განჩინებები იმ ორგანიზაციების, საწარმო-დაწესებულებების და თანამდებობის პირთა მიმართ, რომლებიც მოქალაქეებს არ უდასტურებენ ამა თუ იმ იურიდიული მნიშვნელობის ფაქტს, როდესაც ასეთის დადგენა მათ კანონით ევალებათ. ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მოცემულ საკითხზე კანონმდებლობის პროპაგანდას და სხვა.

პლენუმმა განხილულ საკითხებზე მიიღო დადგენილება, რომელშიც დასახულია ღონისძიება რესპუბლიკის სასამართლო პრაქტიკაში ამ საქმეთა გარჩევისას არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად.

პლენუმმა დაამტკიცა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმის რეგლამენტი. შეიტანა ცვლილება სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს შემადგენლობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განიხილა პროტესტები კონკრეტულ საქმეებზე.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ბარაბაძე.

* * *

1982 წლის 29-30 იანვარს გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმი.

საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ, სიხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ ვ. ედიშერაშვილმა პლენუმს წარუდგინა „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 1981 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში".

პლენუმზე დიდი ყურადღება დაეთმო ადგილებზე კანონიერების განმტკიცების შესახებ სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილების შესასრულებლად მუშაობის სიმძიმის ძირეულ რგოლებში გადატანის საკითხებს.

პლენუმმა რესპუბლიკის სასამართლო ორგანოებს დაუსახა მართლმსაჯულების ხარისხის ამაღლების მიზნით გადაუდებლად გადასაწყვეტი ამოცანები.

საჩივრების წარმოშობის მიზეზების აღმოფხვრა; უკანონო მსჯავრდებების სრული ლიკვიდაცია; არამართლზომიერი განაჩენების ძალაში შესვლის შემთხვევების აღმოფხვრა და სასამართლო შეცდომების ძირითადად საკასაციო წესით გასწორება; სიხლის სამართლის საქმეების წარმოებაში მიღების, აგრეთვე საქმეების დამატებით გამოძიებაში დაბრუნების პრაქტიკის სრულყოფა; დამატებითი სასჯელების გამოყენების პრაქტიკაში კანონიერების უზრუნველყოფა; საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ხარისხის მკვეთრი გაუჯობესება; მართლმსაჯულების განხორციელების მაღალი ოპერატიულობისა და კანონით დადგენილი ვადების ზუსტად დაცვის. სახელმწიფოსადმი მიყენებული ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა; სასამართლო შეცდომების აღმოფხვრა ცალკეული კატეგორიების დანაშაულთა გამო.

პლენუმმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ სასამართლოების მუშაობაში არსებული ხარვეზები მნიშვნელოვნად უკან აწევს რესპუბლიკის მაჩვენებლებს საერთო-საკავშირო მაჩვენებლებთან შედარებით.

პლენუმზე აღინიშნა, რომ ნაკლოვანებებს რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში იწვევს შემდეგი გარემოებები:

ზოგიერთი სასამართლო თანმიმდევრულად და შედეგიანად არ იბრძვის ადგილებზე სოციალისტური კანონიერების განმტკიცების თაობაზე სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. ეს განსაკუთრებით შეეხება ზესტაფონის, მაიაკოვსკის, თერჯოლის, ცხაკაიას, ბოლნისის, კასპის, გარდაბნის, გორის, ახალციხის და რუსთავის სასამართლოებს, სადაც დაბალია მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი;

მკვეთრ ამაღლებას საჭიროებს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ პირველი ინსტანციით საქმეთა განხილვის ხარისხი;

სახალხო სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები ყოველთვის არ სწორდება საკასაციო წესით ამის შედეგია დიდი რაოდენობით არამართლზომიერი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლა. აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი სასამართლოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სიხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიები ვერ უზრუნველყოფენ კანონიერების თანამიმდევრულად დაცვას საკასაციო ინსტანციაში;

განსაკუთრებით შეუწყნარებელი მდგომარეობაა აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში, სადაც განაჩენების საზედამხედველო წესით გაუქმება და შეცვლა რამდენჯერმე აღემატება საკასაციო წესით გაუქმებასა და შეცვლას;

განაჩენების გაუქმებისა და შეცვლის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მიზეზია კანონის მოთხოვნათა უგულვებელყოფა ბრალდებულის სამართალში მიცემის საკითხის გადაწყვეტის დროს. პროცესის ამ სტადიაზე სათანადო ყურადღება არ ექცევა სიხლის სამართლის საქმეთა გამოძიების ხარისხს, არცთუ იშვიათად გვხვდება შემთხვევები. როცა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლოები წარმოებაში ღებულობენ არასრულყოფილად გამოძიებულ საქმეებს.

განსაკუთრებით ხშირად უშვებენ სასამართლო ორგანოები შეცდომებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 91, 94, 96, 117, 150, 186, 228, 241, 104-105 და 110-111 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა შესახებ საქმეების განხილვის დროს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეების განხილვა მოსამართლეთა მხრივ საგანგებო ყურადღებას მოითხოვს;

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი უკანონო მსჯავრდადების ცალკეული ფაქტები;

ხშირია კანონით დადგენილი ვადების დარღვევების შემთხვევები.

ზოგიერთი სასამართლო ვერ უზრუნველყოფს კანონის ზუსტ დაცვას; დამატებითი სასჯელების დანიშვნის დროს, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა გარკვეული თანამდებობის დაკავების ან გარკვეული საქმიანობის უფლების აკრძალვას;

სასამართლოები ჯერ კიდევ არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს სახელმწიფოსათვის დანაშაულით მიყენებული მატერიალური ზარალის სრულად და ოპერატიულად ანაზღაურების უზრუნველსაყოფად;

პლენუმმა მოისმინა აგრეთვე სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარის გ. ᲓᲔᲕᲓᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ანგარიში — „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1981 წლის მუშაობის შედეგებისა და მართლმსაჯულების ხარისხის შემდგომი ამაღლების ამოცანების შესახებ".

პლენუმმა მიიღო დადგენილებები, რომლებშიც დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ პროკურორი ა. ᲑᲐᲠᲐᲑᲐᲫᲔ.

სკკპ XXVI ყრილობა და სამართალმცოდნეობის აქტუალური პრობლემები

1982 წლის 26 იანვარს სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის ინიციატივით გაიმართა სამეცნიერო კონფერენცია — „იურიდიული მეცნიერების აქტუალური საკითხები XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა მიხედვით.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის და სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის მეცნიერი თანამშრომლები, პარტიული და შინაგან საქმეთა ორგანოების ხელმძღვანელი მუშაკები, ქ. თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში მომუშავე სწავლული იურისტები.

კონფერენცია შესავალი სიტყვით გახსნა სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის ფაკულტეტის უფროსმა გ. სოგორაშვილმა, რომელმაც თქვა, რომ სკკპ XXVI ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში დიდი ყურადღება დაეთმო საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის შემდგომი განვითარების საკითხებს. ამასთან დაკავშირებით სწავლული იურისტების წინაშე დგას დიდი და პასუხსაგები ამოცანები. მათ აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ყრილობის გადაწყვეტილებების რეალიზაციაში. ყრილობის მიერ დასახული პრობლემების განხილვას დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს იურიდიული მეცნიერების შემდგომი განვითარებისა და სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკის სრულყოფისათვის.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ „სკკპ XXVI ყრილობა საბჭოთა პოლიტიკური სისტემის განვითარების შესახებ" გაკეთა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის კათედრის გამგემ ბ. ᲘᲜᲬᲙᲘᲠᲕᲔᲚᲛᲐ. მომხსენებელმა აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოთა იურიდიული მეცნიერებისათვის ყრილობის გადაწყვეტილებებში მოცემულ თეორიულ დებულებებსა და დასკვნებს. დაახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიათა რა პოლიტიკური სისტემის ელემენტები, პროფესორმა გ. ინწკირველმა აღნიშნა, რომ პარტიის როლის მუდმივი ზრდა კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტის აუცილებელი პირობა და საიმედო გარანტიაა. თანამედროვე პირობებში პარტიის ხელმძღვანელი როლის განხორციელების მნიშვნელოვან თავისებურებებს განეკუთვნება მთელ საზოგადოებაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გავლენის გაძლიერება და კომპლექსური მიდგომა მისი მართვისადმი. ყრილობაზე, თქვა მომხსენებელმა, დიდი ყურადღება დაეთმო ავრეთვე სახალხო დეპუტატთა საბჭოების საქმიანობისა და საბჭოთა სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი სრულყოფის საკითხებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლისა და პროცესის კათედრის გამგე ბ. ფურცხვანიძემ კონფერენციაზე წარმოადგინა მოხსენება „სამართალდამცველი ორგანოების მუშაობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი სკკპ XXVI ყრილობის მასალების მიხედვით", ჩვენს ქვეყანაში, თქვა მან, დიდი სამეცნიერო და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს კომპლექსურ ფუნდამენტურ გამოკვლევებს, რომელთა მიზანია დამნაშავეობის პროფილაქტიკა, თავიდან აცილება და თანდათანობით აღმოფხვრა. სკკპ XXVI ყრილობის მასალების მიხედვით საჭიროა შემუშავდეს და განხორციელდეს მსჯავრდადებულთა გამოსწორებისა და აღზრდის ღონისძიებანი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის ნ. ფერეთლის მოხსენების თემა იყო „სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სამართლებრივი საკითხები". მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის სფეროში სამართლის როლი სულ უფრო იზრდება. მან გააანალიზა საგეგმო დისციპლინის, სახალხო-სამეურნეო გეგმების ხარისხის და სტაბილურობის მდგომარეობა, სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა აუცილებლად ითვალისწინებს მართვის, დაგეგმვის სისტემის, სამეურნეო ურთიერთობების ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სამეურნეო ხელშეკრულებათა როლის ამაღლებას. სერიოზული ყურადღება უნდა დაეთმოს, თქვა მან, ჩვენს რესპუბლიკაში აგროსამრეწველო კომპლექსების, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო გაერთიანებების შექმნასთან დაკავშირებულ სამართლებრივ პრობლემათა დამუშავებას.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსკოვის მილიციის უმაღლესი სკოლის თბილისის [illegible] ... ბ. ... მეტრაშვილმა [illegible] „სკკპ XXVI ყრ[illegible] და თანამედროვე ბურჟუაზიული სახელმწიფო", საბჭოთა კომუნისტების ფორუმს, თქვა მან, უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონდა. ყრილობის მასალებში მოცემულია თანამედროვე კაპიტალისტური სახელმწიფოს ღრმა ანალიზი. კაპიტალიზმის საერთო კრიზისის შემდგომი გამწვავება თავის გამოხატულებას პოულობს მონოპოლიების დიქტატურის სისტემის ერთ-ერთი მთავარი ელემენტის — სახელმწიფოს დახასიათებისას. კაპიტალისტურ ურთიერთობათა რეგულირებაში, თუმცა სახელმწიფოს როლი იზრდება, მისი სოციალური ეფექტიანობა დაბალია. ბურჟუაზიულ სამყაროში თვალნათლივ ჩანს ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეების მისწრაფება იმისადმი, რომ დამყარდეს და გამოყენებულ იქნეს სხვადასხვაგვარი ავტორიტარული ფორმები და მმართველობის მეთოდები. მომხსენებელმა დაახასიათა თანამედროვე იმპერიალისტური სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები.

პლენარული სხდომის გარდა, გაიმართა ოთხი სექციის სხდომა, რომელთა მუშაობაში მონაწილეობდა დაახლოებით 60 კაცი. სექციებზე — „სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის და ისტორიის საკითხები" განიხილეს სამართლის მეთოდოლოგიური და თეორიული საკითხები (სექციის ხელმძღვანელის დოც. რ. ხაჩატუროვის მოხსენების ირგვლივ), ქართულ ფეოდალურ სამართალში ქონებრივი დანაშაულებების ზოგიერთი ასპექტი (მომხსენებელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი ნ. კორძაია-სამადაშვილი). გ. მიქელაძის გამოსვლა მიეძღვნა სამართლის ნორმანული წარმოშობის თეორიის კრიტიკას. ნაყოფიერად იმუშავა სექციამ — „სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის საკითხები", რომელსაც პროფესორი ა. ფალიაშვილი ხელმძღვანელობდა. აქ განიხილეს უდანაშაულობის პრეზუმაციის, როგორც საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის კონსტიტუციური პრინციპის პრობლემა (ა. ფალიაშვილი), სასამართლო ექსპერტიზების თეორია (ლ. გუმაშვილი). შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის ფსიქოლოგიური-პედაგოგიური ასპექტები (კ. მელაშვილი). უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკთა პროფესიული მომზადების საკითხი (გ. შავგულიძე), სისხლის სამართლის საპროცესო და შრომა-გასწორების კანონმდებლობის სრულყოფის

პროფესორები: ბ. ტარხტარიშვილი, ბ. ახრიეევი, ა. პაპუაშვილი).

სისხლის სამართლის და კრიმინოლოგიის საკითხების სექციის ხელმძღვანელი (ხელმძღვანელი პროფ. ბ. ფურცხვანიძე) განიხილეს არასრულწლოვანთა დანაშაულობის მიზეზების აქტუალური საკითხები (ზ. ალავიძე, თ. ანდღულაძე, ი. გოძიაშვილი, ს. პაჭკორია), თანამდებობრივ დანაშაულებებში ბრალის ფორმის პრობლემა (შ. ფაფიაშვილი), სოციალისტური საკუთრების დაცვის საქმეში აღრიცხვისა და სტატისტიკის როლი (ვ. ცინცაძე).

წარმომადგენლობითი იყო სექცია „სამოქალაქო და შრომის სამართლის საკითხები" (ხელმძღვანელი — ე. ნეიძე). მეცნიერებმა განიხილეს საბჭოთა სახელმწიფოს სამოქალაქო სამართალდებრივი სუბიექტუნარიანობის საკითხები (რ. შენგელია), მეთერთმეტე ხუთწლედში შრომითი სამართალურთიერთობების თავისებურებები (ე. ნეიძე), სამეურნეო კანონმდებლობის სრულყოფის ზოგიერთი საკითხი (ა. ჯომარჯიძე) და სხვა.

კონფერენციის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სახელმწიფოსა და სამართლის პრობლემებისადმი ყურადღების გაძლიერება გაამდიდრებს სამართალმცოდნეობის მეთოდოლოგიურ არსენალს, ხელს შეუწყობს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებას.

ა. დემეტრაშვილი,
იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი.

ვეტერანები ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და სამართლებრივი აღზრდის სამსახურში

გაიმართა საქართველოს სსრ პროკურატურის ვეტერანთა კრება, რომელმაც განიხილა საკითხი — „სკკპ XXVI ყრილობისა და საქართველოს კპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებების მოთხოვნათა მიხედვით ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და სამართლებრივი აღზრდის გაუმჯობესების საქმეში ვეტერანთა ამოცანების შესახებ". ნოსხენებით გამოვიდა ვეტერანთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სამართლის პროპაგანდის სექტორის ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული იურისტი ვ. ხუალაძე. მან ილაპარაკა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და სამართლებრივი აღზრდის მნიშვნელობასა და ამ საქმეში ვეტერანთა ამოცანების შესახებ.

კამათში მონაწილეობა მიიღეს კ. ელიზბარაშვილმა, ნ. დგებუაძემ, ზ. კირტავამ, შ. ჭანტურიამ და საქართველოს პროფსაბჭოს სამართლის ინსპექციის უფროსმა ბ. ბახტაძემ. მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა თქვეს, რომ საჭიროა გაძლიერდეს ვეტერანთა მონაწილეობა სამართლებრივი პროპაგანდის გასაუმჯობესებლად. კრებაზე აღინიშნა, რომ ვეტერანთა აქტიური ჩაბმა ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული და სამართლებრივი აღზრდს საქმეში დადებით შედეგებს გამოიღებს. მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, საუბრები ჩატარდეს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით და ამ ლექციებსა და კითხვა-პასუხის საღამოებზე ვეტერანებმა თავიანთი გამოცდილება გაუზიარონ ახალგაზრდებს.

კრებამ მოისმინა შრომის ვეტერანის ა. გოკიელის თვითანგარიში იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობს ახალგაზრდა სპეციალისტებთან. კრებამ აღნიშნა, რომ ა. გოკიელის მიერ გაწეულია გარკვეული დადებითი მუშაობა. მას დაევალა, რომ რესპუბლიკის პროკურატურასთან არსებულ ახალგაზრდა სპეციალისტთა სკოლის მსმენელებს გააცნოს თავისი გამოცდილება.

ვეტერანთა საბჭო უკვე შეუდგა კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესრულებას და ასეთი ღონისძიება უკვე ჩატარდა პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სამართალმცოდნეობის კაბინეტთან ერთად, კ. ლესელიძის სახელობის სკოლა-ინტერნატში და სოფელ დიღმის საშუალო სკოლაში, სადაც საინტერესოდ ისაუბრეს რესპუბლიკის დამსახურებულმა იურისტებმა ი. რუსტომაშვილმა, მ. ფაფიაშვილმა, ვ. ხმალაძემ, შ. ჭანტურიამ და ვ. ხოფერიამ.

ი. ზანგური,
ვეტერანთა საბჭოს წევრი, საქართველოს დამსახურებული იურისტი

საინტერესო ნაგებობა

ეს შენობა ოთხმოცდაათიან წლებშია აგებული. თვით შენობის ფასადზე აღნიშნულია თარიღი: 1894 (არქ. პ. შიმკევიჩი). იგი ერთ-ერთი უდიდესთაგანი იყო იმდროინდელ თბილისში. მასში მოთავსდა თბილისის სასამართლო პალატა და თბილისის საოლქო სასამართლო. მთავარი ფასადი იმ ქუჩაზე გამოდის, რომელსაც მანამდის არსენალისა ერქვა, შემდეგ სასამართლოსი ეწოდა, ამჟამად კი ათარბეგოვის სახელს ატარებს. ზურგით იგი ახლანდელ არსენა ოძელაშვილის ქუჩას უყურებს, მაგრამ ამ უკანასკნელის დონე მესამე სართულისას უსწორდება, რადგანაც შენობის ასაგებად ფერდი მოთხარეს და მიწის ნაკვეთი მთლიანად მოაშანდაკეს. არსებითად, სასამართლოს შენობას ერთი ფასადი აქვს. უკანა ფასადი დაუმუშავებელია, გვერდის კედლები კი მეზობელ განაშენიანებას ებჯინება. შენობა ქუჩის საერთო განაშენიანების მწკრივში დგას, თუმცა თავისი მასშტაბითაც და ხასიათითაც მკვეთრად გამოირჩევა მეზობელ და მოპირდაპირე სახლთაგან. ქუჩის კორპუსს უკან ერთვის მასთან კიბის უჯრედით გადაბმული ოთხმკლავიანი ჯვარისებრი კორპუსი, რომლის ცენტრი განმანაწილებელ ჰოლსროტონდას — უჭირავს.

მთავარი, ოთხსართულიანი, ფასადის საერთო აღნაგობა — შუა რიზალიტი (ვესტიბიულითა და დარბაზებით) და გვერდის რიზალიტები, შესასვლელები ცენტრში და ფრთებზე, ორი სიმეტრიული ჭიშკარი — გეგმის ფუნქციური გადაწყვეტილი, არის ნაკარნახევი. მაგრამ ხუროთმოძღვრული დამუშავება გვიანი რენესანსისა და ბაროკოს იტალიური (უმეტესად რომაული) პალაცოების ფასადთა მოტივებს ემყარება. ეს მოტივებია: სარკმელთა ერთგვარი რიტმის შექმნა სამკუთხა და რკალური ფრონტონების მონაცვლეობით მათ თავზე (III სართული); თვით სარკმელთა მოჩარჩოების ელემენტები; შუა შესასვლელი, შემოფარგლული თითო კოლონით, მათზე დაბჯენილი ანტაბლემენტითა და შუაზე გაგლეჯილი რკალური ფრონტონით, რომელშიაც კარტუში და ნაძერწი მორთულობაა ჩასმული; ამ კოლონების მორთვა მათზე წამოცმული კუბებით; შუა რიზალიტის პილასტრთა კოლოსალური ორდერი, რომელიც ორ ზემო სართულს აერთიანებს. ამავე რიზალიტის ფრიზში ჩართული „მწოლიარე — ოვალური სარკმლები და სხვ. ეს მოტივები, ცხადია, აქ პირველწყაროდან კი არ არის შემოსული, არამედ XIX საუკუნის მეორე ნახევრის დასავლური არქიტექტურის მეშვეობით. ბუნებრივია, საერთო კომპოზიციაშიც, პროფილებსა და სხვა ხუროთმოძღვრულ დეტალებშიაც ბევრი რამაა უცხო შორეული პროტოტიპებისთვის. შენობის მასშტაბი და საერთო იერი, უმთავრესი აქცენტები უეჭველად ქმნიან საზოგადო დანიშნულების მნიშვნელოვანი შენობის ხუროთმოძღვრულ სახეს. პროპორციებითაც და შედარებით კორექტული დამუშავების მხრივაც, სასამართლოს შენობა იმ დროის კვალობაზე ერთი საუკეთესოთაგანი იყო ქალაქში.

არქიტექტორი ა. პ. შიმკევიჩი ავტორია აგრეთვე შემდეგი შენობებისა: კონსერვატორია (დამთავრდა 1904 წელს), რუსთაველის თეატრი (არქიტექტორ კ. ტატიშჩევთან ერთად, დამთავრდა 1901 წ.); საცხოვრებელი სახლებისა: ძერჟინსკის ქ. № 6 (1887 წ.), ჭონქაძის ქ. № 8 (1888 წ.), პლეხანოვის პრ. 79 (1901 წ.). ა. პ. შიმკევიჩი 1896 წელს ხელმძღვანელობდა თბილისის ოპერის მშენებლობას.

აკადემიკოს ვ. ბერიძის წიგნიდან „თბილისის ხუროთმოძღვრება 1801-1917 წ. წ.", თბ., 1963 წ., „საბჭოთა საქართველო".

* * *

1972 წლამდე აქ მოთავსებული იყო თორმეტი სხვადასხვა ორგანიზაცია, აგრეთვე ფოტიაქის ჯიხური, სახარაზო და სხვა ობიექტები. 1973 წლიდან სადირექტივო ორგანიზაციის გადაწყვეტილებით დაიწყო შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოები. შიდა ნაწილი უმთავრესად აღდგენილ იქნა პირვანდელი სახით.

ამჟამად ამ შენობაში განლაგებულია საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო და რესპუბლიკის პროკურატურა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 19 ივლისის დადგენილებით ეს შენობა ჩარიცხულია რესპუბლიკის ისტორიისა და კულტურის ძეგლებში, რომლებზეც ვრცელდება სახელმწიფო დაცვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბარომეტრი

ამას წინათ ინდონეზიის ერთ-ერთი პატარა ქალაქის მცხოვრებნი უცნაური სურათის მოწმენი გახდნენ. დღისით — მზისით ქალაქის მთავარ ქუჩაში ოთხით მოხოხავდა 15 პოლიციელი. ისინი დამნაშავედ მიიჩნიეს მექრთამეობასა და დისციპლინის დარღვევაში და უფროსების ბრძანებით დამამცირებელ სასჯელს იხდიდენ, რათა მოსახლეობის პატიება დაემსახურებინათ.

—•—



ამერიკის შეერთებული შტატების მიჩიგანის შტატის ხელისუფლებმა, რომლებიც მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ (შტატის ბიუჯეტის დეფიციტმა 90 მილიონ დოლარს გადააჭარბა), საჭიროდ ჩათვალეს, რომ შეძლებულმა პატიმრებმა თვითონ გაიღონ საპატიმროში მათ შენახვასთან დაკავშირებული ხარჯები (დღე-ღამეში თითოეულ პატიმარზე, საშუალოდ 28 დოლარი). შტატის პროკურორმა ფ. კელიმ განაცხადა, რომ სამართლიანად არ მიაჩნია, მიჩიგანის გადასახადის გადამხდელები თავის ხარჯზე ინახავდნენ დამნაშავეებს, რომლებსაც შიმდინარე ანგარიშზე ათასობით დოლარი აქვთ.

—•—

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში კულტურული რევოლუციის დროს, რომელიც რვა წელს გრძელდებოდა, მოსპეს 10 მილიონი უდანაშაულო ადამიანი, ორასი მილიონი კაცი სხვადასხვა რეპრესიის მსხვერპლი გახდა. (საპყრობილეში მოათავსეს, გადაასახლეს და სხვა). 1959 წლიდან 1962 წლამდე შიმშილით დაიხოცა ოცი მილიონი ჩინელი. ქვეყანაში არსებული ქაოსით შეიძლება აიხსნას გასაოცარი ფაქტი: თურმე 1979 წელს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ბიუჯეტიდან უგზოუკვლოდ გაქრა 665 მილიონი დოლარი. ბოლო ოცი წლის მანძილზე ტიბეტში დანგრეულია 2000 მონასტერი.

—•—

სატვირთო მანქანის მძღოლმა ხისაო ონუკიმ ტოკიოს მთავარი ქუჩის გინზის შესახვევში იპოვა ჩვარში გახვეული 470 000 დოლარი. ონუკიმ ნაპოვნი პოლიციას ჩააბარა. ვინაიდან ექვსი თვის მანძილზე ფულის პატრონი არ გამოჩნდა, იაპონიის კანონების თანახმად, მისი მფლობელი გახდა ონუკი. გადასახადების გადახდის შემდეგ მას დარჩა 317 000 დოლარი.

პეკინში „ოთხთა ბანდის“ სასამართლო პროცესზე ჩვენება მისცა ლიუ შაო ცის პირადმა მზარეულმა, რომელმაც ექვსი წელი ვაატარა საპატიმროში. კულტურული რევოლუციის დროს იგი გაასამართლეს იმის გამო, რომ მეტისმეტად გემრიელ კერძებს ამზადებდა და ამით ხელი შეუწყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარის გადაგვარებასა და რევიზიონისტად გადაქცევას.

ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკის სასამართლომ დაუსწრებლად სიკვდილი მიუსაჯა ამ ქვეყნის ყოფილ იმპერატორს ჟ. ბ. ბოკასს. სასამართლომ მოახდინა ბოკასას კუთვნილი ქონების კონფისკაცია და გამოსცა მისი დაპატიმრების საერთაშორისო ორდერი. ერთ-ერთმა მოწმემ, ყოფილმა მზარეულმა, სასამართლოს უჩვენა, რომ ბოკასამ იგი სასახლეში გამოიძახა და უბრძანა მოემზადებინა კერძი ადამიანის ხორცისაგან. სხვა ორმა მოწმემ თავის ჩვენებაში სასამართლოს უამბეს, რომ ყოფილი იმპერატორი სიამოვნებით უყურებდა როგორ ჭამდნენ მშიერი ლომები ცოცხალ ადამიანებს.

მილანში ჩავიდა სიცილიის მაფიის ერთ-ერთი მეთაური, რომლის ზედმეტი სახელია „დონ ვიტო“. შინ რომ ბრუნდებოდა, იგი თავისი „საქმის“ გამო დაყოვნდა და დააგვიანა მატარებელზე. მაგრამ მისმა პირადმა მცველებმა შეძლეს მემანქანისა და სადგურის უფროსის დაშინება და მატარებლის გასვლის დაყოვნება, სანამ მათი ბოსი სადგურში არ მობრძანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის სამინისტრომ გამოსცა ახალი დირექტივა, რომლის თანახმადაც გამოძიების ფედერალური ბიუროს საიდუმლო აგენტებს უფლება აქვთ გარკვეულ პირობებში მონაწილეობა მიიღონ ზოგიერთ დანაშაულში. ამასთან მათ უფლება არა აქვთ მიმართონ ძალადობას ან წააქეზონ ვინმე ჩაიდინოს დანაშაული.

ბილ ჰარტს ავტომანქანა მოჰპარეს, იმავე დღეს გაძარცვეს მისი ცოლი, ხოლო ქალაქის ერთ-ერთ რაიონში სცემეს მის ძმას. უცნაური დამთხვევაა, მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ბილ ჰარტი, ქ. დეტროიტის პოლიციის შეფია.

ლისაბონი გადაიქცა ნარკოტიკებით, კერძოდ, ჰეროინუმით ვაჭრობის საერთაშორისო ცენტრად. ნარკოტიკების კონტრაბანდამ არნახული გავრცელება ჰპოვა. ამ „საქონლის“ სიჭარბის გამო იგი საგრძნობლად გაიაფდა. მიზეზი დაადგინა ლისაბონის პოლიციამ, რომელმაც თავის რიგებში აღმოაჩინა ნარკოტიკების გამსაღებლები. თურმე ნარკომანიასთან ბრძოლის ცენტრის ორი თანამშრომელი იპარავდა კონტრაბანდისტებისაგან ჩამორთმეულ ნარკოტიკებს და ხელახლა გაჰქონდათ იგი ბაზარში. ხოლო იმ სეიფებში, სადაც უნდა ინახებოდეს (რათა შემდეგში განადგურდეს) ჩამორთმეული ნარკოტიკები, პოლიციამ ნახა... სათამაშოები.

ამერიკის შეერთებული შტატების არმიის სამხედრო პოლიციამ მოაწყო ოპერაცია ნარკოტიკებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამერიკის არმიის ქვეგანაყოფებში, რომლებიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არიან განლაგებული, შეგზავნეს პოლიციის აგენტები როგორც ნარკომანები. ამის შედეგად 10 კვირის მანძილზე მარტო სამ ბაზაში დააპატიმრეს 146 ჯარისკაცი, ხოლო კონფისკაციაქმნილი ნარკოტიკების ღირებულებამ შეადგინა ოთხი მილიონი დოლარი. ბაზა ხანაუს რაიონში (აქ განლაგებულია 15000 ჯარისკაცი და მათი ოჯახის 13 000 წევრი) წელიწად ნახევრის მანძილზე ამოღებულია ნარკოტიკები, რომელთა ღირებულება ოცდაერთ მილიონ დოლარს შეადგენს. ნარკოტიკებით ვაჭრობენ არა მარტო ჯარისკაცები, არამედ ოფიცრებიც. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მოქალაქეები სერიოზულად წუხან იმის გამო, რომ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები ხელს უწყობენ ნარკოტიკების გავრცელებას ადგილობრივ მოსახლეობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობები ავტორთა შესახებ

ნუგზარ დომენტის ძე რუხაძე — საქართველოს კომპარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

მინდია გურამის ძე უგრეხელიძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 40 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ალექსანდრე ანდრიას ძე ხოჭოლავა — ადვოკატი, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სამეცნიერო-საკონსულტაციო საბჭოს წევრი, 20 შრომისა და ერთი მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ოთარ კალენიკეს ძე გამყრელიძე — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის განყოფილების გამგე, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 36 შრომისა და 1 მონოგრაფიის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

გიორგი ალექსანდრეს ძე გოლოშვილი — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, მესამედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გიორგი ივანეს ძე ხაზარაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს არასაუწყებო დაცვის სამმართველოს უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, 30 შრომისა და 2 წიგნის ავტორი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ალგერტ მიხეილის ძე აბესაძე — საქართველოს სსრ იუსტიციის მინისტრის მოადგილე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, 42 შრომის, 4 წიგნისა და 2 ბროშურის ავტორი, სისტემატურად თანამშრომლობს ჩვენს ჟურნალში.

ტარიელ სევერიანეს ძე ლემონჯავა — ჩხოროწყუს რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოსთან არსებული მეურნეობათაშორისო იურიდიული ჯგუფის უფროსი, მესამედ იმბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ტრისტან ივანეს ძე მეტრეველი — თელავის რაიონის პროკურორი, იუსტიციის მრჩეველი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

იოსებ ვლადიმერის ძე ჩიქოვანი — გეგეჭკორის რაიონის პროკურორი, იუსტიციის უმცროსი მრჩეველი, პირველად იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

ჯულიეტა ტრიფონის ასული მიქელაძე — საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს შრომა-გასწორების დაწესებულებების სამმართველოს განყოფილების უფროსის მოადგილე, შინაგანი სამსახურის მაიორი, მეორედ იბეჭდება ჩვენი ჟურნალის ფურცლებზე.

გარეკანის პირველ გვერდზე: საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს და რესპუბლიკის პროკურატურის შენობა. გ. სეირანიანის სლაიდი. ცნობა ამ შენობის შესახებ იხილეთ ჟურნალის 77-ე გვერდზე.

«САБЧОТА САМАРТАЛИ» («Советское право»), № 2, 1982 (на грузинском языке). Двухмесячный научно-практический журнал Министерства юстиции ГССР, Прокуратуры ГССР, Верховного Суда ГССР.

Адрес редакции: Тбилиси, пр. Плеханова, 103, тел. 95-58-87, 95-88-49.

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ფასი 60 კაპ.

ინდექსი 70185

6 138/104

ავტორთა საყურადღებოდ!

1. სტატიები და სხვა მასალები რედაქციაში წარმოდგენილი უნდა იქნას ავტორის მიერ ხელმოწერილი, ორ ეგზემპლარად, მანქანაზე ორი ინტერვალით დაბეჭდილი.

2. თეორიული წერილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნაბეჭდ 14 გვერდს, სხვა მასალისა — 8 გვერდს.

რედაქცია დაინტერესებულია მიიღოს მოკლე ცნობები და შენიშვნები ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკულ საქმიანობაზე.

3. სტატიაში გამოყენებული ციტატები აუცილებლად უნდა იყოს პირველწყაროსთან შედარებული და ავტორის მიერ ვიზირებული. სქოლიოში უნდა აღინიშნოს ავტორის გვარი, წიგნის გამოცემის წელი, აგრეთვე, ციტირებული მასალის გვერდი.

4. სტატიები და სხვა მასალები დამუშავებული უნდა იყოს ლიტერატურულად და თან დაერთოს ანოტაცია რუსულ ენაზე.

5. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

6. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეგზავნებათ.

7. სამეცნიერო-კვლევითი გეგმით შესრულებულ ნაშრომზე ჰონორარი არ გაიცემა.

8. სხვა პერიოდულ გამოცემაში უკვე გამოქვეყნებული მასალები ჟურნალში არ დაიბეჭდება.

9. ჟურნალის რედაქცია მკითხველებს აწვდის მოკლე ცნობებს ავტორებზე. ამიტომ სტატიებს თან უნდა დაერთოს ავტორის სახელი, მამის სახელი, გვარი, დაბადების წელი, სამეცნიერო ხარისხი ან წოდება, რამდენი ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული, მათ შორის უმნიშვნელოვანესი, სად ეწევა სამეცნიერო-კვლევითს, პედაგოგიურ ან პრაქტიკულ საქმიანობას.

ამ პირობების დაუცველად გამოგზავნილი მასალა არ გამოქვეყნდება.